cinikuri provokacia

Tamaz TamazaSvilis winaaRmdeg xelisuflebas bumerangiviT ukan daubrunda

საერთო გაზეთი

№40 (224) ● 19-25.IX.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილი:

`me ase cxovreba ar SemiZlia. me ar masvenebs Cemi xalxis gasaWiri, ar SemiZlia amas gulgrilad vuyuro.

...dRes miumxroblobа, sinamdvileSi, saakaSvilis momxreobaa...~

ირაკლი ღარიბაშვილი:



მე მინდა გავაკეთო სპეციალური განცხადება — დღეს ჩემი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის, სიცოცხლე საფრთხეშია. თუ რაიმე მოხდება, პასუხისმგებლობა დაეკისრება სააკაშვილს!

`asavaL-dasavalis~ cxeli xazis sagangebo gancxadeba:

მსოფლიო დარწმუნდა, რომ სააკაშვილი ჯალათია! 21-ე საუკუნეში, როცა ცივილიზაცია თავის აკორდულ სიტყვას ამბობს დემოკრატიულ ღირებულებებზე, საქართველოში ადამიანებს სააკაშვილის დავალებით აწამებენ, აუპატიურებენ, ღირსებას ულახავენ! ღირსეულმა ადამიანებმა, ღირსეულმა საზოგადოებამ, ღირსეულმა ერმა ეს არ უნდა მოითმინოს...

`saerTo gazeTis~ gancxadeba:

ამ ხელისუფლების ამაზრზენი ქმედებები ყოველგვარ საზღვარს გასცდა! ქართველმა ხალხმა ცინიკურ მკვლელებსა და ადამიანების შეურაცხმყოფელებს სათანადო პასუხი უნდა მოსთხოვოს!

შაშა ბასილი:

არჩევნებს ნაცმოძრაობა წააგებს პირწმინდად...

ხათუნა ღაგაშიძე:

1 ოქტომბრის არჩევნებზე ოპოზიციისთვის ხმის მიცემა სამოქალაქო გმირობის ტოლფასია!

ISSN 2233-3983

lafanyuris specoperaciis gamaognebeli versiebi

სამი ქართველი ჩრდილოკავკასიელებს არ მოუკლავთ... ვისმა ტყვიებმა იმსხვერპლა ისინი?

მებრძოლები ჯერ მოწამლეს და მერე დაცხრილეს?



გასულ კვირას „ასავალ-დასავალის“ მკითხველმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — **ლაშა ნადარეიშვილის** ლექსების კრებული „**ეშაფოტზე წარმოსათქმელი ლექსები**“.

გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, ნიჭიერ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, ლაშა ნადარეიშვილს ამ საეტაპო მნიშვნელობის წიგნის გამოცემას და ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

„საერთო გაზეთის“
რედაქცია

ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!

სხვამ არ თოხნოს
ჩემი ყანა,
არც ჩონგური
ჩემი თალოს...
მე ისეთი მგლები მყვანან,
ალგეთს მტერმა
ვერ დათვალოს!

ალავერდში
ვანთებ სანთელს,
ამ გმირების
წასვლას ვნანობ, —
არტანუჯთან ვხვდები
ხანძთელს,
რომ ფეხები ცრემლით
ვბანო!

ბერი —
თათრის ანაკუწი —
გვარიდებდა სისხლის
კალოს...
ყველა დუშმანს, როგორც
უწინ,
გზა თევდორემ
გაუკვალოს!

ვინ აგაკრას
აწი ზეცას,
გორგასლანის
დიდო ფარო?
აქ აბჯარი მთასაც ეცვა,
აქ თამარი დედოფალობს!

ღმერთმა ჭირი
გვაშოროს და
შოთას ფრესკა
არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!!!

დავით!

ეს გაზაფხულიც
გათავდება,
შემოდგომა გათათრდება,
მოედება
ბასიანს და ხრესილს...
ცის თავანი დაიხრება,
ჯოჯოხეთი განიხვნება,
საფლავებზე დაიყრება
ხრეში.

აქ საუფლო ენთო შინდი,
გაურბოდა ქედებს ბინდი,
მზე გფარავდა
შეუვალს და ტყიანს...
რა უნდოდა მიწას
გულთან,
ისევ კივის წიწამურთან
ავაზაკის გასროლილი
ტყვია.

იქნებ უკვე მეტიც
გთხოვეს,
იქნებ უკვე
სვეტიცხოველს,
იქადნიან
გამოხრული თავით...
დიდგორიდან გადმოდექი
და თუ შვილად
გამოვდექით,
სინათლისკენ გაგვიძეხი,
დავით!

გავყურებ ჭალებს
არაგვიანებს,
გავძახი მგზავრებს
დანაგვიანებს
გახსოვდეთ —
მტერი არ აგვიანებს!
არც მოღალატე
არ აგვიანებს!

რადგან მსოფლიო
ასე გარიგდა,
ჩემი სამშობლოც
უმალ დარიგდა...
შთამომავალო
უდრეკ ხალიბთა,
ვაითუ,
სულიც გაგიღარიბდა!

მე საქართველო
ველარ ვიცანი,
ველარ ვიპკურე
ნამნი ცისანი,
აბჯარი მცმოდა,
თუნდაც ხისანი,
არ გავხდებოდი
ჯაყოს ხიზანი!

სეტიცხოველში
ზარმა დარეკა
დარეკა,
უფლის ხელით დარეკა...
დღეს საქართველო
ითმენს ნარ-ეკალს
ხვალ საქართველო
ამათ გარეკავს!

laSa jgerenaia:
xelisuflebas emigrantebis bediar ainteresebs

უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები ორი დღეა, რაც საკუთარი უფლებებისა და საარჩევნო ხმის დასაცავად საქართველოში იმყოფებიან. „კონკრეტულად რა პრობლემები ექმნებათ წინასაარჩევნოდ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს „საერთო გაზეთს" დიდი ბრიტანეთში მცხოვრები ემიგრანტი ლაშა ჯგერენაია ესაუბრა.

– საქართველოდან 2002 წლის ოქტომბერში წავედი, ანუ თითქმის ათი წელია, რაც ლონდონში ვცხოვრობ. უცხოეთში სასწავლებლად წავედი და მაგისტრატურა საერთაშორისო ურთიერთობების განხრით დავამთავრე. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი გახდა ის, რომ ემიგრანტებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება გვეზღუდება, რის გამოც ქართველი ემიგრანტები ერთმანეთს დავუკავშირდით და საქართველოში იმ ადამიანების სიები ჩამოვიტანეთ, ვინც საპარლამენტო არჩევნებისთვის დარეგისტრირება ვერ მოახერხა. სულ საქართველოში ასამდე ადამიანი მსოფლიოს 12 ქვეყნიდან ვიმყოფებით. მოგეხსენებათ, ემიგრანტების რაოდენობა მილიონ შვიდასი ათასს აღწევს, ცესკომ კი მხოლოდ და მხოლოდ დაარეგისტრირა 46 000 ამომრჩეველი, რაც აღმაშფოთებელია. სია, რომელიც ჩვენ ჩამოვიტანეთ და სადაც 6000 ადამიანია აღრიცხული – გადავეცით არა ცესკოს, არამედ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ ჩვენი უფლებების დაცვა. ამასთან ჩვენ ჩამოვიტანეთ სატელიტური თეფშები იმის ნიშნად, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა მისთვის სასურველ არხს უყურო.

– რატომ გადაეცით სია „ქართულ ოცნებას", რა შეიცვლება ამით?

– ჩვენს მიერ წარმოდგენილ სიაში ნათლადაა ჩამოწერილი დაურეგისტრირებელი ადამიანების რიცხვი, მათი პირადი მონაცემები, რაც საშუალებას მოგვცემს, იმას, რომ მათ მაგივრად სხვამ ხმა არ მისცეს, ამ პროცედურას საარჩევნო უბნებზე „ქართული ოცნების" წარმომადგენლები გააკონტროლებენ.

სირთულეების ნუსხა საკმაოდ მოცულობითი და დიდია. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა ორშაბათს, სამუშაო დღეს. პირველი ოქტომბერი საქართველოში უქმე დღედ გამოცხადა საზღვარგარეთისგან განსხვავებით, რაც ქართველ ემიგრანტებს ხმის მიცემის პროცესში პრობლემებს გვიქმნის. საშუალოდ, საზღვარგარეთ მყოფი ერთი ადამიანი საქართველოში ორ ოჯახს ინახავს. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავიხმარებთ, ყოველთვიურად საქართველოში ასი მილიონი დოლარის თანხა შემოდის, რაც ერთი წლის განმავლობაში მილიარს აჭარბებს, რაც ცხადყოფს იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტის თითქმის 20% უცხოეთიდან შემოსული თანხით ივსება. წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები უცხოეთში რომ არ იყვნენ, არ მუშაობდნენ, რა ვითარება იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში. ხელისუფლების პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, მათთვის არაფერს წარმოვადგენთ, სრულ იგნორს გვიკეთებენ.

თავდაპირველად, ქართველ ემიგრანტებს საარჩევნო სიაში დარეგისტრირება ონლაინ რეჟიმში შეგვეძლო და ორი-სამი დღის განმავლობაში პროცედურა ნორმალურად მიმდინარეობდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ჩვენი – ემიგრანტების აქტიურობა დაინახა, რის შემდეგაც აამუშავეს ბიუროკრატიული ბერკეტები. კერძოდ, ის, რომ არჩევნები დანიშნულია სამუშაო დღეს, სიმცირეა საარჩევნო უბნების თვალსაზრისით. მაგალითად, ინგლისში, სადაც მე ვცხოვრობ, მხოლოდ ლონდონშია საარჩევნო უბანი გახსნილი და ქართველები ცხოვრობენ შოტლანდიაში, მანჩესტერში. ამომრჩეველი შოტლანდიიდან ლონდონში რომ ჩამოვიდეს, დაახლოებით, 800 კილომეტრი უნდა გაიაროს, რასაც 2 დღე მაინც დასჭირდება. აამიტომ ამ კატეგორიის ადამიანებს ხმის მისაცემად დიდი პრობლემები ექმნებათ.

– საინტერესოა, რა განწყობა აქვთ ემიგრატებს საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და რას ფიქრობენ „ქართული ოცნების" შესახებ?

– ვფიქრობ, ქართული ოცნება ერთადერთი ძალაა, რომელსაც ჩვენი ხმების დაცვა შეუძლია.

მირანდა ნაბახტეველი

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

`nacmoZraoba~ didi omis win mowinaaRmdeges iaraRis dayras sTavazobs?

რა შედეგები სურს დაიდოს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაცმოძრაობას“?

„ნაცმოძრაობა“ უცხოური კომპანიების, აგრეთვე საკუთარი ძალებით ჩატარებული გამოკვლევებით დარწმუნდა, რომ მისი რეიტინგი კატასტროფულად დაბალია და 20-25 პროცენტს არ აღემატება.

უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ „ენდიაის“ მიერ ჩატარებული ბოლო გამოკვლევით, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი სინამდვილეში 20 პროცენტს ვერ ასცდა, თუმცა საჯაროდ სულ სხვა ციფრი დასახელდა.

ამავე გამოკვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 43 პროცენტმა თავი შეიკავა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან

სპეციალისტთა აზრით, ეს 43 პროცენტი ოპოზიციის, კონკრეტულად კი „ქართული ოცნების“ ელექტორატია, რომელიც ქვეყანაში შექმნილი რეპრესიული ვითარების გამო თავს იკავებს ღიად გამოხატოს თავისი სიმპათია კოალიცია „ქართული ოცნების“ მისამართით.

ამას დავუმატოთ ის 12 პროცენტი, რომელსაც „ენდიაისთვის-“ არ დაუმალავს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

გამოდის, რომ მოსახლეობის 55-60 პროცენტი მმართველი გუნდისთვის ხმის მიცემას არ აპირებს, ეს კი იმდენად სერიოზული ციფრია, რომ მისი გადაფარვა შეუძლებელია.

გაყალბებასაც აქვს თავისი ზღვარი, რომლის გადალახვის შემდეგ არჩევნების შედეგები იმდენად სცილდება რეალობას, რომ არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. უფრო ზუსტად, როცა გაყალბების მასშტაბები ძალზე დიდია, ასეთი არჩევნების ცნობა ჩატარებულად დიდი რისკის შემცველია და ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თავის თავზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს.

რისკს რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ მოსახლეობის უკმაყოფილებას და პროტესტს, რომელიც შეიძლება დიდ სახალხო მღელვარებასა და ხელისუფლებასთან ღია დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ნაცმოძრაობა, რომელსაც არჩევნების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და გაყალბების მექანიზმებშიც ბრწყინვალედ ერკვევა, შესანიშნავად იცის, რომ მოცემულ სიტუაციაში, როცა „ქართულ ოცნებას“ აქვს ძალიან დიდი რესურსი, ჰყავს საკმაოდ კარგად მომზადებული მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელსაც შეუძლია არჩევნების პროცესებზე სრულფასოვანი და კვალიფიციური მონიტორინგის ჩატარება, როცა ქვეყანაში ჩამოსულია უამრავი უცხოელი დამკვირვებელი, როცა არჩევნების სამართლიანად ჩატარებას ითხოვს ევროპარლამენტი, ნატო, ეუთო, აშშ-ს ადმინისტრაცია, წარმოუდგენელია, არჩევნები გააყალბო და ეს სათანადო რეაგირების გარეშე დარჩეს.

„ნაცმოძრაობა“ ჩიხშია — ის ან უნდა შეეგუოს დამარცხებას ან ეძებოს სხვა გზები სასურველი მიზნის მისაღწევად.

თავდაპირველად, არსებობდა ასეთი გეგმაც — მთავარი აქცენტი გაკეთებულიყო „ნაცმოძრაობის“ სატელიტი პარტიების — „ქდმ“-ს და „ახალი მემარჯვენეების“ შედეგების გაზრდაზე და გაყალბების მექანიზმი სწორედ ამ პარტიების სასარგებლოდ აემოქმედებინათ, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ გაირკვა, ამ პარტიების იმდენად დაბალი რეიტინგი აქვთ, რომ მისი აქაჩვა სასურველ შკალამდე ძალზე რთული, თითქმის უიმედო საქმე იყო.

მართალია, „ქდმ“, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ ფინანსური ხელშეწყობით, მთელი საქართველოს მასშტაბით ფრიად პომპეზურ და ამბიციურ საარჩევნო კამპანიას ატარებს, პურმარილის და კონცერტების თანხლებით, მაგრამ მისი რეიტინგი მაინც ერთ ადგილზეა გაყინული და 3 პროცენტზე ზევით ვერ ადის.

ასეთივე მდგომარეობაში არიან პოლიტიკურად ფეხსუსტი და უპრინციპო „ახალი მემარჯვენეებიც“, რომლებიც ბოლო წლებში გამუდმებით იცვლიან პოზიციებს, იცვლიან პარტნიორებს, იცვლიან იდეოლოგიურ მიმართულებებს, მოკლედ რომ ვთქვათ, მუდმივ მოძრაობასა და მუდმივ ცვალებადობაში არიან, რაც საშუალებას არ აძლევს ელექტორატს ჩამოყალიბებული და მყარი შეხედულება შეექმნას ამ პარტიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ქდმ“-ც და „ახლებიც“ მკაცრ, ზოგჯერ უაღრესად კრიტიკულ და რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ ნაცმოძრაობის საწინააღმდეგოდ, ქართველ ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ვერა და ვერ ირწმუნა მათი გულწრფელი ოპოზიციონერობისა.

ქართველმა ამომრჩეველმა დიდი გამოცდილება შეიძინა და იმდენად გამოიწრთო და გამოიბრძმედა პოლიტიკური ტექნოლოგიების ნიუანსებში, რომ მისი მოტყუება დღეს ფრიად ძნელი საქმეა.

ასე, რომ „ნაცმოძრაობას“ „ქდმ“-სა და „ახალ მემარჯვენეებთან“ ფარული თანამშრომლობის სცენარი ჩაუვარდა და, აქედან გამომდინარე, გარკვეული რაოდენობის ქულების და საპარლამენტო მანდატების ჩუქება ამ პარტიებისთვის, „ნაცმოძრაობას“ პრობლემას ვერ მოუხსნის.

როგორც ზემოთ ვთქვით, „ნაცმოძრაობა“ ჩიხშია, საიდანც გამოსავალი არ ჩანს, თუმცა ბოლო დღეების მოვლენებს თუ დავაკვირდებით, „ნაცმოძრაობამ“ ამ ჩიხური მდგომარეობიდან თავდაღწევის ახალი ვარიანტზე დაიწყო ფიქრი და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა.

კერძოდ, საუბარია იმ ახალ წინადადებაზე, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებს სთავაზობს.

ამ წინადადების მიხედვით, თუ საერთაშორისო დამკვირვებლები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არჩევნებს სამართლიანად ჩატარებულად ცნობენ, კოალიცია „ქართული ოცნება“ და სხვა პარტიებიც წინასწარ, არჩევნების ჩატარებამდე ხელს აწერენ შეთანხმებას, რომ ისინიც დაემორჩილებიან და არ გააპროტესტებენ საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადებულ დასკვნას, რა შედეგების ამსახველიც არ უნდა იყოს იგი.

ერთი შეხედვით, ამ ინიციატივაში საყოყმანო და საეჭვო არაფერია — თუ დამკვირვებლები იტყვიან, რომ არჩევნები ნორმალურად, სერიოზული კანონდარღვევების გარეშე ჩატარდა, ამ შემთხვევაში, რატომ არ უნდა მოაწეროს ხელი წინასწარ დათქმულ პირობას ამა თუ იმ პარტიამ?

როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობა“ თვლის, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო ენის გამონახვა და მათი მეშვეობით, მათი დახმარებით ხელისუფლებისთვის საჭირო რეზულტატის დადება უფრო კარგი და ეფექტური გზაა, ვიდრე ყალბი ბიულეტენების ჩაყრა, სიების გადასწორება და სხვა მაქინაციების ჩატარება.

ეტყობა, ნაცმოძრაობას უკვე ნამუშევარი აქვს მონიტორინგის უცხოურ ჯგუფებთან და მათგან გარკვეული მყარი გარანტიებიც მიღებული აქვს, რომ თუ მმართველი პარტია შეძლებს არჩევნებში მონაწილე პარტიებთან კონსენსუსის მიღწევას და უცხოელები დაბრკოლებას არ შეუქმნიან და წინ არ აღდგებიან ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ საერთო გადაწყვეტილებას. „ნაცმოძრაობა“ თავისი ინიციატივის მართებულობას, ალბათ, იმით ხსნის, რომ ეს ნაბიჯი ქვეყანას მოსალოდნელ დესტაბილიზაციას და სხვა სახიფათო პროცესებს თავიდან აცდენს.

არ არის გამორიცხული, „ნაცმოძრაობა“ რაღაც ფორმით აშანტაჟებდეს კიდევაც ამ საერთაშორისო ძალებს, რომ თუ არჩევნები მისთვის სასურველი შედეგებით არ დამთავრდება, ის ყველაფერზე წავა, რომ სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გათვალისწინებით, აგრესორი რუსეთის მიერ მართული პოლიტიკური ძალები არ მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

არის კიდევ ერთი კოზირი, რომელსაც „ნაცმოძრაობა“, მისი აზრით, წარმატებით გაათამაშებს — თუ კოალიცია ქართული ოცნება უარს იტყვის შემოთავაზებულ წინადადებაზე, ის ამით ეჭვქვეშ დააყენებს მონიტორინგის საერთაშორისო ჯგუფების ავტორიტეტს, მათი ობიექტურობის და მიუკერძოებლობის საკითხს და ამასთან ერთად განამტკიცებს „ნაცმოძრაობის“ მიერ დაყრილ ჭორებს, რომ კოალიცია დესტაბილიზაციის და ქვეყანაში არეულობის პროვოცირებისთვის ემზადება.

იმედია, კოალიცია „ქართული ოცნება“ ღირსეულად გაუძლებს ამ უკიდურესად დაძაბული ნერვების თამაშს და ხელს არ მოაწერს ამ აშკარად კაპიტულანტურ შეთანხმებას, რაც, ფაქტობრივად, დიდი ომის წინ საკუთარი ნებით განიარაღებას ნიშნავს...

გიორგი გამეზარდაშვილი

fragmentebi biZina ivaniSvili gamosvlis teqstidan

15 სექტემბრის აქციაზე, ახალციხეში

მოგესალმებით ყველას!

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ აქ შეკრებისთვის.

მივესალმები ნინოწმინდას, ახალქალაქს, ასპინძას, ბორჯომს, ადიგენს, ახალციხეს!

მივესალმები მთელ საქართველოს!

ამ ქალაქს, რომელშიც ახლა ვდგავართ, თავდაპირველად ამაყი სახელი - ლომისა - რქმევია, მოგვიანებით კი, ის ჩვენმა წინაპრებმა ახალციხედ მონათლეს. მაშინდელ სამყაროში ყოველი ქვეყნის შუაგულს, ცენტრს, აუცილებლად ქმნიდა ციხე-ქალაქი. სწორედ ციხე-ქალაქების გარშემო ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ხოლმე ქვეყანა.

აქვე მდებარეობს ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი სამკაული - ვარძია - კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომელიც მეფე თამარის სახელს უკავშირდება და გამორჩეულ როლს თამაშობდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო დღეს მთელი საქართველოს სიამაყეა.

ჩვენი წარსულისა და კულტურის განუყოფელი და სასახელო ნაწილია საფარა, ზარზმა, ხერთვისი, კუმურდო, თმოგვი, ფოკა. ამათ გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ისტორია, წარმოუდგენელია ქართველების ისტორიული ცნობიერება და ეროვნული იდენტობა.

იმასაც ამბობენ, რომ გენიალური რუსთველი ამ კუთხის შვილი იყო, და რომ აქ დაწერა მან მსოფლიო შედევრი, რომელიც ქართველებისთვის ბიბლიის ტოლფასია.

მოგვიანებით, მე-16-მე-17 საუკუნეებში საქართველოს ამ მხარეში, სამცხე-ჯავახეთში, აღმოცენდა და ფეხი მოიკიდა საგანმანათლებლო და კულტურულმა ცხოვრებამ, ევროპელ მისიონერებთან ურთიერთობამ რომ მოიტანა, რაც დეტალურადაა აღწერილი მესხეთის მკვიდრის, გამოჩენილი მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის ჩანაწერებში.

ქვეყანა თითქოს თავიდან იბადებოდა. მაგრამ განათლება და კულტურა ხომ დამოუკიდებლობას წარმოშობს, დამოუკიდებლობა კი ყოველთვის აშინებს შინა თუ გარე მტერს.

კულტურასა და განათლებას ხომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოაქვს. სწორედ თავისუფლებაა ის, რასაც გამალებით ებრძვის ეს ხელისუფლება.

ჩვენ არ გვინდა, ხალხო, კომპიუტერით შეიარაღებულ და შენიღბულ ბატონ-ყმობაში დაბრუნება, ჩვენ განათლებულ, დამოუკიდებელ, პროგრესულ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა. სწორედ ამიტომ ემტერება „ქართულ ოცნებას“ ასე ეს ხელისუფლება.

თავისუფლებისკენ სწრაფვა, ანუ განათლების, განვითარებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ყოველთვის იყო ჩვენი ტრადიცია, და ჩვენ ამ ტრადიციის ერთგული ვრჩებით.

ჩემო კარგებო, მე სიამაყე თამამად ვახსენე თქვენთან, რადგან ვიცი, რომ მართლაც ამაყობთ არა ერთი გამოჩენილი ადამიანით. მაგრამ მე უფრო მეტი მინდა თქვენთვის, მე მინდა, რომ ყოველი თქვენგანი, პირველ რიგში, თავისი ცხოვრებით იყოს ამაყი, თავისი ოჯახის წინსვლით იყოს ამაყი.

ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება დანაშაული იქნება, რომელსაც ვერც თავს ვაპატიებთ და არც შვილები გვაპატიებენ.

ამიტომ უნდა მივიდეთ 1-ელ ოქტომბერს არჩევნებზე და ერთად შემოვხაზოთ 41. მე გაძლევთ სიტყვას და მოგიწოდებთ არჩევნებისკენ - ჩვენ გავიმარჯვებთ!

* * *

არასოდეს დამითვლია, რამდენს ვიხდიდი ჩემი ქვეყნის დასახმარებალად. მაგრამ ახლა, როცა დამანგრევლობას მწამებენ, გეტყვით, რომ სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით ჩემ მიერ გაღებული თანხით ხელისუფლების მაღალ-მაღალი ხელფასებიც რიგდებოდა, შენობებიც შენდებოდა და რემონტდებოდა, პოლიციასა და ჯარსაც ვეხმარებოდი, გაჭირვებულებს ხელს ვუმართავდი. მაგრამ, საბოლოოდ, ქვეყანასა და ხალხს მაინც ბევრი ვერაფერი ვუშველე.

სააკაშვილმა ისე დააძაბუნა ქვეყანა, რომ გაჭირვებულ ადამიანს საბჭოეთი მოანატრა. ამაზე უარესი რა უნდა დამართო თავისუფლებისმოყვარე და ღირსების მქონე ჩვენს ხალხს. აი, სწორედ ამიტომ არის სააკაშვილი თავისუფლებისა და ღირსების მოძულე.

ამ უღირსობას პასუხი უნდა გაეცეს, ამაში დავრწმუნდი. დავრწმუნდი იმაშიც, რომ ჩემი დახმარება სათავისოდ გამოიყენეს და იმაშიც დავრწმუნდი, ერთხელ და საბოლოოდ, რომ, თუ გინდა დახმარებამ ნაყოფი გამოიღოს, ადამიანს ფულით კი არ უნდა დეხმარო, არამედ ფულის შოვნის კანონიერი გზა და საშუალება უნდა მისცე.

მხოლოდ ეს არის ნამდვილი დახმარება. აი, ხალხო, ამის გასაკეთებლად მოვედი პოლიტიკაში, და ამისთვის მოდის ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“!

ჩვენ საკმარისი ცოდნაც გვაქვს, გამოცდილებაც, საერთაშორისო მხარდაჭერაც და, რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს მტკიცე და ურყევი ნება, რომ ხალხსა და ქვეყანას ეშველოს, რომ საქართველოს ეშველოს!

* * *

21-ე საუკუნეში ჩვენ ვეღარ ვუვლით ჩვენს სიმდიდრეს. ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მოლიანად გაპარტახებულია და მოშლილია, ხოლო ნაწილი სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ მიითვისა.

რომანოვების უნიკალური სასახლე სააკაშვილის ოჯახის პირად დასასვენებელ სახლადაა ქცეული და მას სულაც არ ადარდებს, რომ ეს სასახლე კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია. აი, ასე აქვს მითვისებული მთელი საქართველო და ამიტომაა, ასე რომ ებღაუჭება ძალაუფლებას. ჩვენ ამას დავამთავრებთ!

ჩვენ ყველგან აღვადგენთ სამართლიანობას! ეს არის ჩვენი მთავარი დანაპირები! მე ვპირდები ბორჯომელებს, რომ ამ უნიკალური სიმდიდრით თქვენც ისარგებლებთ, ადგილობრივი მოსახლეობა.

დღეს რომ მხოლოდ ერთ კომპანიას აქვს მონოპოლიზებული მთლიანად მინერალური წყლის რესურსი, სრულიად იგნორირებულია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, ის, რომ ტაბაწყურის ულამაზეს ტბას მაღალჩინოსნები დაეპატრონნენ გართობისა და დროსტარებისთვის, და ხალხს ოჯახის გამოსაკვებად თევზაობის საშუალებასაც არ აძლევენენ, აი, ეს უსამართლობა დამთავრდება ამ ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ!

ტყე ჩვენი ქვეყნისა და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი სიმდიდრეა. ახლა გლეხს ტყეც წაართვეს და ერთი მუჭა მონოპოლისტების ხელში ჩააგდეს.

* * *

ხალხო, ჩვენ საკუთარი ხელით ვსპობთ ჩვენს ბუნებას! აბა, გადახედეთ, სად იჭრება ასე დაუნდობლად ტყე, როგორც ჩვენში, ნადგურდება სრულიად უნიკალური ბუნება, რომელიც ბევრ ქვეყანას სანატრელი აქვს.

მაშინ, როცა ცივილიზებული ქვეყნები თავიანთ ბუნებრივ სიმდიდრეს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ჩვენ ჩვენი სიმდიდრე საზღვარგარეთ გაგვაქვს, თანაც იაფად, კაპიკებად. და რა შემოგვაქვს სანაცვლოდ? მოსთხოვა ვინმემ ხელისუფლებას პასუხი?

ამის პასუხი ის იქნება, რომ არჩევნებზე მივალთ ყველა და 41-ს შემოვხაზავთ, „ქართულ ოცნებას“ შემოვხაზავთ და მე გპირდებით, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენი ქვეყნის ყველა სატკივარს მივხედავთ, ყველგან დავამყარებთ წესრიგს და აღვადგენთ სამართლიანობას!

დიახ, ჩვენ მოვალთ და დავამყარებთ წესრიგს, მაგრამ ეს იქნება დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული წესრიგი!

წესრიგის დამყარება გადავსებული ციხეების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. უდანაშაულო ადამიანების ციხეში ჩაყრით და დაშინებით დამყარებული წესრიგი მხოლოდ დიქტატორული რეჟიმებისთვის არის დამახასიათებელი.

სინამდვილეში ამ ხელისუფლებამ ნამდვილი კრიმინალები გარეთ გამოუშვა და ზონდერბრიგადებში გადაანაწილა, არაერთი უდანაშაულო ადამიანი კი ციხეშია გამომწყვდეული.

ახლა ხალხს იმით აშინებენ, თითქოს ჩვენ ყველა დამნაშავეს გარეთ გამოვუშვებთ. ხალხო, ჩვენ კი არ გამოვუშვებთ პატიმრებს ციხეებიდან, არამედ მიუკერძოებელი სასამართლო განიხილავს ყველა უკანონო პატიმრის საქმეს და კანონის ძალით დავიხსნით მათ პატიმრობიდან.

ყველა პატიმარი ჩვენი მოქალაქეა და მათი დროებითი იზოლაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი უნდა თქვას თავის მოქალაქეზე და არაფრად ჩააგდოს პატიმრების ბედი.

* * *

ჩვენ არ ვაპირებთ პატიმრებთან ანგარიშსწორებას, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან. ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა რაც შეიძლება სწრაფად მოახერხონ ადაპტაცია და სრულფასოვან ადამიანებად დაუბრუნდნენ საზოგადოებას. ჩვენ არც ერთი ადამიანი არ გვყავს დასაკარგი!

ჩვენ გპირდებით, რომ ადამიანი ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარი ღირებულება იქნება, ჩვენ ვიქნებით ყველას ქომაგი, ყველა ადამიანის, ვისაც სახელმწიფოს დახმარება დასჭირდება!

სააკაშვილი დაჟინებით უმტკიცებს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ათასობით ადამიანს, რომ თუ „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ყველას სამსახურიდან გაყრის და ანგარიშს გაუსწორებს.

ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ მსგავსი არაფერი მოხდება. რევანშიზმი და პოლიტიკური ანგარიშსწორება დაუშვებელია! ოღონდ აუცილებელია სამართლიანობის აღდგენა. ვისაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, იქნება ეს მკვლელობა, წამება, საკუთრების წართმევა თუ სხვა, დამოუკიდებელი სასამართლო კანონის ძალით გაასამართლებს.

და აქვე ვიტყვი: ჩვენი გამარჯვების შემდეგ ვინც კი გაბედავს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას, იგივე სასამართლო გამოუტანს განაჩენს ყველას. არავის ეგონოს, რომ ბოროტმოქმედება დაუსჯელი დარჩება, ვისი მომხრეც გინდა იყოს მისი ჩამდენი!

მინდა დღეს, ამ ქალაქიდან, მივმართო ჩვენს ძმებს და დებს, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა იმ საფრთხის, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა არ იქნება ხელისუფლებაში, აღარც სახელმწიფო იარსებებს.

პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ არც ერთი ცივილიზებული ქვეყნისთვის ხელისუფლების ცვლილება ტრაგედია არ არის.

სწორედ ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა იმაზე, რომ ხელისუფლება გარკვეული ვადით უნდა აირჩიოს მოსახლეობამ და ისევ არჩევნების გზით შეცვალოს იგი - ეს არის დემოკრატიის, ცივილიზაციის მონაპოვარი, და ეს მონაპოვარი უნდა დავიცვათ 1-ელ ოქტომბერს არჩევნებში!

ამაში ჩვენ საერთაშორისო საზოგადოება და დემოკრატიული სამყარო დაგვიდგება გვერდში, ჩვენ სამართლიან ბრძოლაში მარტონი არ ვიქნებით, ჩვენ ამის გვჯერა!

ეს უცხოელები იმდენჯერ გააწბილა სააკაშვილმა, რომ აღარავინ დახუჭავს თვალს მის მორიგ უკანონობაზე. მთელმა მსოფლიომ დაინახა, ისევე როგორც ჩვენმა ხალხმა, რომ სააკაშვილისა და მისი ხელქვეითების წყალობით ცოცხალი, დემოკრატიული ქვეყნის მაგივრად საქართველო დემოკრატიის ფიტულად გადაიქცა.

დღეს ხელისუფლება პანიკაშია. პანიკა, აბა სხვა რა უნდა უწოდო კაცმა იმას, რომ უცხოეთში მცხოვრები მილიონ-ნახევარი ქართველი, ანუ ამომრჩეველთა ერთი მეოთხედი, ოღონდ საარჩევნო ყუთთან არ მიუშვას, და არჩევნები ორშაბათ დღეს დანიშნა!

* * *

ჩვენი ქვეყნის სირცხვილია ის, რომ დღეს ქართული სოფელი შიმშილობს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია. „ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი. ამ ფონდის დახმარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები ისარგებლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხებით.

დღეს სოფლის მეურნეობა ის ერთადერთი დარგია, რომელიც სამცხე-ჯავახეთს ასაზრდოებს, თუმცა ამ მხრივაც დიდი პრობლემებია.

იყო დრო, როცა ვაზი სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ წამყვან კულტურად ითვლებოდა. აქაური ვაზი განსაკუთრებული გამძლეობითა და მაღალი საგემოვნო თვისებებით გამოირჩეოდა.

* * *

სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ 2008 წლიდან ჩვენ სპეციალურად შექმნილ საცდელ-სანერგე მეურნეობებში დავიწყეთ ქართული ვაზის ჯიშების, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის ვაზის ჯიშების მოძიება და აღდგენა. ამჟამად ამ მეურნეობებში დაცულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ვაზის 21 ჯიში: ახალციხური თეთრი, ბეჟანა, თითა მესხური, მარიამობის ვაზი, მესხური ჩიტისთვალა, მესხური მწვანე, ცხენის ძუძუ, მესხური მტევანდიდი, მესხური ყურძენი, ცხენის ძუა, ხარისთვალა მესხური, თამარის ვაზი, თხელი საფერავი, კლერტმაგარა, მცვივანი მესხური, მესხური საფერე, მესხური შავი, სქელი საფერავი, ცხენის ძუძუ მესხური, წიქვაძისეული.



ჩვენ ხელს შევუწყობთ და დავეხმარებით ამ რეგიონს ვაზის კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში. ამის პირობას მე გაძლევთ!

კარტოფილით განთქმულ რეგიონში, განსაკუთრებით კი ახალქალაქსა და ახალციხეში, დღეს 2004 წელთან შედარებით 25%-ით შემცირებულია მისი წარმოება, ასევე შემცირებულია მოსავლიანობაც.

ჩვენ ამასაც მივხედავთ, შემოვიტანთ ახალ, მაღალმოსავლიან კარტოფილის ჯიშებს და გლეხებსა და ფერმერებს უზრუნველვყოფთ ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთა სათესლე მასალით.

* * *

მეგობრებო!

ახლა მინდა ისევ არჩევნებს შეეხო, რადგან სულ ცოტა დროა დარჩენილი 1-ელ ოქტომბრამდე.

როგორ შეიძლება არჩევნების დღეს განზე გადგომა, იმ მოტივით, რომ არავის არ ემხრობი, იმ მოტივით, რომ არავინაა შენი მოსაწონი. ამას კონფორმისტობა ჰქვია - როცა საკუთარ მცირედ კეთილდღეობას უფრთხილდები, თავად კარგად ხარ მოწყობილი და სულაც არ გადარდებს არც სხვისი და არც შენი ქვეყნის ბედი.

მე კი ასე ცხოვრება არ შემიძლია. მე არ მასვენებს ჩემი ხალხის გასაჭირი, არ შემიძლია ამას გულგრილად ვუყურო. ვისაც არ სურს, რომ რამე ეშველოს ამ ქვეყანას, კეკლუცი მიუმხრობლობით დაუდასტუროს თავისი ერთგულება ამ მოძალადე ხელისუფლებას, რადგან დღეს მიუმხრობლობა, სინამდვილეში, საკაშვილის მომხრეობაა, დუმილი თანხმობის ნიშანიაო, ნათქვამია.

* * *

მინდა მივმართო ყველას, გამოართვით ხელისუფლებას ყველაფერი, რასაც დაგირიგებთ, ეს თქვენ გეკუთვნით, ეს ხალხის ფულია და ხელისუფლების წყალობა არ გეგონოთ!

გამოართვით ყველაფერი, რასაც გაძლევენ და საარჩევნო კაბინაში შემოხაზეთ 41. იმ კაბინაში თქვენ მარტო იქნებით, თქვენს სინდისთან დარჩებით მარტო და გააკეთებთ არჩევანს დღევანდელ ტყეულსა და ხვალინდელ სიმართლეს შორის, ამწუთიერ სარგებელსა და ქვეყნის მომავალს შორის!

ორიოდე კვირა და ეს ხვალინდელი დღეც გათენდება, გუშინდელი დღე კი, ერთხელ და საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. გახსოვდეთ, ადამიანს მხოლოდ მომავლის შეცვლა შეუძლია, მაგრამ - არასოდეს წარსულის!

მიეცით ხმა თქვენს მომავალს, თქვენი შვილების მომავალს, თქვენი ქვეყნის მომავალს და შემოხაზეთ 41!

ხალხო, ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და ამიტომ, მისი ცხოვრება რაც შეიძლება თავისუფალი, ღირსეული და ბედნიერი უნდა იყოს!

არჩევნების დღე ის დღეა, როდესაც ხელისუფლება ხალხის ხელშია, ეს გადამწყვეტი დღეა და ეს დღე უნდა გამოვიყენოთ. არ გავუშვათ ხელიდან ჩვენი ქვეყნის გადარჩენის შანსი, შემოხაზეთ 41!

* * *

ჩვენ დავიცავთ ყველა ხმას, გპირდებით!

ჩვენ მხარდამჭერებისა და აქტივისტების მთელი არმია გვყავს, რომლებიც არ დაუშვებენ ნაცმოძრაობის კოორდინატორთა და ზონდერბრიგადების პარპაშს უბნებზე, ყველა უბანს უცხოელი დამკვირვებლები გააკონტროლებენ, ყველა გამყალბებელი იქნება ამოცნობილი და ამის საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიები მოგვცემს!

მივმართავ ყველას, ვისაც ეს ეხება: ნუღარ შეეცდებით, ბატონებო, სიყალბის ჩადენას, თქვენ ეს არ გამოგივათ, გპირდებით!

cinikuri provokacia TamazTamazaSvili iswinaaRmdeg xelisuflebas bumerangiviT daubrunda

საინფორმაციო სააგენტოებმა დღეს ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს:

„სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე საგანგებო ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ ინფორმაციას სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა.

მინისტრის თქმით, სასჯელაღსრულების სისტემის შესაბამისი ოპერატიული სამსახურები სრულ კოორდინაციაში მუშაობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

„ამ შემთხვევაში ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო გამოგვევლინა დამნაშავეების ის ჯგუფი, რომლებიც ციხეებში პატიმართა არაადამიანური მოპყრობის ხარჯზე ცდილობდნენ ჩვენი სისტემის დისკრედიტაციას.

სამწუხაროა, რომ ჩვენს სისტემაში დღემდე მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც კორუფციული, დანაშაულებრივი გარიგების ხარჯზე ხელყოფდნენ პატიმრების უფლებებს.

ბოლო წლების განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ რაც ჩვენ ვიხილეთ, არის სრულიად შემზარავი და ეს ფაქტი ადასტურებს, თუ რამდენია გასაკეთებელი ჯერ კიდევ ჩვენი უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რაც თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების სასჯელაღსრულების სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ აბსოლუტურად შეურიგებლები ვიქნებით ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ“, — განაცხადა კალმახელიძემ და დასძინა, რომ პატიმართა უფლებების განუხრელი დაცვა რჩება ამ სისტემის უმთავრეს პრიორიტეტად და არავის არ მივცემთ საშუალებას, რომ მათი უფლებების დაცვაში ხელი შეგვიშალოს.

„აქვე მინდა ვთქვა, რომ ვინც გარედან ცდილობს პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას, ყველას გაეცემა საკადრისი პასუხი კანონის ფარგლებში“,- განაცხადა მინისტრმა.

ცნობისთვის: შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გლდანის მე-8 საპყრობილიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეულ თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ერთობლივად განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე (ბედუკაძე გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან 2012 წლის მაისში) და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ახორციელებდნენ პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რასაც იღებდნენ ვიდეოფირზე.

მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად დადგინდა, რომ პატიმართა მიმართ არაადამინური მოპყრობის ორგანიზება, მათი ვიდეოფირზე დაფიქსირება და სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დამკვეთებისათვის გადაცემის შეთავაზება საპყრობილის თანამშრომლებმა მიიღეს ამავე საპყრობილეში განთავსებული თამაზ თამაზაშვილისაგან.

ამ ეტაპზე გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდგომ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით.

შსს-ს ცნობით, ლევან ფურცხვანიძის სამუშაო კაბინეტის ჩხრეკისას ამოღებია პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირი და 17 000 აშშ დოლარი. არსებობს ვარაუდი, რომ გარდა აღნიშნულ ფირზე ასახული ფაქტისა ჩადენილ იქნა სხვა ანალოგიური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება.

გამოძიების ამ ეტაპზე ბრალდებულებად იქნენ ცნობილი და დაკავებული არიან გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, განყოფილების კონტროლიორი ლევან ფხალაძე და განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. გამოძიება გრძელდება“.

აღნიშნულ ფაქტს „რუსთავი-2-მა“ 18-საათიან „კურიერში“ ოპერატიულად მიუძღვნა სიუჟეტი, სადაც გლდანის მე-8 საპყრობილეში მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტის მთავარ ორგანიზატორად თამაზ თამაზაშვილი დაასახელა, რომელმაც სერიოზული ჰონორარით აცდუნა თურმე აქამდე ციხის „პატიოსანი“ და „წესიერი“ თანამშრომლები და პატიმრების ცემა-ტყეპა „შეუკვეთა“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ხელისუფლების ცინიზმს, ამათ ავადმყოფურ ფანტაზიას და ბრიყვული პროვოკაციების შეთითხვნის ნიჭს საზღვარი არა აქვს.

კალმახელიძე ისეთი მრისხანე სახით ლაპარაკობდა მომხდარ ამბავზე, თითქოს მსგავსი რამ პირველად მომხდარიყოს მის სამბრძანებლოში.

„— ჩვენ აბსოლუტურად შეურიგებელნი ვიქნებით ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ“, ისე წარბშეუხრელად თქვა ქალბატონმა კალმახელიძემ, თითქოს ქართულ ციხეებში აქამდე იდეალური წესრიგი სუფევდა და რომ არა პატიმარ თამაზ თამაზაშვილის „პროვოკაციული“ და ძირგამომთხრელი საქმიანობა, ახლაც ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნებოდა.

კი, მაგრამ, ის ნაწამები, დასახიჩრებული, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი ასობით პატიმარი ვინ აწამა, ვინ დაასახიჩრა, ვინ მოკლა, ქალბატონო ხათუნა?

თამაზ თამაზაშვილი ხომ სულ ერთი წელია, რაც ტყუილუბრალოდ დაიჭირეთ და ციხეში ჩასვით, ციხეში მანამდე მომხდარი საშინელებები ვის კისერზეა, ნეტავ?

ხელისუფლება ვერ ისვენებს და შურისძიების მიზნით ახალ ხაფანგს უგებს თამაზ თამაზაშვილს.

ამ ახალი, სამარცხვინო პროვოკაციის მიზანი, ალბათ, ის არის, რომ ამჯერად პატიმრები აუმხედრონ და დაუპირისპირონ თამაზ თამაზაშვილს და ამით ირიბად თუ პირდაპირ იგივე პატიმრები მოახლოებული არჩევნების წინ უარყოფითად განაწყონ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ — ხომ ხედავთ, „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირი თქვენს გალახვაში ფულს უხდიდა ვიღაც-ვიღაცებსო.

ამ ტრაგიკომიკური „ფოკუმენტური ფილმების“ მთავარი რეჟისორი ვინც არის, ვიცით, მაგრამ ერთი ის სცენარისტი გვაჩვენა, ვის თავშიც იბადება ასეთი ვერაგული და ავაზაკური სიუჟეტები?

სექტემბრის შემდეგ, იმედია, ამ საიდუმლოებასაც აეხდება ფარდა და სამუდამოდ დაიხურება ხელისუფლების საიდუმლო „კინოლაბორატორია“...

გიორგი გამეზარდაშვილი

P.S. შსს-ს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ სპეციალურ ბრიფინგზე გაჟღერებული და სახელისუფლებო არხებით გავრცელებული ინფორმაციის მიწოდებიდან რამდენიმე საათში ინტერნეტსივრცეში გავრცელდა შემზარავი ვიდეოკადრები, რომელიც ასახავს ქართულ საპატიმროებში პატიმრების სასტიკად ცემისა და გაუპატიურების შემზარავ ფაქტებს. ვიდეომასალა გადაღებულია 2011 წლის მაისში, თამაზ თამაზაშვილი კი 2011 წლის ოქტომბერში დაკავეს...

ხელისუფლებას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა პროვოკაცია, რომელსაც ის თამაზ თამაზაშვილის წინააღმდეგ ამზადებდა.

როგორც იტყვიან სამართალმა პური ჭამა...

საუბრები **ზაზა შათირიშვილთან**

gmirobidan kvazigmirobamde

მსხვერპლის ეპოქა

„იქნებ, ჯვანში ის ყრმა წევს,
ვისაც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნაცრუელობს
ჩუმის ნაცვრითა ქართველი?"

ილია

გმირების კულტის, თაყვანისცემის შესახებ, პირველად ცნობილმა შოტლანდიელმა ისტორიკოსმა, ფილოსოფოსმა ტომას კარლაილმა დაწერა.

ჩემი აზრით, გმირები, ახალი დროის დადგომასთან ერთად, მე-17-ე მე-18-ე საუკუნეში ჩნდებიან. ახალი დროის დადგომა კი კაპიტალიზმთან, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ფაქტობრივად გმირები საზოგადოებრივ სივრცეში წმინდანებს ანაცვლებენ. ***წმინდანის მრავალი ნიშანი ქრისტიანობამ გმირებზე გადაიტანა.*** ევროპულ სივრცეში ესაა სანტიაგო კომპოსტელა, ლურდი, ფატიმა. ხშირად, თაყვანისცემა და პილიგრიმობა ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილებთანაა დაკავშირებული. სანტიაგო კომპოსტელა ეს არის ადგილი, სადაც იაკობ ზებედეს ძის წმინდა ნაწილებია. მე-17-ე მე-18-ე საუკუნიდან წმინდანებთან ერთად, სოციალურ ფენებში, ნაციონალური გმირები ჩნდებიან. მათთან ერთად ჩნდებიან — ანტიგმირებიც. მაგალითად, სენ-ჟიუსტი, რობესპიერი, დანტონი ანტიგმირები არიან, თუმცა თავიდან გმირები იყვნენ. ნაპოლეონი ერთდროულად გმირიც არის და ანტიგმირიც. როგორც წესი, მერე ხდება ამ გმირების ოიდიპალურად, ფროიდისტულად დემითოლოგიზება. რა არის ნაციონალიზმი? — სხვა არაფერია, თუ არა ეგოიზმის კულტი, ახალი წარმართობა, როდესაც გმირების მეშვეობით საკუთარ თავს თაყვანს სცემენ. მაგალითად, ასეთი გმირები არიან — მაძინი, გარიბალდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გარიბალდი სისხლისმსმელი ყოფილა, რომელიც ადამიანებს თავებს აჭრიდა და მერე ფეხბურთს თამაშობდა. მოხდა მისი დემითოლოგიზაცია. ჰიტლერი ნაციონალური გმირი იყო, დღეს ურჩხულია. აქედან გამომდინარე ნაციონალიზმმა გმირების ეპოქა წარმოშვა, რომელიც 200 წელი გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომმა გმირების ეს ეპოქა დაასრულა. ნაციონალიზმმა ჰოლოკოსტამდე მიგვიყვანა. დღეს მსხვერპლის ეპოქაა. დღეს ჩვენ თაყვანს ვცემთ მსხვერპლს და სტიგმას. ანუ დღეს გმირები არიან უბრალო, კოლექტიური, ანონიმური ადამიანები, ასევე, ჰოლოკოსტში დაღუპულები და სხვადასხვა ტიპის მარტვილები. ესეც ქრისტიანობის გარკვეული ტიპის სარკისებური ანარეკლი, მიბაძვაა.

კარგი და ცუდი მკვდრები

როგორი სურათი იკვეთება ქართულ რეალობაში. ხელისუფლება საქართველოს, როგორც მოვლენას თავისებურად აღიქვამს. საინტერესოა, წარსულთან მათი დამოკიდებულება. რატომღაც აქტუალური წარსულია ის, რაც 20-25 წლის წინ იყო, ხოლო რაც 50 წლის წინ იყო — ის არააქტუალური. თუმცა, აქვე აქტუალურია, ის, რაც 800 წლის წინ იყო ანუ დავით აღმაშენებლის ეპოქა. ვგულისხმობ, ქვეყნის პირველ პირს, რომელიც დავით აღმაშენებელს მუდმივად ადრის თავს. ქართულ სინამდვილეს თუ ავიღებთ გმირების ეპოქა ილია ჭავჭავაძიდან იწყება, რომელიც მოკლეს. მაგრამ გუშინდელი გმირები დღეს გმირები არ არიან. აქ, რა თქმა უნდა, საინტერესოა საბჭოთა და ქართველი გმირები. სააკაშვილმა, ქართული საბჭოთა გმირების დემითოლოგიზაცია მოახდინა, როდესაც თქვა, რომ არსებობენ კარგი და ცუდი მკვდრები — 1941-45 წლის დაღუპულები გმირები არ არიან, ისინი მსხვერპლნი არიან და არასწორ საქციელს ემსახურებოდნენ. ნამდვილი გმირები ისინი არიან, ვინც 2008 წლის 8 აგვისტოს დაიხოცნენ. ***ამ ლოგიკით კარგი მკვდრები არიან, ვინც 1801-07-12 წლებში დაიხოცნენ, ცუდი მკვდრები არიან, ვინც 1950-იან წლებში დაიხოცნენ. ეს უნდა დავივიწყოთ?! თურმე უნდა გვახსოვდეს 1921-24 წელი და შემდეგ პირდაპირ 2003-2008 წელი.***

...მაგრამ ქართველნო, სად არის ემირი... ემირობიდან ყვაზი-ემირობამდე

მაგრამ დღეს პარალელურად დემითოლოგიზაციის ეპოქა იწყება. ვინ არიან გმირები? — ეს თემა უკვე ჩვენც გვეხება. ***თავდაპირველად გმირის კულტის ადგილად მისი საფლავი იყო მიჩნეული, მას სასწაულმოქმედ ძალასაც მიაწერდნენ, მოგვიანებით კი გმირის სახელზე ტაძრებს და საკურთხევლებს აგებდნენ.*** გმირი არის ის, ვისაც პანთეონში ასაფლავებენ, ეს გმირული ადგილია. გარკვეულწილად მწერალიც შეიძლება იყოს გმირი. რა თქმა უნდა, გმირი მკვდარი უნდა იყოს. როცა ადამიანი სიცოცხლეშივე გმირია, ის უკვე მკვდარია. დღეს ბევრი ამბობს, რომ გმირების ეპოქა უნდა დასრულდეს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ისეთი მოვლენები, როგორიცაა მსხვერპლის დისკურსის დამკვიდრება, შემოსვლა. გარწმუნებთ, როდესაც თბილისში პირველი სიამაყის გეი-აღლუმი გაიმართება, მაშინ გმირების ეპოქა საბოლოოდ დასრულდება. შეიქმნება შემდეგი ვითარება — ცხოვრების ნებისმიერი წესი დაშვებულია და ამდენად გმირი არავინ არ არის, ყველა არის მსხვერპლი. ლონდონში ინვალიდ ქალს დაუდგეს ძეგლი. ამით რისი ჩვენება უნდათ? — რომ საწყალ ადამიანს უდგამენ ძეგლს. ეს ძალიან საინტერესო მომენტია. საქართველოში, ჯერ მაინც გმირების ეპოქაში ვცხოვრობთ. მაგალითად, სააკაშვილი, რომელიც 2003 წელს ჯერ კიდევ გმირი იყო, 7 ნოემბერს ანტიგმირი გახდა. მას უნდოდა გმირობა და ამ გმირობისთვის აგვისტოს ომი გაიმართა, რომელშიც იგი სამარცხვინოდ დამარცხდა და გორში იგორავა. გორი იყო მისი აგორა, სადაც იგი აგორავეს. აქედან გამომდინარე, იგი ანტიგმირად, ფსევდოგმირად იქცა. მაგალითად, სტალინზე ვერ იტყვი, რომ იგი ფსევდოგმირია, არამედ თავისი დემონური მასშტაბით იგი ანტიგმირია. ხოლო ვინ არის სააკაშვილი? — არც გმირი, არც ანტიგმირი, არამედ სიმულიაკრი, ანუ ფსევდოგმირი — კვაზიგმირი. ***ბოლო 20 წელია ქართველი საზოგადოება ფსევდო-გმირებმა შეიქციეს. მათი სურვილი, პათოსი, გარეგნული ნიშნები სინამდვილეში საყრდენგამოცლილია, მყარი საფუძველი არ აქვს. მათ „ავტორიტეტი" მოიხვეჭეს, თუმცა დროის გასვლის შემდეგ სპნის ბუშტებივით გაქრნენ. აქედან გამომდინარე, გმირზე მოთხოვნა ქართულ სინამდვილეში მუდმივად არსებობს, ქართველი ერი დღემდე გმირის მოლოდინშია...***

მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, ვისთვისაც ვსტირით, იგი არა სჩანს... გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენში სპობილა და წარწყმედილა. ჩვენთან საწყალი, თავისებურად განვითარებული ადამიანის ეპოქა ჯერ არ დამდგარა. ჩვენ ჯერ კიდევ ნაციონალიზმის ეპოქაში ვართ. მაგრამ როგორც ჩანს ეს ეპოქაც მოვა. დღეს, ილიასა და აკაკის ცისარტყელა ლგბტ-ის ცისარტყელად იქცა. ეს ძალიან საინტერესო მომენტია. ერთი მხრივ, გვყავს წმინდანები, რაღაც პერიოდის მერე ჩნდებიან გმირები, მაგრამ მასთან ერთად არსებობენ წმინდანები. ეს ორი რამ თან პარალელურია თან ერთმანეთს უპირისპირდება. ჭეშმარტი ქრისტიანული და ნაციონალური ღირებულებები ერთიმეორესთან აცდენილია. ნაციონალური სახელმწიფოს იდეასა და ქრისტიანულ იდეას შორის, გარკვეულწილად დაპირისპირებაა. წმინდანები ყოველთვის იარსებებენ, გმირების ეპოქა საბოლოოდ წავიდა და მოვიდნენ საპყარი ადამიანები. სხვათაშორის, 2000 წელს რომში საოცარი რამ მოხდა — 10 ათასობით საპყარი იოანე-პავლე II-სთან კურთხევაზე მივიდა. საინტერესოა ის, რომ ამ დროს თვითონ პაპი იყო საპყარი და ყველას კურთხევას აძლევდა. პაპი, ამ მომენტში საპყართა საპყარი იყო. როგორც ჩესტერტონი ამბობდა — მსოფლიო სავსეა ქრისტიანული, ოღონდ გაგიჟებული ქრისტიანული იდეებით. ფემინიზმის ამოსავალიც ასევე ქრისტიანულია. ქრისტიანობაში არა არს კაცი და არა არს ქალი, მაგრამ როცა ეს უკიდურესობამდე მიგყავს — ეს უკვე გაგიჟებაა. ანუ ჩვენ ახლა სასპენსის მდგომარეობაში ვართ — როცა არც ერთი, არც მეორე და ჰაერში ხარ გამოკიდებული, ჩრდილი ეცემა ამ ყველაფერს. ძალიან საინტერესო მომენტია ის, რომ კონსესუსი არცერთ გმირზე არ გვაქვს, მეტ-ნაკლებად ეს შეიძლება ილია იყოს, მაგრამ ეს ეპოქა შორსაა. აქედან გამომდინარე, სასპენსიის სიტუაცია გვაქვს.

ემირეჰის მწყსრის ეპოქა

ნაციონალიზმი — ნეოპაგანიზმი, ნეოწარმართობაა, რომელიც რეალურად ქრისტიანობას უპირისპირდება. საქართველოში ქართული ეკლესია სამწუხაროდ, არა ქრისტიანული, არამედ ნაციონალური ინსტიტუციაა. აი, ესაა პრობლემა. მოკლედ ასე ვიტყოდი, ახლა ნაციონალური ღმერთების დაღუპვა ხდება, ნაციონალური ღმერთების მწუხრია. ახლა, ზოგადად გმირების მწუხრის ეპოქაა. ჩვენთან ამ ეპოქის გარიჟრაჟია, ამიტომ, კონსენსუსი არაფერზე არ გვაქვს. აქვე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სად არის დასაფლავებული გმირი. გმირის საფლავი განაპირობებს მის ადგილს წარმოსახვით გალერეაში, პანთეონში. რეალური ადგილი განაპირობებს მის სიმბოლურ ადგილს. ისინი, ვინც მთაწმინდაზე არიან დასაფლავებულნი, ოლიმპიელი ღმერთები არიან. ქაქუცა ღმერთია, ალექსანდრე სულხანიშვილი როგორც ქაქუცას მეგობარი ნახევარღმერთი. ვინ არიან კიდევ გმირები? — მაგალითად გია აბესაძე, რომელმაც თავი დაიწვა. ეს ჩემს თვალწინ მოხდა. რას ნიშნავს გმირი? — გმირი არის ის, ვინც ნაციონალური ნარატივის ნაწილია და ვისაც ხალხი თაყვანს სცემს. შევთანხმდეთ, რომ ეს წმინდანთა კულტის იმიტაციაა და თან ნეოპაგანიზმის აღორძინება.

პატრიოტიზმი მცირის ხატის სახელით

ბოლო დროს ქართულ სინამდვილეში ფსევდო-გმირები რიგრიგობით ანაცვლებენ ერთმანეთს და ჩვენც, ქართველი ერი ხან ერთის გმირობას ვიჯერებთ, ხან მეორისას, ხან ერთს ვუკრავთ ტაშს, ხან მეორეს. ამას ისიც განაპირობებს, რომ ჩვენს დროში გმირობა ადვილად მოსაპოვებელ პროფესიად იქცა, დაიყვირებ – ძირს რუსეთიო და უკვე გმირი ხარ.

ოდეს ტურფა გაიაფდეს არღა ღირდეს არცა ჩირად... ევროპაში, აშშ-ში გამოკითხვებს ატარებენ თუ ვინ არის 10 ყველაზე პოპულარული ადამიანი. გერმანიაში ჰიტლერი ამ სიაში არ შეჰყავთ. მაგალითად, რუსეთში სტალინი პირველ ადგილზე გადიოდა და ხელოვნურად გაიყვანეს მეორეზე. არსებობს ხილული და უხილავი კანონი. ასევე, არსებობს ხილული და უხილავი პანთეონი. მაგალითად, არის თუ არა გმირი ჭიჭიკო ბენდელიანი, შოთა გამცემლიძე? – დღეს უკვე აღარ იმიტომ, რომ ისინი ცუდი მკვდრები არიან, რომლებიც ცუდ დროს ცუდ ადგილას მოხვდნენ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხელოვნურად შექმნილი გმირია. გმირი, რაღაცნაირად მეხსიერების ადგილივითაა, კოლექტიური მეხსიერებიდან წაშლილია და ქმნი გმირს. გიორგი სააკაძე რაღაცას ნიშნავს. მაგალითად, ლგბტ, რომელსაც აქ ვიღაცები მოკლავენ. გმირების გარეშე არცერთი ნაციონალური ნარატივი არ არსებობს. სადაც ნაციონალური ნარატივია, იქ არიან გმირები. ქრისტიანობამ გმირები არ იცის, ქრისტიანობამ იცის წმინდანები. მაგალითად, ლუდოვიკო IX არის ერთადერთი ფრანგი მეფე, რომელიც კათოლიკე ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული. იმის გამო კი არა, რომ იერუსალიმში ხმალს იქნევდა, არამედ მისი ქრისტიანული ცხოვრების გამო – იგი თამარ მეფესავით ფეხშიშველი დადიოდა, ჯვალოში, ყველაფერს ხალხს აძლევდა და ასე მოკვდა. იგი ე.წ. საერო ფრანცისკელი იყო. ჩვენ ჩვენი წმინდანების ნაწილი ნაციონალურ გმირებად ვაქციეთ, მაგალითად დავით აღმაშენებელი და გმირი შევქმენით – არადა, იმ ეპოქამ გმირები არ იცოდა.

ნაციონალურ პერიოდში გმირად ვაქციეთ დიმიტრი თავდადებული, რომელიც ქრისტიანი მარტვილია. ***სააკაშვილი მუდმივად აპელირებს გმირ მეფეებზე, თავს ადრის მათ და გმირების ერადაც მოგვიხსენიებს.*** სააკაშვილს პატიოტიზმი სჭირდება. სააკაშვილის პრობლემა ისაა, რომ იგი ნაციონალურ ნარატივს არ იზიარებს, იმიტომ რომ ნაციონალური ნარატივი ძეგლებს, ვეფხისტყაოსანს, ლიტერატურას გულისხმობს, რაც ამათთვის უცხოა. აქედან გამომდინარე, საჭიროა პატრიოტიზმი, პატრიოტიზმს რა სჭირდება? – მტრის ხატი! აქედან გამომდინარე რუსეთი სრულიად აუცილებელია. ამიტომ, ახალ ნარატივს ახალი მსხვერპლი სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, აგვისტო ძალიან საჭიროა. რაც მოხდა ეს ხელისუფლების სრული იდიოტიზმია. ჩვენი ხალხი უაზროდ დაიხოცა, ეს უაზრო მსხვერპლია. მაგრამ სააკაშვილს გმირობა და ახალი ნაციონალური ნარატივი სჭირდებოდა. პრობლემა იცით რა არის? – ის 17 ბიჭი გმირია, მაგრამ ქართული ჯარი სამარცხვინოდ დამარცხდა. მერე ავადმყოფებმა ეს დამარცხება იზეიმეს. ეს ჭინკების სერობა იყო.

სააკაშვილის ეპოქა – ცრავმირებული ადამიანების ეპიტრავი

მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ფსევდოგმირებს ქმნის. ეს ძალიან საინტერესო მთელი ინდუსტრიაა, არადა მართლაც ჩვეულებრივი ადამიანების გაგმირება ხდება. სააკაშვილის ეპოქა არის გარიჟრაჟი არა ჩვეულებრივი, არამედ ტრავმირებული ადამიანების. ფროიდის თქმით თითეული ჩვენგანი ტრავმიდან იწყება. აქედან გამომდინარე, თითოეული ნაციაც დღეს უკვე ტრავმიდან იწყება. ჰოლოკოსტი, კატინი, 21 წელი, ოკუპაცია და ა.შ. – ეს ეპოქა თავიდან გვიახლოვდება. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის პერიოდში გმირები მეტეორებივით გაივლიდნენ და ქრებოდნენ. ყოველ წელიწადს იქმნებოდა გმირების წყება, რომელიც მერე აღარავის ახსოვდა. არამარტო არავის ახსოვდა, არამედ ზოგი რეპრესირებულიც იყო. ანუ სააკაშვილის ეპოქიდან ჩვენ გვრჩება ფსევდოგმირი სააკაშვილი, რომელიც წლების მერე ალბათ ძალიან შემზარავი ანტიგმირი გახდება. თუმცა იგი კარიკატურულ ხასიათს ყოველთვის შეინარჩუნებს. იმიტომ, რომ სააკაშვილისთვის მთავარი მისი გროტესკულობაა. აქვე მარქსის ცნობილი ფრაზა უნდა გავიხსენოთ – თითქოს ყველა ისტორიული ფაქტი ორჯერ ხდება – პირველად რომ ხდება ტრაგედიაა, მეორეჯერ – ფარსი. ანუ გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი ვიღაცის გამეორებაა, მაგრამ პაროდიული და ფარსული.

ან ცა ემირი, ან ფსევდო-ემირი, ან აბაშიძე პოლიტიკოსი

შევარდნაძის ეპოქის გარიჟრაჟი აფხაზეთთან დაპირისპირებაა. აფხაზეთის გმირებს აქვთ სახელები, მაგრამ ისინი ანონიმურები არიან. ამ ეპოქაში მოღვაწე – კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი ტიპიური ანტიგმირები არიან. შევარდნაძე მხსნელად კი მოგვევლინა, მაგრამ გმირად არავინ აღიქვამს. მთელი ამბავი იცით რაა! – შევარდნაძე როგორც ჩანს ერთადერთი პოლიტიკოსია. პოლიტიკოსი კი არის ის, ვინც გმირი არ არის. აქედან გამომდინარე, შევარდნაძემ მოახერხა და დღემდე რჩება პოლიტიკოსად. ეს ძალიან იშვიათი რამაა. სააკაშვილი კი იყო გმირი, რომელიც გახდა ფსევდოგმირი – კვაზიგმირი და არა ანტიგმირი.

ემირეჭისა და ანტიემირეჭის – ნაციონალური ნარატივის და მითოლოგიის აღზევება

დღეს აბსოლუტური გმირები არ არსებობენ. როგორც წესი, ამ გმირების დემითოლოგიზაცია ხდება, მაგრამ რაღაც კონსესუსი არსებობს. არის შემთხვევები როცა გმირი ანტიგმირი ხდება. ახლა წავიდა ნაციონალური ნარატივების დრო და მოვიდა საპყარი, ტრავმირებული ადამიანების დრო. საქართველოში ამ ეპოქას ჯერ არ გაუმარჯვია, მაგრამ ეს დრო მოდის. საქართველოს დეჰეროიზაცია, სიამაყის აღლუმები არ ასცდება. აქედან გამომდინარე, მინდა ვთქვა, თავისთავად ნაციონალური ნარატივი თავისი არსით იყო არა უბრალოდ ანტიქრისტიანული, არამედ ახალი რელიგია იყო და სწორედ ამ ახალი რელიგიის ფრაგმენტაცია ხდება. ეს არის ეპოქა უკვე არა კრიზისის, არამედ ფრაგმენტაციის, სადაც გმირობა უკვე შეუძლებელია. ეს არის სასოწარკვეთილების ეპოქა, ყოველგვარი ამაღლებული ჟესტების გარეშე. ჩვენი ეპოქა გმირების მწუხრის – დასასრულის ეპოქაა, მაგრამ იგი არანაკლებ ანტიქრისტიანულია. ეს ეპოქა გვეუბნება, რომ – შეუძლებელია წმინდანობა, უანგარობა. მისი ანტიქრისტიანული პათოსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ადამიანი მთლიანად ჩაკეტილია ყოველდღიურობაში, შრომისა და სექსის სამყაროში, რაც ადამიანს საშუალებას არ აძლევს თავი ასწიოს და დაინახოს რომ არსებობს მოწმენდილი ცა მის ზევით და მორალური კანონი მასში.

რეფორმატორეჭი – სისხლიანი კარნავალის ეპოქა

სააკაშვილი კომიკური ფიგურაა. მაგრამ სააკაშვილი არის ტრაგიფარსული იმიტომ, რომ მან უდანაშაულო ხალხის სისხლი დაღვარა (სისხლი მისტერიაა), ეს ყველაფერი როგორც სპექტაკლი ისე დადგა და მასში ადამიანებს თავი მოჰკვეთა. ამით იმის თქმა მინდა, რომ რეფორმატორების ეპოქა სისხლიანი კარნავალის ეპოქაა. ახლა გროტესკული სისხლიანი კარნავალია, სადაც გმირები არ არიან. არამედ არიან ფსევდოგმირები, ტრაგიკომიკური პერსონაჟებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოსხის დროა. ფანტასმაგორიული პერიოდია, ოღონდ გროტესკული, ფსევდოგმირებით გამოჭედილი.

ესაუბრა თამარ შველიძე



gayalbebis raxerxebi SeiZleba gamoiyenos xelisufleba?

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანის“ აღმასრულებელი მდივანი ***თინათინ როსტიაშვილი:***

— ქალბატონო თინათინ, ოპოზიცია ხელისუფლების მხრიდან უკვე გაყალბებულ არჩევნებზე საუბრობს. გაყალბების რა მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული ამ არჩევნებში და როგორია პრევენცია?

— 2012 წლის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ხელისუფლება ყველა ხერხით ცდილობს მოსახლეობის დაშინებას, ზეწოლას, რათა უბნებზე მისულებმა არჩევანი „ნაც.ძოძრაობის“ სასარგებლოდ გააკეთონ. ძირითადად, პატიმრებს, სამხედროებს და მათ ოჯახებს ემუქრებიან. კანონის თანახმად, როდესაც სპეც.უბანზე კენჭისყრა მთავრდება — 8 საათზე, ძირითადი ყუთის ჭრილი ილუქება და იგი ახლომდებარე, ჩვეულებრივ უბანზე გადააქვთ. ასე, რომ იმის დადგენა თუ ვინ რა ნომერი შემოხაზა, შეუძლებელია. ამიტომ მინდა ყველა პატიმარს, პრობაციონერს, ჯარისკაცს მივმართო — ნუ შეგეშინდებათ ხელისუფლების მუქარის, ყველა თქვენი ხმა, უფლება დაცულია. ეს უბრალოდ ფსიქოლოგიური ზეწოლაა მოსახლეობის დაშინების მიზნით. რეალურად რა ციფრს შემოხაზავს პატიმარი გარწმუნებთ, ამას ვერავინ ნახავს.

— მოსახლეობა განსაკუთრებით რეგიონებშია დაშინებული. ერთ-ერთი რეგიონის მკვიდრმა როგორც მითხრა „ნაციონალებს“ უნდა დაუჭიროს მხარი, რადგან ეშინია კალმისტარში დამონტაჟებული კამერით ხელისუფლებამ მისი არჩევანი არ შეიტყოს.

— დიახ, მსგავსი დაშინების ფაქტები არსებობს. მინდა მოსახლეობას ვუთხრა — არანაირი კამერა არც კალმისტარში, არც კაბინაში არ იქნება, მათი შედეგის დაფიქსირებას ვერავინ შეძლებს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას გაყალბებების მეთოდებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი გახლავთ ე.წ. „სომხური კარუსელი“, ანუ ეს ნიშნავს, როდესაც დამკვეთი ამომრჩეველს უკვე შემოხაზულ ბიულეტენს აძლევს, იგი კაბინაში შედის, ჯიბიდან იღებს გამზადებულ ბიულეტენს და ყუთში აგდებს. ასეთ შემთხვევაში, ამომრჩეველმა აუცილებლად უნდა გააბათილოს აღნიშნული ბიულეტენი. მან სასურველი ნომრის გასწვრივ უნდა მიუთითოს — ვაძლევ ხმას. კომისიის წევრებმა, დამკვირვებლებმა უნდა ივაჟკაცონ და მსგავსი ბიულეტენი ამომრჩეველს გააბათილებინონ. იმიტომ, რომ ეს უკვე ნების დაფიქსირება კი არა, ძალადობაა.

— ხელისუფლება შანტაჟის ერთ-ერთ ფორმად ასევე იყენებს იმას, რომ საჯარო მოხელეს აიძულებს გამოხატული ნება მობილურით გადაიღონ და მათ აჩვენონ. რა გამოსავალია აქედან?

— გამოსავალი შემდეგია — ამომრჩეველმა ფანქრით შემოხაზოს ხელისუფლების სასურველი ციფრი, გადაიღოს იგი, ხოლო შემდგომ საშლელით წაშალოს და სასურველი არჩევანი გააკეთოს. ვიმეორებ, საშიში არაფერია. მოსახლეობაში პანიკაა იმასთან დაკავშირებით, რომ მათი პირადობის მოწმობის ასლს იღებენ, იწერენ პირად ნომრებს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლის მოსახდენად კეთდება. აბსოლუტურად ყველა მონაცემი ისედაც დაფიქსირებულია, როგორც რეესტრში, ასევე შსს-ში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თითოეული ჩვენთაგანის მარტო პირადობის მოწმობის ნომრები კი არა, არამედ წონაც იცის და ლამის თითოეული თმის ღერი დათვლილი აქვს. ამით, უბრალოდ აშინებენ ადამიანებს, რათა მათ ეგონოთ, რომ კონტროლდებიან. არამც და არამც, არავინ დაიჯეროს. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს წნეხის ქვეშ ამყოფოს მოსახლეობა. სხვათაშორის, რეესტრმა მოსახლეობას მათ ბინებში არასწორად ჩაწერილი ხალხი, რომელიც მათი ბინის რეალური პატრონების განცხადების საფუძველზე ამოწერილი ჰყავდათ, ისევ ჩაუსვეს და სიებში დააბრუნეს ისინი. განსაკუთრებით პენსიონერებს ეშინიათ, რომელთაც პენსიის დაკარგვით ემუქრებიან. მათ სტალინის დროინდელი შიში აქვთ გამოყოლილი, როცა ბევრი რამის დამალვა უხდებოდათ. ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელია ხმების გაყალბების კიდევ ერთი მეთოდის ე.წ. „რუსული კარუსელის“ გამოყენება, ანუ, როდესაც გარკვეული ტრანსპორტით ერთი და იმავე ჯგუფს ხმის მისაღებად უბნიდან უბანზე დაატარებენ და სხვა ადამიანების ნაცვლად არჩევანს აკეთებინებენ. ისინი წინასწარ არიან ჩაწერილები, მათ ორ-ორი პირადობის მოწმობა აქვთ, შეიძლება მეტიც. ეს მეთოდი საკმაოდ ძნელი გასაკონტროლებელია იმიტომ, რომ ეს ადამიანები შეიძლება ერთი და იგივე ოლქში არ მიიყვანონ, არამედ სხვადასხვა ოლქში, სხვადასხვა უბანზე. ჩვენ გვაქვს უფლება ამომრჩევლებს სურათები გადავუღოთ და მათი იდენტიფიცირება ასე მოვახდინოთ.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

— მაგრამ ყველა ამომრჩეველს სურათს ხომ ვერ გადაუღებთ?

— გეთანხმებით, ეს რთული იქნება, მაგრამ გაყალბების ეს ფორმა მეტწილად ისეთ უბნებზე იქნება გამოყენებული, სადაც უმისამართოები არიან. ასეთი უბნები განსაკუთრებულად უნდა გაკონტროლდეს.

— რამდენია ასეთი უბანი?

— ძალიან ბევრი. საშუალოდ, ყველა ოლქში 2-3 უბანი ასეთია. მაგალითად, გლდანში, ხუთია. უმისამართოები, ვინც ბინა გაყიდა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი სჭირდებოდათ, ასევე, რაიონებიდან ჩამოსული მოსახლეობა. ყველაზე საოცარი კიდევ სხვა რამაა, რასაც ვერაფრით გავაკონტროლებთ — ჩინელები და სხვა უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთაც გვარებს აძლევენ, რათა მათ ხელისუფლების სასარგებლოდ მისცენ ხმა. ისინიც, ძირითადად უმისამართოები არიან. ასეთი ხალხი დიდუბეში უკვე დაფიქსირდა და ალბათ მსგავს შემთხვევებს სხვა რაიონებშიც აღმოვაჩენთ. ნაძალადევი და გლდანი ერთ-ერთი უდიდესი ოლქებია. მარტო გლდანში 150 ათასი ამომრჩეველი ცხოვრობს, ნაძალადევში — 143 ათასი. საჯარო მოხელეებს პირდაპირ ავალდებულებენ ხმის მათ სასარგებლოდ მიცემას. უფრო მეტიც, მათ ავალებენ, გარანტირებული 3-4 ხმა შეაგროვონ, სწორედ ამ კარუსელებისთვის სამოძრაოდ. მოსახლეობა უნდა დათანხმდეს მათ, მაგრამ საარჩევნო ყუთთან სწორი არჩევანი გააკეთოს, მუქარებს ყურადღება არ მიაქციონ, რადგან ტყუილია, თითქოს ხელისუფლებას მათი ხმების გაკონტროლება შეუძლია, ვიმეორებ ეს უბრალოდ ფსიქოლოგიური ზეწოლაა და მეტი არაფერი. შიში უნდა დამთავრდეს. ძალიან ყურადღებით უნდა იყოს ამომრჩეველი — კარგად დააკვირდეს, რომ რეგისტრატორმა ბიულეტინზე ხელიც მოუწეროს და ბეჭდიც დაურტყას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი გაბათილდება და ეს ხმა დაიკარგება. ასევე, თავად სამაგიდო სიაში მოაწეროს ხელი, რათა დაფიქსირდეს, რომ იგი გამოცხადდა არჩევნებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაყალბების პრეცედენტი შეიქმნება. დამკვირვებლებს, წარმომადგენლებს, რომელთაც მართლა სურთ არჩევნები კანონიერად ჩატარდეს, მოვუწოდებ გადაინაწილონ ფუნქციები — მიხედონ მარკირებას.

— რამდენად დაზღვეული ვართ გაყალბებისგან მარკირების შემთხვევაში? როგორც ამბობენ, წინა არჩევნებზე ჯარისკაცებს აცეტონით მოაშორებინეს სითხე და სხვა უბნებზეც მიაცემინეს ხმა.

— დიახ, ეს გაყალბების ერთ-ერთი საშუალებაა, ფრჩხილიდან სითხე ადვილად შეიძლება მოძვრეს, მაგრამ პროფესიით ექიმი ვარ და ვიცი, რომ კანიდან ასე ადვილად ვერ ამოვა.

— მაგრამ მარკირებისას ხომ სითხეს ფრჩხილზე ასხამენ?

— დიახ, მაგრამ შეიძლება ისე დაასხან, რომ ცოტა კანზეც მოხვდეს. ეს არ ავნებს ადამიანის ჯანმრთელობას. დამკვირვებლები, აბსოლუტურად ყველა მოქმედებას აკვირდებიან, თუმცა პროცესში ვერ ერევიან. ასევე, დამკვირვებელს შეუძლია რეგისტრატორთან მისულ ამომრჩეველს პირადობის მოწმობის ჩვენება მოსთხოვოს. აუცილებელია დააკვირდნენ ბოლო რეგისტრატორს — ხომ არ აწერს იგი ხელს ისეთ ადამიანზე, რომელიც საზღვარგარეთაა გასული, ან საპატიმროშია და ა.შ. საყურადღებოა, რომ ბოლო რეგისტრატორთან იქნებიან მიწერილი ადამიანები, რომელთაც ყალბი პირადობის მოწმობა წინასწარ ექნებათ გაკეთებული. პირადად გლდანის ოლქს ვაკვირდები. ეს ისეთი უბანია ყველა ერთმანეთს იცნობს. ადამიანები მოდიან და მეუბნებიან, რომ კედლის სიებში გამოკრული გვარ-სახელების მქონე პირები ცხოვრებაში არ უნახავთ. ეს მიჩენს ეჭვს, რომ ასეთი პირები, სწორედ მიწერილი ადამიანები არიან. ამ კატეგორიას რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველი ჰქვია. ანუ ეს ის ამომრჩეველია, რომელიც რეგისტრაციის ადგილას 2012 წლის არჩევნებისთვის დაბრუნდა. საეჭვოა, რა მიზნით დაბრუნდნენ ეს ადამიანები მაინცდამაინც 2012 წლის არჩევნებისთვის?! გაყალბების კიდევ ერთი მეთოდი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ე.წ. მარაოს გამოყენებაა. ანუ როდესაც ყუთებიდან კონვერტები იყრება, უცებ კომისიის რომელიმე წევრმა, რომელიც ხმებს ითვლის და წინასწარაა გაფრთხილებული, შეიძლება რეალურ ხმებს მარაოს სახით გაყალბებული მიამატოს. ეჭვი ჩნდება კიდევ ერთ ფაქტზე — ამ არჩევნებზე შემოიღეს ჟილეტები — კომისიის წევრებს კენჭის ყრის დღეს აუცილებლად უნდა ეცვათ ჟილეტები. რატომ ფამფარა ჟილეტი და არა მაისური?! ესეც გაყალბების ერთ-ერთი საშუალებაა. მიჩნდება ეჭვი, რომ სწორედ ამ ჟილეტის მეშვეობით, ისინი ხმების თვლის პერიოდში გაყალბებისთვის ემზადებიან — შეიძლება გამოყენებული იქნეს მარაოც. საოლქოში კომისიის წარმომადგენლებს მაისურები ეცმევათ, მაგრამ უბანზე — ჟილეტები. თქვენ იცით, რომ ყველაზე დიდი გაყალბება სწორედ უბანზე ხდება, ოლქში ხმები არ ითვლება. შემაჯამებელი ოქმის დაწერის დროსაც დიდი ყურადღებაა საჭირო. ოქმის შევსების დროს ყველა ციფრი ზუსტად იმ რაოდენობით უნდა ჩაიწეროს, რაც ხმამაღლა გამოცხადდა, ანუ მომსვლელი რაოდენობაზე ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს.

— ვინ გააკონტროლებს ამ მექანიზმს, რატომ ითვლება ეს გაყალბების საფრთხედ?

— მოგახსენებთ, თუ არ ვინიშნავ, არ ვიწერ, თავისუფლად შემიძლია ხმამაღლა სხვა ციფრი ვთქვა და სულ სხვა ჩავწერო. ან სპეციალურად შემეშალოს ციფრი და შესწორების ოქმში გადატანისას არასწორი ციფრი დავაფიქსირო. დამკვირვებელი ამ ყველაფერს უნდა დააკვირდეს. მოსახლეობა უნდა გავაფრთხილოთ იმაზეც, რომ ბიულეტინში სია მეორე გვერდზე გადადის და ამომრჩეველი ამან შეიძლება დააბნიოს, უცებ ვერ იპოვოს სასურველი ნომერი, რადგან ბოლო ციფრები მეორე გვერდზეა. კიდევ ერთი მომენტი: თუ კაბინაში შესულ პირს დახმარება სჭირდება (ვთქვათ, პენსიონერს სათვალე დარჩა და ა.შ.) არავითარ შემთხვევაში დახმარების გაწევა არ შეუძლია არცერთ იქ მყოფ პირს (ეს დიდი დარღვევაა), გარდა მომდევნო ამომრჩევლისა.

— თქვენ გაყალბების რამდენიმე მეთოდი ჩამოთვალეთ. რამდენად დიდია ხელისუფლების მიერ ამ რესურსის გამოყენების ალბათობა? როგორც საუბრობენ გაყალბების მეთოდები ხელისუფლებამ დახვეწა.

— ხელისუფლება ყველა მეთოდის გამოყენებას ეცდება, ძირითადი მაინც ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ამ მეთოდების გამოყენების ძალიან დიდი საფრთხე არსებობს. გაყალბების მეთოდების დახვეწაში სწორედ ეს შეიძლება ვიგულისხმოთ — ხელისუფლება შეიძლება ადამიანის გადაღებულს აღარ ენდოს და „სომხური კარუსელი“ გამოიყენოს და იმის დამამტკიცებლად, რომ მათ გატანებული ბიულეტენი ნამდვილად გამოიყენეს, ცარიელი ბიულეტენი მოთხოვონ ამომრჩეველს, რომელსაც რეგისტრატორი გასცემს ამის პრევენცია არსებობს — ამომრჩეველმა საერთოდ გააფუჭოს წინასწარ მიცემული ბიულეტენი, ანუ ყველა გადახაზოს და გააბათილოს ბიულეტენი.

— გაყალბების კიდევ ერთი მეთოდი ისიც ხომ არაა, რასაც საზღვარგარეთ მყოფი ქართველების მიმართ აკეთებენ.

— დიახ, რა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე დიდი დიასპორა რუსეთშია. რუსეთში საარჩევნო უბანი არ იხსნება იმიტომ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი გვაქვს. საელჩო არ გვაქვს. რაც მთავარია, შვეიცარიამ ამ არჩევნებში ჩარევაზე უარი თქვა. უგუნური ქმედების გამო, საქართველოს მოქალაქეს, ნების დაფიქსირების უფლება არ აქვს. ასე, რომ ნახევარი მილიონი ხმა იკარგება.

აი, ამ ვითარებაში ვართ. მიუხედავად ამისა, ნურავის შეეშინდება, მთავარია ის მოტივაცია, რის გამოც ხალხი არჩევნებზე მასობრივად უნდა მოვიდეს — ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ.

თამარ შველიძე

arCevnebs nacmoZraoba pirwmindad waagebs, magram Tavs mainc gamarjvebul ad gamoacxadebs

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამა ბასილ, როგორ მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც დიდი სარწმუნოებით და წმიდა ცხოვრებით არ გამოირჩევა, მღვდელმთავრის კურთხევით წმიდა ტაძარზე ავიდა და იქ ჯვარი აღმართა? ჯალალედინმა ტახტი დაიდგა სიონის გუმბათზე, ამან ჯვარი, ხედავთ რაიმე მსგავსებას?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

საქართველოს მოსახლეობის ის უმრავლესობა, რომელიც საღად აზროვნებს და აცნობიერებს, რაც ხდება ჩვენს თავს, შეაძრწუნა იმ ფაქტმა, რომ მამობილშვილობილმა უტიფრად აღმართეს ჯვარი ბაგრატის ტაძრის გუმბათზე.

გეკითხებით, რომელ მღვდელმთავრებზეა ლაპარაკი, როდესაც ზემოთნაგულისხმევ ვითომ სასულიერო პირს ღვთიური არაფერი ჩაუდენია წარსულში. რაც შეეხება მის შვილობილს, საქართველოს ნგრევის მეტი არაფერი გაუკეთებია, ხელისუფლებაში მოსვლისას ხალხს სიღარიბის მოსპობას შეჰპირდა. მართლაც მოსპო თავის გუნდში სიღარიბე — სასახლეები აიგეს. ახლა კიდევ შეცვალეს ლოზუნგი — „მეტი სარგებელი ხალხს“, რომელ სარგებელზეა საუბარი. სუფთა ანტიქრისტეა და ხალხის სასარგებლოდ რაიმეს გააკეთებს?

რაც შეეხება ჯალალედინსა და პრეზიდენტს, მართლაც კარგი შედარება მოიტანეთ. ჯალალედინმა სიონს გუმბათი მოხსნა და იქ ტახტი დაიდგა. ეს მართლაც დეპატრონა საქართველოს. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მართლმადიდებლობას ყველა სექტა გაუტოლდა, მისი პრეზიდენტობისას დავკარგეთ დავით



ადგამს. პირდაპირ ვაცხადებ, მის დადგმულ ჯვარს არანაირი მადლი არ ექნება.

დრტვინავს ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი მიწა. ამათთვის ანაცვალეს საკუთარი სიცოცხლე სარწმუნოებისა და ერის ინტერესებს?

— სისხლი მაგათ არ უკვირთ, მამაო.

— ჩვენი ეკლესიის დარბევა და მრევლის მიერ დათხეული სისხლი ეკლესიის ტერიტორიაზე იქნება მარტო საკმარისი. ეს ხომ მისი ბრძანებით მოხდა?! შეგახსენებთ 7 ნოემბერს, 26 მაისს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობას, სანაპიროზე ახალგაზრდების ჩაცხრილვას, აკადემიკოს გურამ შარაძის ქალაქის ცენტრში დათხეულ სისხლს, ვინ მოთვლის მის დანაშაულებს. დღეს კი თითქოს უცოდველი იყოს, ჯვარს აღმართავს. დარწმუნებული ვარ, ეს მისი მამობილის კალისტრატე მარგალიტაშვილის ინიციატივა იყო.



მეუფე იაკობი (იაკობაშვილი)

მიშა ისე არის ჩვენი ერის ზიზღით გაჟღენთილი, სავარძლის შენარჩუნებისთვის, არ გაგიკვირდეთ, მსგავსი რამ კიდევ ჩაიდინოს.

— საპატრიარქოს კულუარებიდან შევიტყვე, პატრიარქის გადაყენებას არჩევნების მერე აპირებენ, ხალხში არეულობა რომ არ გამოიწვიონ. ასე ადვილად შეიძლება პატრიარქის გადაყენება?

— როგორც ვიცი, დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლები გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით ხშირად მსჯელობენ პატრიარქის გადაყენებაზე და ახალი, მათთვის სასურველი პიროვნების დანიშვნაზე. კანონიკურად ეს ასე არ ხდება. პატრიარქი ყოველ შობის ღამეს წერს ანდერძს — მისი სიკვდილის შემთხვევაში ვინ იქნება პატრიარქი. ეს იკეტება სეიფში და არავინ იცის გასაღები. თუ პატრიარქი შეატყობს, რომ ვერ მართავს სამწყოსს, მოიწვევს კრებას და განაცხადებს: მე მივდივარ და მოსაყდრედ ვნიშნავ ამა და ამ პიროვნებასო. ვინც დაინიშნება მოსაყდრედ, პატრიარქის მოვალეობას ასრულებს ის, მაგრამ წირვა-ლოცვებში ისევ პატრიარქი მოიხსენიება. მაგრამ

ამ მთავრობის ხელში ყველაფერი უკულმაა, რასაც მოისურვებენ, იმას აკეთებენ, ისიც არ არის გასაკვირი, თვითონ დასვან პატრიარქი მათი პოზიციის მხარდამჭერად და ამით გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა.

ანტიქრისტეს მოციქულებმა რომ ჯვარი აღმართეს, პატრიარქი არ მივიდა. მერე ბრძანებაც გასცა შეჩერებულიყო ტაძრის აღდგენა, ახლა ყველა მიიწვია ტაძრის გახსნაზე. საზოგადოებას ვერ გაუგია პატრიარქის პოზიცია. ხან სააკაშვილთან დგას, ხან ივანიშვილთან. მართალია, პატრიარქს ყველა უნდა უყვარდეს, მაგრამ დაძაბულობა, რომელიც, სამწუხაროდ, უფრო იზრდება, მეტწილად მისი ბრალია. მან უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა და დამწაშავე დასაჯოს. ხალხი დაბნეულია. ვის მიმართონ, ვერ გაურკვევიათ — მოდის ხალხი ჩემთან სხვადასხვა კითხვებით.

— თქვენი მოსაზრებით, ხელისუფლებისთვის სასურველი პატრიარქი ვინ შეიძლება იყოს?

— წარმოიდგინეთ, რომ პატრიარქობა ბევრს უნდა. ეს ის ეპისკოპოსები არიან, რომლებიც მუდამ სააკაშვილის ქება-დიდებაში არიან. მათ არ იციან, რომ პატრიარქის უღელი უმძიმესია. ისინი ნამდვილად ვერ გაუძლებენ ამ დატვირთვას. სააკაშვილს შერჩეული ჰყავს მეუფე აბრამ გარმელია, რომელიც დღეს ჩუმად არის, ვითომ არავის საქმეში არ ერევა. ეს ადამიანი მას დროებით სჭირდება, მერე კი პეტრე ცაავას დანიშვნა უნდათ, რადგან ის ჯერ ახალგაზრდაა და სინოდის სხდომაზე მხარს არ დაუჭერენ.

— მამა ბასილ, თუ ივანიშვილი არჩევნების შემდეგ პოლიტიკურად უფრო გაძლიერდა, ვინ შეიძლება მოვიაზროთ პატრიარქობის კანდიდატად?

— როგორც უკვე გითხარით, პატრიარქის არჩევაში ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ასე ხდება.

იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილი გაიმარჯვებს, ის არ ეცდება პატრიარქის შეცვლას, რადგან ბოლო დროს მათი ურთიერთობა უკეთესი ხდება. თუ მაინც და მაინც საჭირო გახდა არჩევა, ქართველი ხალხისათვის მეუფე იობ აქიაშვილზე და მეუფე იაკობ იაკობაშვილზე უკეთესი კანდიდატურები არ არსებობს.

— რას გიგრძნობთ გული არჩევნებთან დაკავშირებით?

— მართალი გითხრათ, არაფერს კარგს, პირიქით. ამ არჩევნებს „ნაც.მოძრაობა“ წააგებს, მაგრამ თავის თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს, მოხდება დიდი დაპირისპირება, სადაც ჩაერთვებიან საერთაშორისო ძალები.

ვფიქრობ, ისე აირევა ყველაფერი, რამდენიმე თვეში აუცილებლად დაინიშნება მეორე საპარლამენტო არჩევნები, რის შემდეგაც მდგომარეობა ცოტა დაწყნარდება.

წინა კვირას პატრიარქმა იქადაგა და მოუწოდა ყველას — მთავრობასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, მივიდნენ ბაგრატის ტაძარში და გახსნას დაესწრონ. ასეთივე მოწოდება გააკეთა სააკაშვილმაც.

მეუფე იობი (აქიაშვილი)

როგორც ჩანს, სააკაშვილი უკვე გრძნობს არჩევნებში დამარცხებას, ამიტომ პატრიარქს დაავალა ისეთნაირად ექადაგა. მისი სურვილია, როგორმე ოპოზიცია დაიყოლიოს, მოსაჩვენებლად მათთან დაძაბული ვითარება ცოტა შეარბილოს. თავს იზღვევს საერთაშორისო არენაზე, რომლებიც ყოველდღე მოუწოდებენ იყოს ყველას მიმართ კორექტული.

— ბერი მერკვირის გარდაცვალებაზეც მითხარით რამდენიმე სიტყვა. ვის შეეძლო მისი მოკვლა? სასულიერო პირებს ეს საფრთხე ყველას ემუქრება, ვინც ამ მთავრობას ამხელს?

— ამ კითხვაზე ძალიან მოკლედ გიპასუხებთ. ბერი მერკვირი მოკლა მან, ვინც დაგეგმა გირგვლიანის მოსპობა, ვინაც განახორციელა გურამ შარაძის დაუნდობელი მკვლელობა, ვინაც მოაწყო 7 ნოემბერი, 26 მაისი, და ა.შ. ვინც იყო მიზეზი სამაჩაბლოს ომისა და პირტიტველა ბიჭების ჩახოცვისა, ვინც ახორციელებს ქართველთა გენოციდს.

— ქართველი ხალხი თქვენ გიცნობთ, როგორც მებრძოლს რადგანაც ხშირად გამოდიხართ ობიექტური კრიტიკით. არ გეშინიათ, როგორც ბერი მერკვირი გამოწვეს კელიაში, თქვენც მოგიწყონ მსგავსი რამ?

— როდესაც მღვდლად მაკურთხეს 1990 წელს, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში, მაშინ დავდე აღთქმა, რომ მივბაძავდი იოანე ნათლისმცემელს მხილებაში. ასეც ვაკეთებ. რაც შეეხება მუქარას, არის, რა თქმა უნდა, როგორც საპატრიარქოდან, ასევე მთავრობიდან, მაგრამ ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე უკვე 67 წლის ვარ. ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. მეტნაკლებად ვალი მოვიხადე ერისა და ბერის წინაშე. ისიც ვიცი, შეიძლება, სიცოცხლესაც გამომასალმონ, თუმცა ამასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაც სწრაფად გააკეთებენ, მით უკეთესი ჩემთვის. რაც შეეხება ბერ მერკვირის, მას ახლოს ვიცნობდი. ისიც ჩემსავით ვერ იტანდა უსამართლობას, განსაკუთრებით იმას, რაც ხდებოდა საპატრიარქოში თუ მთავრობაში. ამიტომაც მოკლეს და შემდეგ გამოწვეს საკუთარ კელიაში.

— რა გაძლევთ ამის თქმის უფლებას?

— ის, რომ სიკვდილის წინ მან ძალიან მკაცრი წერილი გამოაქვეყნა, მეორეც სანამ მის კელიას ცეცხლი წაეკიდებოდა, 20 წუთით ადრე თავისი სულიერი შვილისთვის დაურეკავს და უთქვამს — სასწრაფოდ მოდი, აუცილებელი საქმე მაქვსო. ეს ადამიანი თბილისში არ იმყოფებოდა. მეორე დღეს, მასთან რომ მივიდა, დამწვარი დახვდა. ეს ამბავი უშუალოდ ამ პიროვნებამ მიამბო. მოკლედ ესენი არავის ტოვებენ „უპასუხოდ“, სანამ ხელისუფლებაში არიან, მათგან ბევრ უბედურებას უნდა ველოდეთ.

ირანდა კალანდაძე

სააკაშვილი ქართველი ხალხის სისხლით მოსვრილი ხელებით წმინდა ჯვარს იღებს და ეკლესიის გუმბათს

გარეჯი, ვარძიას სომხები ითვისებენ. ზარ-ზეიმით მოიწვიეს გარეგინი — 653 ეკლესიას ითხოვს, მეტი რა გითხრათ, ხალხო; საქართველო თითქოს ჩვენია, მაგრამ ჩვენი არ არის. ჯალალედინიც იგივეს აკეთებდა.

t ragiku l i Cixi

სააკაშვილი და „ნაცისტები“ 1 ოქტომბერს ვა-ბანკზე წავლენ!

ვესაუბრებით პარლამენტარ
პეტრე მამრაძეს

— ბატონო პეტრე, წინასაარჩევნო პერიოდში თითქმის ყველა პარტიამ თავისი რეალური სახე გამოაჩინა, ამ ფონზე საკმაოდ გამოიკვეთა ქრისტიან-დემოკრატებისა და „ნაციონალების“ ერთიანობა და „ძმობა“, საარჩევნო კომისიებმა ორი კვირა მუშაობს დაიწყო და ყველა უბანსა თუ ოლქში მათი ტანდემი ღიად გამოიკვეთა, თუმცა სატელევიზიო გამოსვლებში გიორგი თარგამაძე ღიად აფიქსირებს, რომ სურს საპრეზიდენტო ტახტზე ასვლა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ცოტა უზნეო თამაშს ჰგავს, თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას?

— ვიტყვი იმას, რომ დღეს „დეკორატიული ოპოზიცია“ ჰაერივით სჭირდება „ნაციონალებს“, უფრო სწორად კი რეჟიმს, დიდი ხანია ეს პარტია არ არის, ეს გახლავთ რეჟიმი. ჯერ კიდევ 2010 წელს „ეუთოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საქართველოში წაშლილია საზღვარი „ნაციონალურ მოძრაობასა“ და სამთავრობო აპარატს შორის. შემზარავი ის გახლავთ, რომ ხელისუფლების ყველა შტო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომელნიც უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, საქართველოში წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელიც ცენტრიდან იმართება, ამას უკვე მთელი უცხოეთი მიხვდა.

ამიტომ, ამ ფონზე, ხელისუფლებას სურს დაგვიმტკიცოს, რომ ქვეყანას ჰყავს ოპოზიცია, ხოლო არჩევნებში 65 პროცენტით მოსვლის შემთხვევაში, სურთ პარლამენტში გაიყვანონ ასეთი ლოიალური ოპოზიციის წარმომადგენლები, როგორც არიან როგორც მორჩილი და მონა — „ქრისტიან-დემოკრატები“, ასევე „ახალი მემარჯვენეები“ ან სხვა რომელიმე პარტია. ამას იმიტომ სჩადიან, რომ სიკვდილივით არ სურთ ერთი-ერთზე პირისპირ დარჩნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ პირისპირ ესენი. ებღაუჭებიან ამ სქემას, თუმცა, შიშვლდებიან და ყველასთვის ნათელი ხდება მათი შიში.

თომას დე ვაალმა, ცნობილმა უცხოელმა ექსპერტმა, სწორად შეაფასა და შენიშნა, როდესაც თქვა: „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკოსობა იმაშიც ნათლად გამოიკვეთა, როდესაც მან ღიად თქვა ქვეყანაში ის, რაც ყველამ იცის“. „ქრისტიან-დემოკრატები“ არიან არა ოპოზიციური პარტია, არამედ „ნაციონალური მოძრაობის ფილიალი“!

— ერთი რამეც კარგად გამოიკვეთა ბოლო პერიოდში, შიშს ვერ სძლიეს ნაციონალებმა...

— იცით რა, საქმე აქვთ ძალიან ცუდად და ეს კარგადაც იციან, ამიტომაც ჩაატარეს „მარაზმატული ჭინთვები“ ქვეყნის 11 ქალაქში. ეს გახლდათ ორგანიზებული ყრილობები, სადაც მოწვეული ჰყავდათ საბავშვო ბაღის მუშაკებიდან დაწყებული ჯარში ან პოლიციაში მომსახურეებისა და ამათი ოჯახის წევრები.

„ნაციონალების“ ყველა გამოსვლაში ჩანს, რომ პანიკაში არიან ჩავარდნილნი. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ სააკაშვილმა თელავში განაცხადა, ამდენი ხალხი რომ დაგინახეთ მოსული, ათი წლის სიცოცხლე მომემატაო. სინამდვილეში უბედურს სიცოცხლე აკლდება, იმიტომ, რომ პანიკიორია.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მათი შიდა კვლევების ჩატარებიდან გამოჩნდა, რომ მათ ხმები სულ უფრო აკლდებათ და აკლდებათ, რაც უფრო უახლოვდებიან არჩევნებს. ასევე, ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში მობილიზებულია ე.წ. ზონდერბრიგადები და სპეციალური დანიშნულების რაზმები, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე, თავდაცვის სამინისტროში, რომლის შემადგენლობაშიც არიან ბასიშვილის, უდესიანისა თუ რურუას ხალხი. აქვე მინდა დავამატო, არის ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თბილისში, ყველა რაიონის სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობს სპეციალური წვრთნები ახალგაზრდებისა, მოსალოდნელი აქციის მონაწილეთა დასარბევად. დაცვის პოლიციის თანამშრომლებს კი განუცხადეს, ვინც იცნობს თავის მეზობლად თუ ახლობლებში „ქართული ოცნების“ მომხრეებს, თითოეულმა მათგანმა უნდა წარუდგინოს უფროსობას 10 ადამიანის სია!

ადრე ამბობდნენ, რომ „ოცნებას“ არჩევნებში „დაუწერდნენ“ 20-25 პროცენტს, ახლა ცოტა მოუმატეს, 35 პროცენტს ჰპირდებიან. გაპროტესტების შემთხვევაში კი ძალით უპირისპირდებიან.

ფაქტობრივად, „ნაციონალებს“ დაავიწყდათ ახლო წარსული, თავადაც საპარლამენტო არჩევნების გაპროტესტების შედეგად არ მოვიდნენ სათავეში?

ეს ბოლო ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონ ალეკო ელისაშვილმა ასეთი ფრაზა ამოაგდო: „ბიძინა ივანიშვილი ბოლოს ბოლოს ეგ ბიჭია, ეგ ბიჭია, ეგ ბიჭია“. ეს ფრაზა ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ბოლოდ ბოლოს ეს ბიჭი ბოლოს ბოლოს ეგ ბიჭია, ეგ ბიჭია, ეგ ბიჭია,

27 seqtembers devniLTa didi yriloba gaimarTeba

გვესაუბრებიან დევნილთა ყრილობის ინიციატორები – აფხაზეთიდან და სამაჩაბლოს რეგიონიდან დევნილთა საზოგადოებრივი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე გოგი ფაცაცია და ორგანიზაციის წევრები: რევაზ ძობალია და დავით გულუა.

გოგი ფაცაცია: აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა საზოგადოებრივი საკოორდინაციო საბჭო სამი თვის უკან შეიქმნა. ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი. თავმჯდომარედ მაშინ გურამ ოდიშარია დაინიშნა. მას შემდეგ, რაც ის სენაკში მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა, მე ამირჩიეს თავმჯდომარედ.

მე თვითონ სამი თვეა, რაც ამ ორგანიზაციის ვხელმძღვანელობ და მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისსა და მის მახლობლად აბსოლუტურად ყველა დევნილთა დასახლება შემოვიარეთ, მთელ საქართველოში ვინახულეთ დევნილები, ვნახეთ მათი საცხოვრებელი პირობები, საშინელი მდგომარეობაა, გაუსაძლისი. მაგრამ, რომ იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ჩვენ რომ მივდოდით წინა დღეს, მეორე დღეს ნაციონალები ესტუმრებოდნენ და ელემენტარულ რაღაცებს უკეთებდნენ ისევ მათგანვე მიტოვებულ და გაწირულ დევნილებს.

– თქვენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ ასეთ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი დევნილები გასულ არჩევნებში თითქმის ყოველთვის მაინც ხელისუფლებას აძლევდნენ ხმას?

რევზო ძობალია: ვერ დაგეთანხმებით, რომ დევნილები მასიურად უჭერდნენ მხარს ნაცმოძრაობას. დევნილთა მაქსიმუმ 40 პროცენტი არის კომპაქტურად ჩასახლებული. იმ ადგილებში, სადაც შედარებით უკეთესი პირობებია, ისინი, ალბათ, აძლევენ ხმას. დევნილების 60 პროცენტი, ანუ დიდი უმრავლესობა კერძო ჩასახლებებშია, ისინი თვითონ იქმნიან საცხოვრებელ პირობებს. ასე, რომ, არავისზე არ არიან დამოკიდებული და არ დაუჭერენ მხარს ხელისუფლებას.

დავით გულუა: მიტინგები რომ იმართებოდა, იცით, პროცენტულად, რამდენი იყო დევნილი იქ? გაეროს მონაცემებით, 265 272 ადამიანია დევნილი, ამ რაოდენობაში ცხინვალელი დევნილებიც შედიან, მოწმობები აქვთ, მაგრამ თბილისში არ ცხოვრობენ, საქართველოდან მათი უმეტესობა გასულია.

– ეს არ გაუთვალისწინებია კაციტაძის კომისიას?

გოგი ფაცაცია: ამ კომისიის წევრები ჩემთან არ მოსულან და არც ჩემს მეზობლებს უნახავთ მსგავსი ვინმე. სად იყვნენ, არ ვიცი.

მთელი საქართველო და თბილისი ამბობს, რომ გარიგება მოხდა, რათა 5-6 კაცი მემარჯვენეებმა გაიყვანონ პარლამენტში.

– გამოსავალი რა არის?

– მონდომებაა მთავარი. ჩვენ გვქონდა შეხვედრები, სადაც ოჯახებით გამოდიან და გვეუბნებიან, რომ ყველა უჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“.

დავით გულუა: ჰკითხეთ დევნილებს უჭერენ თუ არა მხარს აფხაზეთის დევნილ მთავრობას. მაშინ მიხვდებით აქვს თუ არა დევნილებში რეიტინგი ხელისუფლებას დევნილთა სერიოზულ შეხვედრებს ნაციონალები ვერ ესწრებიან. არ მიესვლებათ არსად.

დევნილმა ქალმა ნანა ფიფიამ თავი დაიწვა დევნილთა სამინისტროს წინ, არავინ გამოხმაურებია ამ ამბავს და რეაგირება არ ყოფილა სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიდან. თანდათან ხვდება ყველა დევნილი, რომ მათი ბედი სახელმწიფოს არ ანაღვლებს. არავინ არაფერზე პასუხის გამცემი არ არის და ესაა სახელმწიფო.

– თქვენმა ორგანიზაციამ რა გააკეთა, ამ არჩევნებში რომ ოდნავ მაინც უკეთესობა იყოს?

– ფქვილზე და შაქარზე გაყიდული ხალხი უკვე აღარ არსებობს, რადგან საკმარისად გათვითცნობიერდა მოსახლეობა ამათ ტყუილებში. ნაციონალებს რომ ჰგონიათ, მათი ამომრჩევლები არიან, ისინიც კი არ მისცემენ ხმას. თვითონ მოდიან ჩვენთან ოჯახებით და გვეუბნებიან, რომ ივანიშვილის გამოჩენამ ძალიან დიდი და დადებითი როლი ითამაშა. იმედი გაუჩნდა ხალხს და ბრძოლის უნარი. ჩვენთან შეხვედრებზე 100-200 დევნილი მოდის ხოლმე, ლილოში ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრაზე 400 კაცი იყო.

დავით გულუა: სამეგრელოში უამრავი დევნილი გამოვა აქციაზე, ნახავს ამას მთელი საქართველო.

გოგი ფაცაცია: „ქართულ ოცნებაში“ 7 სექტემბერს გვქონდა დიდი შეხვედრა, იყვნენ აფხაზეთის წარმომადგენლებიც და ცხინვალისაც. ბატონი ბიძინა დაგვპირდა, რომ აუცილებლად დავბრუნდებით ჩვენს სახლებში, ნელ-ნელა, მაგრამ ეს შესაძლებელია. მანამდე დევნილების კორპუსებს ავაშენებთ, 3-4 ოთახიან ბინებს ყველა დევნილისთვისო. 200 ლარზე ნაკლები არ იქნება დევნილის დახმარებას, ვისაც სურვილი ექნება სოფელში დასახლდეს, შევუსყიდით 2000 კვ.მ. მიწას, ვუყიდით ძროხას, ქათმებს, მივცემთ სასუქს, სახნავ-სათეს მექანიზმებს, რომ მოაწყოს მეურნეობაო.

დავით გულუა: რამდენიმე დღის წინ შეიკრიბა აფხაზეთის ძირითადი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ

27 სექტემბერს ჩატარდება დევნილთა დიდი ყრილობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა დევნილი, ვინც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობს.

ყრილობაზე, ცხადია, აფხაზეთის და ცხინვალის დევნილები იქნებიან. ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა შედგება დევნილთა ერთიანი ყრილობა და ყველა კუთხიდან დევნილთა დელეგატები მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენ გავახმოვანებთ ჩვენს მოსაზრებას იმაზე, რაც ხდება საქართველოში, სად ვართ დევნილები და რის გაკეთებას ვაპირებთ 1 ოქტომბრისთვის. ჩვენს ძალას დავანახებთ ხელისუფლებას.

ირანდა კალანდაძე

rogor pirobebSi cxovroben afxazeTisa da cxinvalis omis veteranebi?

როგორ პირობებში ცხოვრობენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანები: დაწყლულებული ჭრილობებზე გაკეთებული ხის პროთეზები, გაუყუჩებელი ტკივილები... აი, დაკარგული თაობის შვილების კიდევ ერთი ისტორია

ჩვენი სტუმრები არიან: აფხაზეთის ომის ვეტერანი გიორგი შანშიაშვილი და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი უჩა კანდელაკი, რომელიც დაკავებულია ადამიანების უფლებათა დაცვის საკითხებით.

უჩა კანდელაკი: ზოგიერთი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, წლების მანძილზე უშუალოდ ვეტერანებისგან ვიცი დღევანდელი ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტის დამოკიდებულება მათდამი.

ვეტერანების პენსია და დღეს არსებული დაზღვევის სისტემა ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მათ სოციალურ და სამედიცინო მოთხოვნებს. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი დროშების ფრიალით პომპეზურად ხსნის „საერთაშორისო სტანდარტების საავადმყოფოს“ ომის ვეტერანთა დიდების სამხედრო ჰოსპიტალს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის, ასევე საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული სხვა ომებისა და 90-იანი წლებში ტერიტორიული მთლიანობისათვის ომების ვეტერანებს ემსახურება, ვეტერანებისათვის, ელემენტარულად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აუცილებელი წამლების გაცემის საშუალება არ გააჩნია. ჰოსპიტალში არ აქვთ თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, პალატებში ანტისანიტარულად მომზადებულ კერძებსაც უხვად შეხვდებით და ფიზიკურთან ერთად მორალურადაც ნადგურდებიან ჩვენი ისტორიის ცოცხალი მოჰიკანები.

პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი ვეტერანები ასე ხსნიან – ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის ომების დროს, დღევანდელი მთავრობის საპარლამენტო ხელისუფლების დიდი უმრავლესობა წვევამდელი ასაკის კი იყვნენ, მაგრამ ლაჩრები არიან და იმალებოდნენ, ამიტომ აღიზიანებთ ეს თემა. ვისაც ჰგონია, რომ სიტყვა „ლაჩარი“ გადამეტებული ეპითეტია ჩვენი ხელისუფლებისთვის, მას შევახსენებ რიგებს წითელ ხიდთან და პრეზიდენტის ოლიმპიური შემართებით სირბილს გორში.

– ბატონო გიორგი, რამდენადაც ვიცი, თქვენ აფხაზეთის ომის ვეტერანი ბრძანდებით. ჭრილობა იქ მიიღეთ?

გიორგი შანშიაშვილი: მეზღვაური ვარ. შორეული ნაოსნობიდან როგორც კი ჩამოვედი, მაშინვე აფხაზეთში წავედი, იქ უკვე მომწიფებული იყო კონფლიქტი. ვერ ვიტყვი, რომ აფხაზეთში არეულობის დაწყებას არ ველოდით. მერაბ კოსტავა ჯერ კიდევ როდის ამბობდა, აფხაზეთსა და ოსეთს რუსეთი არ დაგვითმობსო. საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ კაგებე დღესაც იგივე რეჟიმით მუშაობს. “მხედრიონის” დაჯგუფების შექმნის მოწმეც ვარ. თავიდან “მხედრიონში” სულ სხვა ხალხი წევრიანდებოდა. იქ შეხვდებოდით პროფესორსაც, დოცენტსაც, ინჟინერსაც და ექიმსაც. შემდეგ ჩამოყალიბდა გაურკვეველი ხალხით დაკომპლექტებული რაზმები ”თეთრი არწივი”, “შავი ყვავი” და ა.შ.. თუმცა მე მხედრიონის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. აფხაზეთში ჟურნალისტებთან ერთად წავედი. იქ მივიღე ჭრილობა ფეხის არეში. ვარ I ჯგუფის ინვალიდი.

–სახელმწიფოსგან რა სახის დახმარებას იღებთ?

– მხოლოდ პენსიას. ბოლო დღეებში ძალიან ცუდად ვიყავი. მინდოდა გადასხმა მაინც გამეკეთებინა. ვენების გაწმენდა და გადასხმა, ამ დაავადების დროს, აუცილებელია. დიდუბის სამხედრო ჰოსპიტალში მივედი. აღმოჩნდა, რომ 4 წამლიდან არც ერთი არა აქვთ. მხოლოდ გადახვევა გამიკეთეს და ისევ უკან გამოვბრუნდი. ჰოსპიტალთან ძალიან ახლოს ვცხოვრობ, მაგრამ იქამდე დამოუკიდებლად ვერ მივდივარ. ადრე მომცეს სილიკონის სპეციალური პროთეზი, მაგრამ რამდენიმე ზომით პატარა იყო, ამიტომ ვერ გამოვიყენე. მოვახერხე და შევხვდი ჯანდაცვის მაშინდელ მინისტრს ალექსანდრე კვიტაშვილს. დამპირდა პროთეზის გაკეთებას. გავიდა 3 თვე, 6-იც და წელიწადიც. დანაპირები არსად სჩანდა. ერთი ჩემი მეზობელი “ნაცებშია”. შევეცოდე. დამპირდა, როგორმე დაგეხმარებიო. მოკლედ დიდი ამბით გადმომცეს ხის პროთეზი. რა მეთქმის, ბიჭების უმეტესობაც ეგეც არა აქვთ. როგორც ვიცი, ზოგი ვეტერანი კიდევ უარეს დღეშია.

დიდუბის ჰოსპიტალში 20 წელია ცხოვრობს ოჩამჩირელი ვიტალი ჯავახია. უკვე ლოგინად არის ჩავარდნილი. თითქმის ვერ ლაპარაკობს. იქ კიდევ სხვა ვეტერანებიც ცხოვრობენ. ბევრჯერ იყო ჰოსპიტლის გაყიდვაზეცაა საუბარი. ჯერ ის როგორია, რომ იძულებული ხარ მთელი ცხოვრება ჰოსპიტალში გაატარო, აუტანელ პირობებში, სუნში და მერე ის, რომ ერთ დღეს საერთოდ ქუჩაში აღმოჩნდე. შემიძლია იქ მიგიყვანოთ და ფოტოები გადაგაღებინოთ. მაგრამ სუნს როგორ გადაიღებთ? გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ ბიჭები. რამდენიმე ვეტერანი შარშან ზამთარში დაიღუპა. კუკიის სასაფლაოსთან ქოხი იყო, სადაც ცხოვრობდნენ. ზამთარში გაიყინენ. რამდენიმე ვეტერანს ვაზიანის სამხედრო ბაზასთან გამოუყვეს რაღაც შენობა, რომელსაც არც ფანჯარა ჰქონდა და არც კარები. თავისი ხელებით ააკრეს ბიჭებმა ფანჯრებიც და კარებიც. სკამიც არა აქვთ. ტელევიზორის ყუთებზე სხედან. 20 წლის ბიჭები წავიდნენ აფხაზეთში. დღეს ეს ადამიანები 80 წლის მოხუცებს ჰგვანან. დღეს ამ ადამიანებს წამლის ფულიც არა აქვთ. დღეს ეს ადამიანები ხელისუფლებამ დაივიწყა და მიატოვა. წყლულები აქვთ გაჩენილი ჭრილობებზე. რომელ კონვენციაშიც გინდათ, იმ კონვენციაში ჩაიხედეთ, რომელი კანონმდებლობა იტყვის, რომ ეს ადამიანის წამება არ არის? აფხაზეთში ერთი მებრძოლი გავიცანი. 2.20 მ. იყო სიმაღლეში. ბრგე ბიჭი იყო. ავტომატს ხელში ვერ ვიკავებო, ამბობდა, დიდი ხელები მაქვსო, ამიტომ ტვიამფრქვევით დადიოდა. წლების შემდეგ ეს ბიჭი რომ გენახათ, დაპატარავებული, გაჩიავებული, აკანკალებული ხელებით, ვერავინ დაიჯერებდა რომ მას ტყვიამფრქვევის ხელში დაჭერა საერთოდ შეეძლო. 1992 წლიდან დღემდე უამრავმა ომის ვეტერანმა მოიკლა თავი. გადარჩენილებს უფლის შიში და მომავლის იმედი გვაქვს.

თამუნა კეშელავა

maka lataria:

am saqmes bo l omde miviyvan, kargad daimaxsovr on es Zmebma Wakuebma

ორიოდე თვის წინ ჩვენ ვწერდით კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხობის რაიონის უფროსის დიმა ჭაკუას და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსან გაგა მკურნალიძის მიერ გატაცებულ მაკა ლატარიაზე, რომელიც ჯერ გაიტაცეს და მერე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

მას შემდეგ ქალბატონმა მაკამ განცხადება შეიტანა საქალაქო პროკურატურაში მომხდარზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, თუმცა საქმეს მსვლელობა არ მისცემია, ქალბატონი მაკა პროკურატურას დაზარალებულად დღემდე არ უცვნია.

გთავაზობთ საუბარს მაკა ლატარიასთან:

— ქალბატონო მაკა, მას შემდეგ, რაც პროკურატურაში განცხადება შეიტანეთ მომხდარ ამბავთან დაკავშირებით, როგორ განვითარდა მოვლენები?

— პროკურატურიდან რომ დამირეკეს 26 ივნისის საღამო იყო. მოსაუბრე გამეცნო — ჯარჯი წიკლაური ვარ და მე ვიძიებ ახლა თქვენს საქმესო. იქნებ მოახერხოთ და ახლავე გამოხვიდეთო. მე სასტიკი უარი ვუთხარი, შვილიშვილი მყავს დატოვებული და სახლიდან გამოსვლას ახლა ვერ მოვახერხებმეთქი, თანაც დავპირდი, რომ მეორე დილით მე თვითონ დავუკავშირდებოდი. შევთანხმდით 27 ივნისის დღის ორ საათზე.

მეორე დღეს „ობიექტივში“ უნდა გამოვსულიყავი და მერე უნდა შევხვედროდი ჩემს ადვოკატს — გელა ნიკოლაიშვილს. ბატონ გელას ბიძა გარდაცვლოდა იმ პერიოდში და კახეთში იყო წასული, მის მაგივრად სხვა გამაყოლეს. პროკურატურაში რომ მივედი, დავურეკე ჯარჯი წიკლაურს და ვუთხარი, საშვი დაუშვით ჩვენზე მეთქი. ვინ თქვენზეო, ეს რა ნიშნავსო? მე ვუთხარი ჩემს ადვოკატთან ერთად მოვედი-მეთქი. მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, დაიბნა ადამიანი, თანაც წინა დღით მითხრა — მესამე სართულზე არის ჩემი კაბინეტი და იქ მობრძანდითო, მაგრამ საშვთა ბიუროსთან ჩხრეკა რომ გავიარეთ და საათიანად ყველაფერი მომხსნეს, იქ მითხრეს — მესამეზე კი არა, ბატონი ჯარჯის კაბინეტი მეოთხე სართულზეაო.

ბოლოს მაინც მესამე სართულზე აგვიყვანეს. ავედით მითითებულ ოთახში, ეს ადამიანი არ დამხვდა, მითხრეს: დაელოდეო. ნახევარი საათი ველოდეთ მე და ჩემი ადვოკატი. იქვე იყო პროკურორიც. გავიდა ნახევარი საათი და ურეკავენ პროკურორს. ის პასუხობს: მე რა უნდა დავიწყო, რა ვიცი, საქმეს არ ვიცნობო. ჩემი აზრით, წიკლაური ურეკავდა, რადგან ოთახში ჩვენც გარდა სხვა არავინ იყო.

ბოლოს როგორც იქნა მოვიდა ბატონი წიკლაური.

დაიწყო დაკითხვა.

5-10 წუთი გაგრძელდებოდა დაკითხვა, სადღაციდან გაისმებოდა ზარი, წამოხტებოდა პროკურორი, გავარდებოდა კაბინეტიდან, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დათო ჭაკუა — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — მეოთხე სართულზე იყო.

ადვოკატმა გამაფრთხილა: ვხედავ, სიტუაცია იძაბება და თუ აგვიყვანეს, არ შეგეშინდესო.

შვიდსაათნახევარს გასტანა ჩემმა დაკითხვამ. ამ ხნის განმავლობაში ბატონი წიკლაური ყოველ 10 წუთში კაბინეტიდან გარბოდა.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თვითონაც დაბნეული იყო ეს ჯარჯი წიკლაური და სად დარბოდა და რას აკეთებდა, მგონი, თვითონაც არ იცოდა.

— დაკითხვა მოხდა 27 ივნისს. მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— რომ დაასრულა ეს ე.წ. დაკითხვა პროკურორმა მითხრა: რაც ვილაპარაკეთ, ჩვენში დარჩეს და იქნება, იფიქროთ და კონსენსუსზე დათანხმდეთო?! ხომ იცით, მაინც ჩინოვნიკის სახელს ეხება ეს ყველაფერიო.

— თქვენ რა უპასუხეთ?

— ძალიან გავბრაზდი. რა შუაშია ჩინოვნიკი, ყველა ამ ქვეყნის მოქალაქე ვართ და რისი უფლებაც აქვს მას, ისეთივე უფლება მაქვს მე, ჩვეულებრივ მოქალაქეს შეურაცხყოფას თუ მომაყენებენ, უენოდ უნდა გადავყლაპო-მეთქი? ეს რა სამართლია-მეთქი?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელ ნანა კაკაბაძესთან ერთად ჩავატარე პრესკონფერენცია. ქალბატონმა ნანამ ილაპარაკა ჩემს საქმეზე. ღონისძიებას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ყველამ აღიარა, რომ არათუ 27 ივნისიდან დღემდე, არამედ 15-20 დღეში საზღვარგარეთის ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ეს საქმე გამოძიებული და მსვლელობამიცემული იქნებოდა.

სამი თვე სრულდება უკვე და მე დაზარალებულად არ მცნეს.

რომელ დაზარალებულობაზეა ლაპარაკი — ჩემმა ერთ-ერომა გამტაცებელმა გაგა მკურნალიძემ ნაცმოძრაობას 6 700 თუ 6 500 ლარი გადაურიცხა, ასევე დავით ჭაკუამაც. ტელეკომპანია „მაესტროში“ მოვისმინე ამის შესახებ და ყოველივე ამის მერე მკურნალიძეს თითს ვინ დააკარებს?! „ქართულ ოცნებას“ თითოეულ კაპიკს უთვლიან და ადამიანის გამტაცებელმა მკურნალიძემ რომ ფული ჩარიცხა ნაცმოძრაობის ფონდში, ეს დანაშაული არაა.

— დიმა ჭაკუა როგორ გრძნობს თავს? მანაც ხომ არ გადარიცხა, ნეტავი, ფული ნაცმოძრაობის სასარგებლოდ?

— არა, დიმა ჭაკუა, მოგეხსენებათ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი იყო ხობში. იგი მოხსნეს, ანუ უფლებამოსილება შეუჩერეს. ეს ადამიანი უნდა იყოს დაჭერილი, თუმცა როლანდ ახალაიას შტაბში წარმომადგენლად იმყოფება.

— ქალბატონო მაკა, თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანდით, ასეა არა?

— დიახ, მე ახლა წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ და გაგზავნილი ვარ ხობში არჩევნების დამკვირვებლად. ხობის რაიონში ყველაზე რთული ახალი ხიბულა, ძველი ხიბულა, საჯიჯაო და ხეთა. ამ სოფლებში ნაცმოძრაობა ყველაზე მეტად აყალბებს. მე ჩემი ხალხი მეყოლება. არ გავაყალბებინებ არავის არაფერს.

— თქვენი საქმე ახლა რა ეტაპზეა, ანუ რას აპირებთ?

— ჩემი საქმით გაეროს კომისიაც დაინტერესდა. მაგრამ ესენი ყველაზე მეტად იმაზე ღელავენ, ამერიკის ელჩმა არ გაიგოს ეს ამბავი.

თუმცა ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ესენი დროს წელავენ.

მე რომ შემიყვანეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ეზოში მკურნალიძის მანქანით, დაფიქსირებული აქვს ეს ვიდეოკამერას, რომელსაც ათვალიერებენ ყოველ ოთხ თვეში. ახლა უნდათ დროის გაწელვა, რომ არჩევნების მერე გახსნან ეს კამერები და წაშალონ, ალბათ, ფაქტი.

საქმე უბრალო არ არის, 15-დან 17-წლიანი მუხლი აქვთ ადამიანის გატაცებაზე შეკრებითობის პრინციპით.

— ჭაკუების დედა ისევ ხომ არ შეგხმიანებათ?

— შემთხვევის ღამეს, გახსოვთ, მირეკავდა, მაგრამ მერე, ალბათ, უთხრეს შვილებმა — აწი, აზრი არ აქვს არაფერს და აღარ დარეკო. გახმაურდა უკვე ეს საქმე. რაც უნდა იყოს, მე ვერ ვპატიობ ჭაკუებს ამას — ჩემი მოსწავლე იყო დიმა, კლასიდან კლასში მე გადამყავდა. ახია ჩემზე ყველაფერი.

ცდილობენ, ისეთი რამეები გააკეთონ. რომ მე გამამწარონ. ჩემს შვილს გერმანიიდან მოწვევა მოუვიდა და უმიზეზოდ ბლოკავენ. რის საფუძველზე — გაურკვეველია. ექიმია ჩემი ვაჟი და სამუშაოდ მიიწვიეს გერმანიაში. მოლაპარაკებები სკაიპის და ტელეფონის საშუალებით ხდებოდა და ისმენდნენ, ალბათ, ყველაფერს.

— თქვენი ვაჟი რა შუაშია ამ საქმესთან, მას რატომ არ უშვებენ გერმანიაში?

— გვამწარებენ თავიანთი ჭკუით. ჩემი შვილი სამუშაოდ მიდის და სასწავლებლადაც. უნდათ, რომ ჩაუშალონ ეს გეგმები.

ჭაკუები გაბოროტებული არიან და რა ვიცი, რას, მაგრამ რაღაცას ნამდვილად ელოდებიან და ამიტომაც წელავენ ჩემს საქმეს.

ვეჭვობ, არჩევნების შედეგებს უცდიან, მაგრამ ყველამ ვიცით, რაც მოხდება ოქტომბერში. კარგად დაელოდონ!

იქნება, ფიქრობენ, კონსენსუსს მივაღწევთ, საჩივარს გამოიტანს და გაჩუმდებაო.

საჩივრის გამოტანას არ ვაპირებ! არც ამ საქმეს არ მოვეშვები. კარგად დაიმახსოვრონ ეს ძმებმა ჭაკუებმა.

ირანდა კალანდაძე

ლეონიდ თიბილოვი: ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის საზღვართან სერიოზულ სამხედრო მომზადებას გადის

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის საზღვართან სერიოზულ სამხედრო მზადებას ახორციელებს.

სააგენტო „რესის“ ნობით, ამის შესახებ თიბილოვმა ცხინვალში, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„გვაქვს სერიოზული ინფორმაცია საქართველოს დღევანდელ განზრახვებთან დაკავშირებით. კერძოდ, ლენინგორის რაიონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საფორტიფიკაციო საქმიანობას ატარებს. საქართველოს ყველა საზღვრისპირა სოფელში იარაღის საცავები იქმნება“-აღნიშნა თიბილოვმა.

მისი თქმით, ყველა ეს ღონისძიება მათ აძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ეს ქმედებები მიმართულია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, რომელიც ორ დღეში რესპუბლიკის 22 წლისთავს აღნიშნავს.

“ჩვენ ყოველთვის მშვიდობის მომხრეები ვიყავით და ვართ. ომს კარგი არავისთვის მოაქვს, მსხვერპლი ორივე მხარეს აქვს. ჩვენ კი ვალდებული ვართ, ჩვენი ხალხი დავიცვათ. ახლა იარაღის დრო არის და ყველა იმ პროვოკაციაზე, რომელიც ქართული მხარისგან არის მოსალოდნელი, მისი ხელისუფლება იქნება პასუხისმგებელი”, — აღნიშნა თიბილოვმა.

მუჰამედის შესახებ ფილმში გადაღებული ქართველი მსახიობი დაცვის ქვეშ იმყოფება

წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმში — „ისლამის უცოდველობა” — მონაწილე ქართველი გოგონა ანა გიორგობიანი დაცვის ქვეშ იმყოფება, — იუწყება სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2”. წყაროს ცნობით, აშშ-ის ხელისუფლებამ მას პირადი მცველები გამოუყო და ადვოკატები დაუნიშნა. 21 წლის ქართველი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს და აშშ-ში ანა გურჯის სახელით არის ცნობილი. მისი თქმით, არც მან და არც სხვა მსახიობებმა არ იცოდნენ, რას აპირებდნენ ფილმის ავტორები. ოჯახის წევრთა განცხადებით, ის შეცდომაში შეიყვანეს.

მათი ინფორმაციით, პროდიუსერმა მსახიობებს უთხრა, რომ თავდაპირველად მცირებიუჯეტიანი პილოტური, შემდეგ კი ისტორიული ფილმი უნდა გადაეღოთ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნის შემდეგ.

“სცენარში სახელი “მუჰამედი” ნახსენები არ იყო. სულ სხვა სახელი იყო. ვინმეს რომ სცოდნოდა, ასეთ პროვოკაციულ ფილმს იღებდნენ, მასში გადასაღებად ვინ წავიდოდა? ყველა მსახიობი შოკშია და ამხელა ავანტიურაში გაეხვივნენ”, — აცხადებს ანა გიორგობიანის და ხათუნა გიორგობიანი.

თავად ანა გიორგობიანის თქმით, იგი დღევანდელი ამბებით დათრგუნულია. იგი ინტერვიუს მიცემას რამდენიმე ხნის განმავლობაში არავისთვის აპირებს.

მსახიობი კომენტარს მაშინ გააკეთებს, როცა სიტუაცია დაწყნარდება, ხალხს ბრაზი გადაუვლის და სიმართლის მოსმენას შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ ფილმ “ისლამის უცოდველობის” გადაღებამ მუსლიმანურ სამყაროში დიდი მღელვარება და პროტესტი გამოიწვია. პროტესტანტები სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ესხმიან თავს.

„მედიანიუსი“

xaTuna lagaziZe: 1 oqtombris arCevnebze opoziciisTvis xmis micema samoqalaqo gmirobis tol fasia!

რამდენად სწორი ტაქტიკით მოქმედებს ოპოზიცია და რა შანსები აქვთ მათ საპარლამენტო არჩევნებში გასამარჯვებლად? „საერთო გაზეთს" ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრება.

— ქალბატონო ხათუნა, წინასაარჩევნო პერიოდი ყველაზე აქტიურ ფაზაში შედის. როგორ შეაფასებთ ქვეყანაში შექმნილ საარჩევნო გარემოს?

— პოლიტიკური პარტიების თანაბარ, კონკურეტულ გარემოზე საუბარი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ზოგადად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი სპეციფიკა ის არის, რომ მედიასაშუალებების აქტიური მონაწილეობის გარეშეც საზოგადოებრივი განწყობის აკუმულირების შექმნა მოხერხდა. 2003 წლის არჩევნებს თუ გავიხსენებთ, ხელისუფლების ცვლილება, „ვარდების რევოლუციით" შეიძლება ითქვას, მედიასაშუალებების უშუალო ხელშეწყობით მოხდა. იმავეს დღევანდელ ვითარებაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. საინტერესო ისაა, რომ საინფორმაციო საშუალებების მიზანმიმართული ჩარევის გარეშეც მოხერხდა ის, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა.

— საზოგადოებაში ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ხომ არ განაპირობა?

— მოსახლეობაში ოპოზიციური განწყობა და ცვლილებებისადმი მოთხოვნა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდეც არსებობდა. თუმცა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამ ეს განწყობა უფრო გაამძაფრა და განცდა გააჩინა, რომ, შესაძლებელია, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ამის შანსი, ფაქტობრივად, აქამდე ნულის ტოლი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკამ განაპირობა?

— ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მმართველი ძალის შეცვლის მოთხოვნა „ნაციონალური მოძრაობის" არასწორმა პოლიტიკამ განაპირობა.

— პოლიტიკური ვითარება პოლარიზებულია. საარჩევნო არენაზე ორი ძირითადი კონკურენტი — „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება" გამოიკვეთა. როგორ შეაფასებთ მათ წინასაარჩევნო ტაქტიკას, გზავნილებსა და პროგრამებს. რით გამოარჩევთ „ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამას სხვა პოლიტიკური პარტიის პროგრამებისგან?

— სამწუხაროდ, საქართველოში არჩევნებმა, როგორც ხელისუფლების ცვლილების საშუალებამ, საკუთარი გზა ვერ ნახა, უბრალო შირმად დარჩა და როგორც კანონიერი, კონსტიტუციური საშუალება ვერ დამკვიდრდა.

ამიტომ ჩვენს ქვეყანაში იცვლებოდა არა ხელისუფლებები, არამედ პოლიტიკური ეპოქები: შეიცვალა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ეპოქა, ჩაიარა

ედუარდ შევარდნაძის ეპოქამ, ახლა კი მიხეილ სააკაშვილის ეპოქის პირობებში გვიწევს ცხოვრება, რომლის შეცვლა არჩევნების გზით წარმოუდგენლად რთული იქნება.

პოლიტიკური პარტიების პროგრამა თავისი არსით პირდაპირ დაკავშირებულია არჩევნებთან. არჩევნებმა, ფაქტობრივად, ხელისუფლების შესაცვლელად მხოლოდ ფერუმარილის ფუნქცია იტვირთა, ამიტომ საარჩევნო პროგრამებიც ერთგვარი თამაშის ნაწილად იქცა. 2003 წლიდან დღემდე ოპოზიციური პარტიების საარჩევნო პროგრამებს თუ გადავხედავთ, სოციალური საკითხი აბსოლუტურად გაუგებრად იგნორირებული იყო, რაც მათი დამარცხების ერთ-ერთი წინაპირობა გახლდათ. თუმცა 2012 წლის პარტიული წინასაარჩევნო პროგრამები იმით გამოირჩევა, რომ ყველა პარტიის პროგრამაში წინა პლანზე სოციალური თემატიკაა წამოწეული. საარჩევნო პროგრამების მიხედვით გაშარჟებული სიტუაცია გვაქვს. ვგულისხმობ იმას, რომ პარტიებს შორის ჭიდილი იმაზე მიდის, პენსიონერებს 240 ლარს მისცემენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში თუ 250-ლარს.

უმთავრესი, რასაც „ქართული ოცნების" პროგრამაში გამოვარჩევ ისაა, რომ აქცენტი ადგილობრივი თვითმართველობების გაძლიერებაზეა გაკეთებული. ეს არის ყველაზე რეალური ბერკეტი იმისა, რომ ქვეყანაში, საზოგადოებაში დემოკრატიული წესის აღქმა, გააზრება და შემდეგ მოთხოვნა გაჩნდეს.

— პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული ოცნებისა" და „ნაციონალური მოძრაობის," პარალელურად ე.წ მესამე პოლიტიკური ძალა იკვეთება, რომელსაც არ უნდა ნატო და პრიორიტეტად ევროკავშირში გაერთიანებასა და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას მიიჩნევს. ვგულისხმობ, „თავისუფალ საქართველოს" და მის ლიდერს კახა კუკავას. როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვთ არჩევნებზე?

— ვფიქრობ, რომ მათ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვთ. თუმცა,

თუ ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებზე დამარცხდა და ის საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დამარცხებულად ცნეს, ამაზე კი ოპოზიციამ ხმა არ ამოიღო, გარწმუნებთ, ასეთ შემთხვევაში, რუსული ორიენტაციის პარტიებს ქართულ რეალობაში გზა სერიოზულად გაეხსნებათ.

მე საქართველოს შიდაპოლიტიკური პროცესების თაობაზე ლექციებს ვუკითხავდი წინასაარჩევნო გარემოზე დაკვირვების მიზნით ჩამოსულ საერთაშორისო დამკვირვებლებს. მათი მთავარი საწუხარი, რასაც ღიად გამოხატავდნენ, ის იყო, თუ როგორ მოხდა ქართველების თვალში რუსეთის მტრის ხატის გაფერმკრთალება. მე მათ ავუხსენი, რომ მიზეზი ორი ფაქტორითაა განპირობებული: ერთი ის, რომ საქართველოში მითი იყო შექმნილი, რომ აშშ საქართველოს ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა რეალური თუ არარეალური ფორმითა და მეთოდით დაეხმარებოდა, რაც საქართველოს საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული სრულიად უსაფუძვლო აბსტრაქცია იყო. სწორედ ამიტომ, ეს აბსტრაქტული მოლოდინი 2008 წელს არ ახდა, რამაც საზოგადოების ერთი ნაწილის იმედგაცრუება გამოიწვია. მეორე ფაქტორი ის არის, რომ 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე არჩევნებში ოპოზიციის ყველა წარუმატებლობა მეტნაკლებად ამერიკას უკავშირდებოდა.აანუ არჩევნების გაყალბებული შედეგების გამოცხადებასა და შემდეგ აღიარებაში ქართველმა ამომრჩეველმა აშშ პირდაპირ თუ ირიბად დაადანაშაულა. დამკვირვებლებს ვუთხარი, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სერიოზული ტესტი იქნება არა იმდენად ქართული დემოკრატიისა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამერიკულ-ქართული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა. შემიძლია გითხრათ, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდება და ეს შედეგები საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, დამერწმუნეთ, მთელ პასუხისმგებლობას ქართველი ამომრჩეველი აშშ-ის ადმინისტრაციას დააკისრებს და ეს იქნება ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში რუსული პოლიტიკის ყველაზე დიდი გამარჯვება.

— როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო არჩევნებზე კახა კუკავას ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვაც გაუჭირდება?

— კახა კუკავამ, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან რთული ნიშა აირჩია. ვგულისხმობ, რუსეთის თემატიკას, რომლის წინ წამოწევას ვერავინ ვერ ბედავდა. კახა კუკავას პოტენციური ამომრჩეველია სერიოზული სეგმენტი — ე.წ. ამერიკით იმედგაცრუებული და 50 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე აქტიურები არიან. კუკავამ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, სწორი გათვლა გააკეთა, ანუ შეიძლება მისი ელექტორატი გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე ხუთი პროცენტი. მაგრამ დრო არ ეყო საკითხის სათანადოდ გაშლისთვის.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი ყოველთვის დაქვემდებარებულის პოზიციას ვირჩევთ იმის ნაცვლად, რომ მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები დავამყაროთ ნებისმიერ, მათ შორის, ზესახელმწიფოსთან. მით უმეტეს მაშინ, როდესაც არსებობენ ჩვენი მასშტაბის ქვეყნები, რომელთაც თანასწორუფლებიანი ურთიერთობა აქვს სხვა სახელმწიფოებთან. რუსეთს გამოვექეცით და ამერიკის პროტექტორატი გავხდით. ახლა ჩანს, რომ საქართველოში უკვე ამერიკისგან იქმნება მტრის ხატი, რაც, შესაძლოა, საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდეს და გამოდის, რომ იგივე გზით ისევ რუსეთამდე მივდივართ.

— ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 43% გადაწყვეტილი არ აქვს საპარლამენტო არჩევნებზე რომელ პარტიას დაუჭიროს მხარი. როგორ ფიქრობთ, ეს მაჩვენებელი გადამწყვეტი იქნება არჩევნების შედეგებზე?

— ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ამომრჩეველთა ამ ნაწილის გადაწყვეტილება არჩევნების რეალურ შედეგზე გავლენას იქონიებს.

— არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ითქვა, რომ, შესაძლოა, არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება" დაიშალოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია ამ ტიპის განცხადებების გაჟღერება და ხომ არ შეამცირებს ეს „ქართული ოცნების" მხარდამჭერების რაოდენობას.

— ის რომ კოალიცია მრავალსუბიექტიანია და განსხვავებული აზრების ჭიდილი ხდება, მე მიმაჩნია სწორედ იმის უპირველეს გარანტად, რომ "ქართული ოცნება" უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაშიც კი არ იქცევა მონსტრად და არ დაადგება ავტორიტარიზმის თუ ტოტალიტარიზმის გზას. მაგრამ ის, რაც პოლიტიკური სპექტრისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ამომრჩევლისთვის, შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს. გასაგებია, რომ ამომრჩევლის განწყობა დიდწილად ბიძინა ივანიშვილისკენაა მიმართული, მაგრამ პირველი ოქტომბრის არჩევნები ჩვეულებრივი საპარლამენტო არჩევნები არ არის, რადგან ასეთი დრამატული არჩევნები არასოდეს არ გვქონია. ფაქტობრივად, არჩევნებში ოპოზიციისთვის ხმის მიცემა ლამის გმირობის ტოლფასია. ამ ეტაპზე ამომრჩეველში ნებისმიერი გაურკვევლობის შეტანა სერიოზულ დანაკარგთან შეიძლება გაიგივდეს.. პირიქით, პოლიტიკოსების მხრიდან საზოგადოებამდე მკვეთრი, გასაგები და კონკრეტული მესიჯები უნდა მიდიოდეს.

მირანდა ნაბახტეველი

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

omSi ori vaJis damkargav kacs 15 lariani daxmareba ar misces _ ar gekuTvniTo...

ანზორ დანელიას ორი ვაჟი – 21 წლის ირაკლი და 28 წლის მამუკა აფხაზეთის ომში დაიღუპნენ. ჯერ ირაკლი გამოესალმა წუთისოფელს ბრმა ტყვიით, 9 თვის შემდეგ მამუკა ჩამოასვენეს თბილისში...

გასულ კვირას ბატონმა ანზორმა შეშფოთებულმა დამირეკა.

– ჩემს ვაჟს ირაკლი დანელიას დღეს (12 სექტემბერს – ი.კ.) ორმოცი წელი შეუსრულდებოდა. მისი ტყუპი ქალ-ვაჟი 3 წლის იყვნენ, როცა მამა ომში დაეღუპათ და მე და ჩემმა მეუღლემ გავზარდეთ ობლები. დღესაც, როცა ისინი 23 წლისანი არიან, როგორც მშობლები, ისე ვუდგავართ მხარში შვილიშვილებს. მათთვის სამუშაო ადგილის შოვნის ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ქეთიმ „მასკიში“ გერმანული ენის და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო გიორგი მშენებელი ინჟინერია.

მე და ჩემი მეუღლე ვიღებთ ომში დაღუპულების დახმარებას, რომელსაც ხელისუფლებამ „კომპენსაცია“ დაარქვა. და თითო დაღუპულ შვილზე 55 ლარს გვაძლევენ.





ამას წინათ გამოცხადდა, რომ დამატებით მოგვეცემოდა კიდევ 15 ლარი, მაგრამ პენსიის ასაღებად რომ მივედი, მაშინ გავიგე, თურმე, იმ 15 ლარს მე და ჩემს მეუღლეს არ გვაძლევენ. ოცდაათი ლარი, კაცმა რომ თქვას, თითქოს არაფერია მაგრამ, როცა თვეში კომუნალური გადასახადებისთვის, ბანკის სესხის პროცენტებისთვის და ა.შ. თვეში 200 ლარის გადახდა მიწევს, ცოტა ცოტას მიემატებოდა და ობოლი შვილიშვილებისთვის დღეში თითო პურს ვიყიდდი.

– რას გეუბნებიან, ბატონო ანზორ, მიზეზი რა არის, რატომ არ გაძლევთ იმ 15 ლარსო?

– გუშინ დარეკა ჩემმა მეუღლემ და უთხრეს. თქვენ ნორმაზე მეტი პენსია გაქვთო.

23 აგვისტოს გავხდი 77 წლის, ჩემი მეუღლე ავადმყოფი ქალია, წამლები, მკურნალობა სჭირდება. მე 52 წელიწადი ისე ვიმუშავე სხვადასხვა ადგილას, შვებულებით ერთხელაც არ მისარგებლია. ორი შვილი ქვეყანას შევწირეთ და 30 ლარზე არ უნდა მელაპარაკებოდეს ხელისუფლება.

ვინც აკანონებს იმას, რომ, თურმე, 80 წელს მიტანებული ორი შვილის დამკარგავი ადამიანები ნორმაზე მეტ დახმარებას ვიღებთ, ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ამის მთქმელი და გამკეთებელი გამჩენმა ჩემს დღეში ჩააყენოს.

დღეს მე ირაკლის საფლავზე ვიყავი. მივულოცე დაბადების 41 წლისთავი. მის გვერდით მამუკაა დასაფლავებული. ერთად არიან ბიჭები. კიდევ კარგი, მათ არ იციან, ეს ხელისუფლება ფეხებზე რომ იკიდებს მათ ნაბრძოლსაც და მათ სისხლს საერთოდ.

რომ დასჭირდებათ, გამოვლენ და ქვეყანაზე და ადამიანებზე დაიწყებენ ლაპარაკს. მალე გამწარდებიან ესენი ისე, როგორც ბევრი ჩემნაირი გაამწარეს.

– ბატონო ანზორ, თქვენგან ხელისუფლების კრიტიკას ხშირად მოისმენს კაცი და სპეციალურად ხომ არ გაგიკეთეს ის 30 ლარი რომ არ მოგცეს? ნაცმოძრაობის მეხოტბე რომ ყოფილიყავით, ალბათ, ასე არ იქნებოდა.

– მომისმინე, შვილო, ვინც ჩემი ქვეყნისთვის არ ვარგა, ქართველობას, ადამიანობას, ქრისტიანობას ებრძვის, მე იმათზე კარგს ვერ ვიტყვი, რაც გინდა მოხდეს. სააკაშვილი რომ ჩაეხუტება ხოლმე მისგან გამათხოვრებულ ხალხს, გაჭირვებულებს და ვითომ ცრემლი რომ მოადგება, არავინ არ ჭამს მაგ მსახიობობას.

– რამდენადაც ვიცით, თქვენ სამსახური გქონდათ და მუშაობდით, ასაკის გამო გაგათავისუფლეს?

– 2011 წლის 1 იანვარს ე.წ. მღვდელმა ადამმა – ვახტანგ ახალაძემ, რომელიც საპატრიარქოს სამშობიარო სახლის გენერალური დირექტორი ბრძანდებოდა, ჩემი გათავისუფლების ბრძანება დაწერა.

– 1 იანვარი დასვენების დღე არაა?

– მაგას გამჩენი არ ასვენებს და ბრძანება დაწერა ჩემს გასათავისუფლებლად. მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი საპატრიარქოს სამშობიაროში ტექნიკურ სამუშაოზე და საეკლესიო პირის ხელმძღვანელად მოსვლა ძალიან გამიხარდა, თუმცა ხომ ხედავთ, რაც გამიკეთა.

– ე.წ. მღვდელს იმიტომ ეძახით, რომ გაგათავისუფლათ?

– მღვდელი ადამიანის მდგომარეობაში უნდა შედიოდეს და გაჭირვებულს უნდა თანაუგრძნობდეს, იქაური ანაზღაურება დიდი არ იყო, სულ 135 ლარს შეადგენდა, მაგრამ ეს ფულიც ჩემი ობლების ლუკმა იყო.

ეს ე.წ. მღვდელი დღეს საპატრიარქოში ჯანდაცვის განყოფილების ხელმძღვანელია.

სხვათა შორის, ეს ის მამა ადამია, ვინაც 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ პოლიციელები დალოცა და შეაქო.

ჩემმა შვილებმა, მახსოვს, თბილისში ომი რომ დაიწყო, თქვეს – ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ტყვიას ამ გავისვრითო და არ ჩარეულან იმ უბედურებაში, რაც მოხდა, მაგრამ აფხაზეთის ომი რომ დაიწყო ამ ახალმა ისკარიოტელმა – ედუარდ შევარდნაძემ 28 აგვისტოს მამუკა წავიდა და 2 სექტემბერს ირაკლი. ირაკლიმ ბრძოლის ველზე აღნიშნა 21-ე დაბადების დღე.

ჩემი შვილები რომ ცოცხლები იყვნენ, საქართველოს კეთილდღეობისთვის არც ახლა დაიხევდნენ უკან არაფერზე. კოტე გაბაშვილმა რომ მაშინ თავისი შვილი გერმანიაში გააქცია და ომს გაარიდა, მე ასე არ გამიკეთებია და არც გავაკეთებდი არასოდეს.

დღეს არც იმ 30 ლარისთვის და არც არაფრისთვის იარაღს ხელში არ ავიღებ, მაგრამ ქართველი ხალხი მინდა გავაფრთხილო – აზროვნება ღმერთმა იმიტომ მოგვცა, რომ ვიფიქროთ...

ირანდა კალანდაძე

saqarTvelos mosaxleobam saakaSvili mTavrobas witeli aunTo

დღევანდელი საქართველოსთვის ყველაზე მოდურ და პოპულარულ თემად ხალხის აზრის გამოკითხვა გახდა, რომელსაც დღემდე რატომღაც სოციოლოგიურ კვლევას ეძახიან. სოციოლოგია მეცნიერებაა. შესაბამისად, ვღებულობთ მეცნიერულ კვლევას, მაგრამ საინტერესოა, რის შესახებ ვღებულობთ კვლევას. მოკლედ, თავს არ მოგაწყენთ და უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს მოვიშველიებ: სოციოლოგია (Soci - საზოგადოება; logos - მოძღვრება) არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ. საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა და საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონები ერთმანეთში აირია და მივიღეთ დომხალი. პირველ რიგში, საზოგადოებაში საერთაშორისო კვლევების ორგანიზაციების მიერ დადებული შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია მათი შედეგები. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ცალსახად გამოხატავს პოზიციას. ფაქტია, საქართველოს მოსახლეობას სააკაშვილის მთავრობის აღარ სჯერა და არც სურს იხილოს ქვეყნის სათავეში. „აირაი“ და „ენდიაი“ გაიძახიან, რომ

საქართველოს მოსახლეობას მოსწონს ნაციონალური მოძრაობა. ნუთუ სააკაშვილის ხელისუფლებამ უცხოელებიც მოისყიდა? (!) შეუძლებელია, მოგწონდეს ის მმართველობა, სადაც მოსახლეობის 70% უმუშევარია, სადაც მოსახლეობის საკმაო ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს, სადაც მოსახლეობის ნაწილი დევნილია, სადაც მოსახლეობის 50%-ი სოციალურად დაუცველია. მეტიც, სასამართლო მართული და უსამართლოა, განსხვავებული აზრის მატარებელი ადამიანი ქვეყნის მტერია, კანონი არ კანონობს და ბოლოს და ბოლოს ტყუილისა და დაპირებების ბურუსითაა მოცული ეს ქვეყანა. ამ ყველაფრის შემდეგ როგორ შეიძლება ადამიანს დღევანდელი სიტუაცია მოსწონდეს და ისე ხიბლავდეს, რომ მისი შეცვლა არ უნდოდეს. და რაც მთავარია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. რაც არ უნდა კარგი მთავრობა იყოს, 10 წელი ერთი და იგივე სახეებით ადამიანი იღლება და ცვლილება უნდა. ასე, რომ, საზოგადოებრივი აზრის კვლევამ თავისი ფუნქცია საქართველოში დაკარგა.

შესაბამისად, ამერიკელი სენატორების ავტორიტეტსაც ყავლი გაუვიდა. ისინი რატომღაც ქართული საზოგადოების განწყობაზე მაღლა საერთაშორისო დამკვირვებლების აზრს აყენებენ. მათთვის ამომრჩევლის არჩევანი მნიშვნელოვანი არაა. ამ ყველაფრის შემდეგ რთულია დაუჯერო და მიიღო მათი, ანუ უცხოელი დამკვირვებლების აზრი – თურმე საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. მაკკეინმა ჟურნალისტების წინაშე განაცხადა: ასე მგონია, ამერიკაში ვარ, ისეთი დემოკრატიაა საქართველოშიო. აქვე მახსენდება, ამ ზაფხულს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადება ბათუმში: მიშა იმდენ რამეს აშენებს, ხმას ხალხი სხვას ვის მისცემსო. აქედან ლოგიკურია დასკვნა: დასავლეთმა და ამერიკამ საქართველოს მმართველ პარტიას მწვანე აუნთო. ქართველმა ხალხმა კი ნაც.მოძრაობა წითელზე გაჩერა. თუმცა, საქართველოს მოსახლეობის პოზიცია დასავლეთსა და ამერიკას არ ადარდებს. არადა რა მარტივადაა საქმე: აღარ მომწონხარ და უნდა გადაგირჩიო. ნუთუ ამის უფლებაც აღარ მაქვს საკუთარ ქვეყანაში?! ნუთუ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება არ მაქვს. მაშ, რაღაა დემოკრატია!!!

გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებრის არხზე პირველი ლეიბორისტი, პირველი ქმ-ისტი და მოქმედი პრემიერ-მინისტრი წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ დებატებში. ერთი ტრიბუნა ცარიელი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამგვარ დებატებში ბიძინა ივანიშვილი მონაწილეობას არ მიიღებდა. პასუხი მარტივია: ამ კაცს მართლაც უნდა სისტემის ცვლილება. და როცა რაღაცის, უფრო მეტიც, სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ იბრძვი, მის გვერდით მისივე მოედანზე არ ჯდები, ეს უკანდახევას ნიშნავს. იქ მართული და თამაშგარე ხდები. მეორე დღეს კი ივანიშვილს, რატომღაც, დემოკრატიის პრინციპები შეახსენეს და მინუსად ჩაუთვალეს საკუთარ კარში ბურთის გაუტანლობა. არადა, თერთმეტ-მეტრიანებს ივანიშვილი არტყამდა და ისიც ნახევრად ცარიელ კარში.

ასევე, რამდენიმე დრის წინათ ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივ არხზე, კვესიტაძის გადაცემაში ვიხილეთ. ფაქტია, ამ კაცს მართლაც უყვარს თავისი ქვეყანა და მართლაც სურს ცვლილებები. ასე, რომ, დროა, რაღაც შეიცვალოს ამ ქვეყანაში, თორემ მშიერი კაცის ქუჩაში გამოსვლას არავის ვურჩევთ.

ხომ შეიძლება ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ჩვენი ხმა დაცული იქნება არა იარაღით, არამედ კანონით, სადაც ტყუილზე არ აიგება სახელმწიფო მანქანა, სადაც დაფასებული ვიქნებით, საკუთარი ღირსებების შელახვაზე არ ვილაპარაკებთ, სადაც გვექნება სამსახური და შრომის შესაბამისი ანაზღაურება. სადაც ჩვენი შვილები ისწავლიან მაღალი კლასის სკოლებში, სადაც ბავშვები არ იფიქრებენ მატერიალურ სიდუხჭირეზე, სადაც არ იქნება შიმშილი...

დღეს თითოეულ ქართველს რაღაც ძალიან სტკივა, დღეს თითოეულ ქართველს რაღაც ძალიან კარგი უნდა. ის „კარგი” კი აუცილებლად მოვა. ვიქნებით უსაშველოდ ბევრნი და ვიქნებით ხელგაშლილი. ჩვენ გვეყვარება ჩვენი სამშობლო და აღარ მოგვინდება ამ ქვეყნიდან წასვლა... მინდა, რომ მზიან საქართველოში მზე მუდამ გვათბობდეს. მინდა პოლიტიკოსებმა აკეთონ პოლიტიკა, ხიდის მშენებელმა აშენოს ხიდი, მასწავლებელმა ასწავლოს, მემანქანემ საჭე მართოს, მოსწავლემ ისწავლოს, დედები აღარ წავიდნენ უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვნელად, აღარ გაიზარდნონ შვილები უდედოდ და უმამოდ და უამრავი სხვა ბევრი კარგი მინდა ჩემი ქვეყნისთვის...

ქეთი ყველაშვილი

robert petriaSvili: dRes saqarTvelos gadarCenisTvis brZolis frontis xazi 1 oqtombris arCevnebze gadis



ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებსა და წარმომადგენლებს შორის „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის პერსონის მიმართ მკვეთრად გამოხატული აზრთა სხვადასხვაობა. საკითხში უკეთ გარკვევისთვის კანონიერი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ბატონ რობერტ პეტრიაშვილს ვესაუბრებით, რომელიც მოძრაობა „31 მარტის“ თავმჯდომარე გახლავთ.

— ბატონო რობერტ, რამ გიბიძგათ შეგექმნათ მოძრაობა „31 მარტი“?

— ეს იდეა დიდხანს მწიფდებოდა. 1991-92 წლებში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კი ერთგვარი ბიძგი მისცა ამ იდეას. ემოციური ბიძგი გახდა იმის აღმოჩენა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის საქართველოს უახლესი წარსული. იშვიათია სტუდენტი, რომელმაც იცის, რა თარიღია 31 მარტი.

ამ დღეს დაიბადა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ჩატარდა პირველი რეფერენდუმი შეკითხვით — თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

ზვიად გამსახურდია და მისი ფენომენი რომ არა, საქართველო არათუ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, კითხვაც კი არ დაისმებოდა ამ დამოუკიდებლობაზე.

— რა საქმიანობას ეწევა ორგანიზაცია დღეს?

— ვმუშაობთ, რომ ეროვნულ ცნობიერებას და ყოფიერებას დავუბრუნოთ 31 მარტი და 9 აპრილი, როგორც სრულიად საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ნების გამოხატულება, როგორც ხალხის ძალისხმევით შექმნილი დღესასწაული, ხალხს აღვუდგინოთ იმის რწმენა, რომ თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია, დაანახოს მათ, რომ იმ ძველ ზნეობრივ, ფიზიკურ თუ იარაღით ხელში ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია, უკვდავყოს მათი სახელები, ვინაც თავი შესწირა საქართველოს...

— ე.ი. წარსულზე ხართ ორიენტირებული.

— „აწმყო შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავლისა“. წარსულის დაფასების გარეშე არ არსებობს ღირსეული მომავალი.

სხვათა შორის, ჩვენი წესდებით, ერთ-ერთ მიზნად ვაცხადებთ: ხელს შევუწყობთ ქვეყნის სათავეში ისეთი ძალის მოსვლას, რომელმაც იცის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის გაღებული სისხლის და ოფლის ფასი, რომელსაც ესმის, რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს 31 მარტსა და 9 აპრილს და ყველაფერს გააკეთებს მისი ამ თარიღების უკვდავსაყოფად.

— არსებობს ასეთი ძალა დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში?

— 2003 წელს მრავალ გარემოებათა გამო, შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად და ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ ხალხის მოთხოვნით იძულებული გავხდით ნაციონალური მოძრაობისთვის დაგვეჭირა მხარი.

ყველას ახსოვს 2004 წლის იანვარში დევნილი ეროვნული ხელისუფლებისა და ახლადარჩეული მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა ქაშუეთის ეკლესიაში. სააკაშვილმა, უკვე პრეზიდენტმა, ღვთისა და ერის წინაშე ფიცი დადო და ეროვნული თანხმობის დეკლარაციაზე მოაწერა ხელი, რითაც დაადასტურა, რომ „გაჰყვებოდა იმ კურსს, რომელიც არჩეული გვქონდა დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე და იზრუნებდა ქვეყანაში ეროვნული თანხმობის მისაღწევად“.

მან უფლის სახლში წარმოთქმული სიტყვები ქარს გაატანა, ეს დოკუმენტი ფარატინა ქაღალდად აქცია. მან ჩვენ მოგვატყუა.

— დღეს, ალბათ, ძნელი იქნება კიდევ ვინმეს ენდოთ.

— საქმე ისაა, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ — ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ალასანიამ ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი პრობლემების მიმართ. ჩვენ შევთანხმდით ამ პრობლემების გადაჭრაში თანამშრომლობაზე.

— მაინც რა პრობლემებზეა საუბარი?

— 1991-92 წლებში დაწყებული სახელმწიფო გადატრალების შედეგად წარმოშობილ პრობლემებზე.

— დაგვიკონკრეტეთ, ბატონო რობერტ.

— ეს ვრცელი საკითხია და მე მოკლედ მოგახსენებთ. კერძოდ, უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მისგან გამომდინარე შედეგებით, გადატრიალების შედეგად ხელისუფლების მემკვიდრეობის პრინციპის დარღვევის აღიარება და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ღონისძიებების შემუშავება, რეპრესირებულია საზოგადოებრივი და სოციალური რეაბილიტაცია, პოლიტპატიმართა გათავისუფლება და ა.შ.

პირადად მე პატივს ვცემ მათ აზრს, ვინც ფიქრობს, რომ „წმინდად“ (ბრჭყალი რობერტ პეტრიაშვილს ეკუთვნის — ი.კ.) უნდა შევინახოთ 1990 წლის 28 ოქტომბერს გამოხატული ხალხის ნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახით, მაგრამ მე ვერც საქართველოში და ვერც მსოფლიოში ვერ ვხედავ იმ ძალას, ამ იდეის განხორციელებას რომ შესაძლებლად მიიჩნევს.

გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ კონკრეტული, რეალური ვითარების გათვალისწინებით.

ყველა, ვინც თავს არ იტყუებს, ხედავს, რომ ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ეს უნდა გვახსოვდეს, როცა საჯაროდ გამოვთქვამთ აზრებს და საზოგადოებას გამოსავლის გზებს ვთავაზობთ.

დღეს საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლის ფრონტის ხაზი 1 ოქტომბრის არჩევნებზე გადის.

— თქვენი აზრით, 1 ოქტომბერს სამართლიანი არჩევნები ჩატარდება?

— არჩევნები დიდწილად უკვე გაყალბებულია.

სააკაშვილის ხელისუფლება, მის წინამორბედ შევარდნაძის რეჟიმთან ერთად დემოკრატიის გაგებასა და განმარტებაში ჯაბა იოსელიანის ხატოვან გამოთქმას — დემოკრატია ლობიობა არ არისო, ეთანხმება. ე.ი. ვინც დემოკრატიის წინააღმდეგი იქნება, იმას ფიზიკურად გავანადგურებთო — ამ განწყობას ნაციონალები დიდად არ გასცილებიან.

— თქვენი ძველი თანამებრძოლები, ვინც არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს მოსახლეობას, არ ფიქრობთ, რომ საქციელს არ მოგიწონებენ?

— მე ვეტყვი მათ და არა მარტო მათ, სრულიად საქართველოს მოსახლეობასაც — ჩვენი თავდადებული შრომითა და ბრძოლით, მოპოვებული და მიღწეული იქნა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ეს ყოველივე უარყოფილი იქნა ნაციონალური მოძრაობის მიერ, რომელიც აყალბებს ისტორიას, გვართმევს წარსულს...

ᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲣᲢᲝᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

monopolizirebuli sabanko sistema, gazrdili procentebi da `piramida~

წლის დასაწყისში ხელისუფლება აქტიურად გვპირდებოდა, რომ ჩვენთან გამოჩნდებოდნენ აზიის, ევროპისა და ა.შ. ბანკები მაგრამ ეს არ მოხდა. შემდეგ ალაპარაკდნენ გერმანული ბანკების (თუ რომელიმე არ კონკრეტდებოდა) შესახებ. თუმცა ამ ინფორმაციის არც ბანკების ასოციაცია იძლევა, რომელიც ბოლო დროს ამ კუთხით თითქმის გაუტოლდა შს და თავდაცვის სამინისტროებს. სპეციალისტების განმარტებით, საქართველოს ბაზრის 80 პროცენტს ორი მსხვილი ბანკი აკონტროლებს. მათ აწყობთ ბანკების სიმცირე. რადგანაც რაც უფრო ნაკლები იქნება ბანკები, მით უფრო მყარი პოზიციები ექნებათ, ბაზარიც ადვილი სამართავი იქნება. ეს ასე იქნება, ვიდრე რეალურად არ დაკავდება თავისი საქმით ანტიმონოპოლიური სამსახური.

ექსპერტის ლია ელიავას აზრით, უცხოურ ბანკებს აწყობთ ჩვენთან შემოვლა, რადგანაც საპროცენტო განაკვეთები მაღალია — მოგებაც დიდი.

— მაგრამ ექსპერტის თქმით, შემოსვლისაგან თავს იკავებენ ჩვენი კანონმდებლობის არამდგრადობისა და ხშირი ცვლილებების გამო. გარდა ამისა, მიაჩნია ელიავას, გარედან კარგად ჩანს, თუ როგორ ზეწოლას ახდენს კომერციულ ბანკებზე თავისი კომპეტენციის გადამეტებით ეროვნული ბანკი. ამის ნათელი მაგალითია „ქართუ ბანკის“ ირგვლივ შექმნილი სიტუაცია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ — ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

„როდესაც საბანკო სექტორში ასეთი განუკითხაობაა, ცხადია, რომ ისინი სესხების განაკვეთებს თვითნებურად ზრდიან. დღეს საქართველოს კომერციული ბანკები ჰიპოთეკურ სესხებს 22-24 პროცენტი (წლიური) გასცემენ. ცნობისათვის რუსეთში მაჩვენებელია 12,5 პროცენტი; აზერბაიჯანში 13 პროცენტი, უკრაინაში 20 პროცენტი და ა.შ. მოკლედ პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერები ვართ. თავად ერთ შედარებით მომცრო ბანკს არ შეუძლია სესხის გაიაფება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას HSBC-ს ბედი ელის, რომელიც საბანკო ბაზრიდან საერთოდ განდევნეს.

ელიავას განმარტებით, ეროვნულ ბანკს პრობლემის დასარეგულირებლად უამრავი ბერკეტი აქვს, თუმცა ამისათვის არაფერს აკეთებს.

ᲕᲘᲡ ᲕᲐᲢᲧᲣᲔᲑᲗ?!

ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ ქვეყანაში ინფლაცია წლის განმავლობაში მიზნობრივ 6-7 პროცენტში გადასცდება, რასაც არ ეთანხმებიან ექსპერტები. ავთო სილაგაძის განმარტებით, მიზნობრივი 6-7 პროცენტი არარეალურა, რადგან ყოველთვიურად ძვირდება პროდუქტები. გაიაფება არც ერთ სფეროში არ ჩანს.

ხელისუფლების დაკვეთით ჩვენი მოქალაქეების სამომხმარებლო კალათაში პროდუქტების ხვედრითი წილი 40 პროცენტიდან 30 პროცენტამდე შეამცირეს. ექსპერტთა აზრით, როდესაც მოსახლეობის 80 პროცენტი შემოსავლისას ხარჯავს პროდუქტებზე, ამგვარი შემცირება ინფლაციის ხელოვნურ შემცირებასაც გამოიწვევს.

ექსპერტი მერაბ ჯანიაშვილისათვის გაუგებარია, თუ რა პროცენტული სხვაობა მოგვცა ხელისუფლების მხრიდან ინფლაციის გამოთვლის ახალმა მეთოდოლოგიამ.

სპეციალისტები ინფლაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარეს მიიჩნევენ. მართალია, ის ჩვეულ დონეზეა, მაგრამ ამაში დიდია ეროვნული ბანკის „დამსახურება“ თავისი კომპეტენციის ფარგლების გადამეტებით. დოლართან მიმართებაში ლარის კურსის სტაბილურობის დაჭერა სახელმწიფოს სოლიდური თანხები უჯდება, — აცხადებენ ექსპერტები. გამოდის, რომ საბანკო სექტორისაგან განსხვავებით, თუ ეროვნული დაინტერესდა, მას მიზნის მისაღწევად ბერკეტებიც აქვს და უფლებების ზევით მოქმედებაც შეუძლია.

ᲯᲔᲠ „ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘ“, ᲐᲮᲚᲐ „ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲔᲑᲘ“

მას შემდეგ, რაც ნაციონალებმა „მხედრიონის“ მსგავსი შეიარაღებული არაფორმალური ჯგუფები შექმნეს დეპუტატებს პავლე კუბლაშვილს, კახა ანჯაფარიძესა და ზვიად კუკავას ახალი იდეები გაუჩნდათ. მათ შექმნეს პროექტი „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე. „ტროიკის“ პროექტით შემოდის, საფინანსო სექტორის ახალი წარმომადგენლის ტიპი — კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი. ის იქნება იურიდიული პირი, რომელიც სახსრებს 400-ზე მეტი პირისაგან მოიზიდავს ან მის მიერ მოზიდული სახსრების რაოდენობა 5 მლნ ლარზე მეტი იქნება, მასზე კონტროლს ეროვნული ბანკი განახორციელებს. ეროვნულს ექნება იურიდიული პირის რეგისტრაციაში გატარებისა და მისი გაუქმების უფლება.

ნოვაციას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ეკონომისტ ექსპერტთა შორის. დათო ლაშხია ამბობს, რომ ის არის პარალელური საბანკო სისტემა, რაც უარყოფითად იმოქმედებს, როგორც ჩვენს საფინანსო სექტორზე, ასევე მეანაბრეებზე. რადგანაც საქართველო, ფაქტობრივად, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საბანკო ანაბრების დაცვის სახელმწიფო გარანტიები არ არსებობს. ლაშხია არ გამორიცხავს, რომ მოხდეს 90-იანი წლების „პარამიდების“ გამეორება საკრედიტო ინსტიტუტები ქართულ საფინანსო სექტორიდან აორთქლდნენ. ათასობით მოტყუებული ადამიანი კი გაღატაკებული დატოვონ.

საბანკო ექსპერტ ლია ელიავას კი მიაჩნია, 2008 წლის საბანკო კრიზისის შემდეგ ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საბანკო კაპიტალისადმი დამატებითი მკაცრი მოთხოვნები, ეროვნული ბანკი პარალელური საბანკო სისტემის შექმნით უკვე სერიოზული მუხრუჭი ხდება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა.

ამის შემდეგ ჩნდება კითხვა — თავისი ახალი ინიციატივებით სააკაშვილი და მისი გუნდი ხომ არ ხდება ქვეყნის მოსახლეობის უკან შავბნელი 90-იანი წლებისაკენ ახალი ზონდერებითა და პარალელური საბანკო სისტემებით დამბრუნებლები.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲜᲘᲫᲔ

vinaa ZaRliSvili da vinaa viriSvili, qarTvelma sazogadoebam Zalian kargad icis...

მართლაც თქვა თუ არა ივანიშვილმა სააკაშვილზე "ძაღლიშვილიაო", ეს ნაციონალების ტყუილების მორიგი თემაა. "ძაღლიშვილი, ვირიშვილი", თუ ვინ იცის კიდევ "ვისი შვილი"– ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის! მიშავიზიებმა და ვითომ ექსპერტებმა კი ხალხის თვალში, ამით ივანიშვილის რეიტინგი კიდევ უფრო ასწიეს, რადგან "ვირიშვილი" საალერსო სიტყვაა იმასთან შედარებით, რასაც ხალხი უკვე ხმამაღლა უწოდებს სააკაშვილს. მიშავიზიების მიერ "ჭორიკანა დედაკაცებივით" ატაცებულ ივანიშვილის მორიგ შავ პიარს კი მხოლოდ ერთი მიზანი შეიძლება ჰქონოდა. ერთი – საზოგადოება დაარწმუნონ იმაში, რომ ივანიშვილიც სააკასავით უხამსია და მისი არჩევის შემთხვევაში, მიშაზე უკეთესს არ უნდა ველოდოთ! მეორე კი ის, რომ კვლავ ჩანერგონ აზრი, რომ ოპოზიცია, (როგორც ყოველთვის მანამდე), ახლაც ხელისუფლებას და "შეშფოთებულ დასავლეთს" გაურიგდება და არჩევნების ისეთ შედეგს დასთანხმდება, როგორსაც ნაციონალების მეგობარი და ხალხის თვალში დისკრედიტირებული საერთაშორისო ორგანიზაციები დადებენ. ნაციონალებიდანაც, როგორც ყოველთვის, რასაკვირველია, იმაზე არავის უფიქრია, რომ მათმა მორიგმა უტვინობამ შტეფან ფულეც იდიოტურ მდგომარეობაში ჩააყენა. (თუმცა ასეთ მდგომარეობაში თავის ჩაყენება ინდივიდუალური მდგომის საკითხიც არის ხოლმე) სხვას რას უნდა ნიშნავდეს ბრიუსელში შეხვედრაზე წინასწარი ულტიმატუმის სახით თანხმობის მოთხოვნა? თუ მხვდები, შემხვდი რაღა?! რა ულტიმატუმებს მიყენებ შე კაი კაცო?! მიშავიზიებმა სიხარულით გვამცნეს, რომ შეხვედრა მხოლოდ იმ პირობით შესდგება, "თუ ბატონი ივანიშვილის პარტია ხელს მოაწერს "ქცევის კოდექსს" და "ქართულ ოცნებისთვის" მისაღები იქნება შედეგები, თუ მას ხელს მოაწერენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები". დავიწყოთ იმით, თუ რომელი ორგანიზაცია მიიჩნევა თავად ქართული საზოგადოებისგან და არა ნაციონალური მოძრაობისგან ავტორიტეტულად. ნაცებისთვის ავტორიტეტული ორგანიზაციები, თავიანთი მიკერძოებული მიდგომისა და სწორედ ნაციონალებისგან კარგი დაფინანსების გამო აქამდე უმეტესწილად, არჩევნების არაობიექტურ, გაყალბებულ შედეგებს ემხრობოდნენ. საზოგადოების მხრიდან, დასავლეთისა და აშშ-ს მიმართ უნდობლობის ხარისხის გაზრდაც სწორედ ასეთი მიკერძოებული პოლიტიკის შედეგია. თუ დასავლეთს ამჯერადაც ქართველი ხალხის არჩევანის იგნორირება აქვს გადაწყვეტილი, ეს სავალალოდ შემოუბრუნდება არა მხოლოდ სახელისუფლებო გუნდს, არამედ, წინასწარ გაყალბებული არჩევნების გამპრავებელ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციას. რაც იმას ნიშნავს, რომ არა რაიმე სამხედრო დაპირისპირებით, ან ე.წ ზონდერ-ჯგუფებით, არამედ სამოქალაქო პორტესტის შედეგად გამოწვეული უნდობლობით, დასავლეთი საქართველოში სამუდამოდ ამოიკვეთს ფეხს. ყველაფერს საზღვარი აქვს და მით უფრო ქართველი კაცის "მოთმინების ფიალას", რომელსაც "ერთი წვეთი-

ღა აკლია, რომ გადმოვიდეს". იმედი მაქვს, რომ საზოგადოებრივ აზრსა და მოსახლეობის განწყობას დასავლელი ექსპერტები "გამადიდებელი შუშით" აკვირდებიან. შესაბამის დასკვნებს აკეთებენ და გადაწყვეტილებებს ღებულობენ. თორემ, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ როგორც მათგან "გადემოკრატიულებულად" ბევრ ქვეყნაში მოხდა (ხალხისგან გამოცხადებული უნდობლობის გამო), მათ საქართველოს დატოვებაც მოუწიოთ. საქართველოში შემოსაღწევად და ფეხის მოსაკიდებლად კი დასავლეთი აგერ უკვე ოცი წელია იღვწის. ალბათ, იმ ანტიფსევდოლიბერალურ განწყობასაც გაითვალისწინებენ, რაც აშშ-ს და დასავლეთის სახელით საქართველოში განხორციელებულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ გამოიწვია. კავკასიაზე და "მის გულზე", საქართველოზე გავლენის მოპოვება ყველას სურს, მეგობრად და პარტნიორად მოსულნი კი უმეტესობა ჩვენს თავზე წამოჯდომასა და ჩვენზე ბატონობას იჩემებს. ვისთვისაც ევრაზიის გასაყარზე მყოფი საქართველოს პარტნიორობა მნიშვნელოვანია, ნება იბოძოს და ჯერ საქართველოსა და ქართველი ხალხის ნება და ინტერესი გაითვალისწინოს. ეს ნება კი დღეს საკაშვილის კრიმინალური რეჟიმის მოცილებას ნიშნავს და არა რაღაც წინასწარი ულტიმატუმით საუბარსა და თუნდაც ბიძინა ივანიშვილთან პირად შეთანხმებას. ქართველი ხალხი არავისთან შეთანხმებას არ აპირებს! ის 1 ოქტომბერს თავის არჩევანს გააკეთებს და თუ დასავლეთს საქართველოსთან და მის ხალხთან თანამშრომლობა მომავალშიც სურს, ქართველი ხალხის სამართლიან არჩევანს დაუჭერს მხარს და არა იმ განცხადებას, რაც მიშავიზიებმა ხელისუფლების სასარგებლოდ (ვითომ ფულეს პრესამსახურის პირით) გააკეთეს. თუ საფრანგეთისთვის საქართველოსთან და ქართველ ხალხთან ურთიერთობა მართლაც ღირებულია, ფულე ამის თაობაზე კომენტარს გააკეთებს. საკითხის კომენტირების გარეშე დატოვების შემთხვევაში კი, ქართველი ხალხი უფლებამოსილი იქნება თავისი ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად გაკეთებული არჩევანი თავად დაიცვას. მიშავიზიების მიერ გაკეთებული ამგვარი განცხადების შემდეგ გამოცდილმა დიპლომატმა და დემოკრატმა ნაციონალების მხრიდან შეგდებულ პროვოკაციულ ნაბიჯს პასუხი უნდა გასცეს. დასავლეთიდან დაპირებული ქართველი ხალხის ნებისა და აზრის გათვალისწინება, დანაპირები დემოკრატიული პროცესები კი, შესაძლოა, ისეთივე სიცრუედ ექცეს ქართულ საზოგადოებას, როგორც "სააკაშვილის დემოკრატიის შუქურობა" და მისი "დიდი პატიოსნება" იქცა. სხვა შემთხვევაში, ყველა ასეთი (**IRI**-ის და **NDI**-ის მსგავსი) სხვა ორგანიზაციები იმ ორგანიზაციებად იქცევიან, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში უმეტესწილად უნდობლობას იმსახურებენ. რაც შეეხება "ქცევის კოდექსს", თუ საკუთრივ ქცევისა და ეთიკის (დიპლომატიურზეც) არის საუბარი, ქცევაში მხოლოდ "ძაღლიშვილის და ვირიშვილის" ან კიდევ სხვა უხამსობაზე საუბარი არ უნდა იყოს. "ქცევის კოდექსი", პირველ რიგში, და პირდაპირი მნიშვნელობით, პოლიტიკოსის ზნეობრივ ქცევას, მორალურ სახეს, სინდისიერებას და ქვეყნისთვის გაწეულ ამაგს უნდა გულისხმობდეს, რაშიც ბიძინია ივანიშვილი სააკაშვილს 10:0-ს უგებს. სააკაშვილის უზენობასა და უსაქციელობაზე კი, არა მარტო ქართული საზოგადოება, – საერთაშორისოც კარგადაა ინფორმირებული. გარდა ამისა, შტეფან ფულეს, რომელმაც ყველაზე კარგად უნდა იცოდეს "დემოკრატიის" ჭეშმარიტი არსის მნიშვნელობა (ხალხის ნების გამოხატულება), წარმოუდგენელია ივანიშვილისთვის ქართველი ხალხის ნების – სამართლიანი არჩევანის ("ქართული ოცნების" მიერ) არჩევნების შედეგების ერთპიროვნული, უპირობო აღიარება მოეთხოვა. ბიძინა ივანიშვილი კოალიციის ლიდერია და ხალხს მისი სჯერა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მან (ულტიმატუმის თანახმად და გაყალბების შემთხვევაშიც), ხალხის ნებას იგნორირება გაუკეთოს. ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილიც, მისი უდიდესი რეიტინგის მიუხედავად, იმ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორშიც მის გამოჩენამდე ოპოზიცია იყო! 1 ოქტომბერსაც არჩევანს ქართველი ხალხი აკეთებს და არა საკუთრივ "ქართული ოცნება". შესაბამისად, არჩევნების შედეგების აღიარება-არაღიარებაც ქართველი ხალხის პრეროგატივაა და არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, ან კოალიცია "ქართული ოცნების". მიშავიზიების მიერ უჭკუოდ დაგეგმილ ამ მორიგ სპექტაკლს, საეჭვოდ მოჰყვა სკამის დაკარგვის შიშით "გაყიამყრალებული სააკაშვილის" "ენაწყლიანი და დათაფლული" საუბარი ქართველი ერის გაერთიანების მოწოდებით. კაცი, რომელიც ორიოდე დღის წინ განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოებას "გასანადგურებელ კლასს" უწოდებდა. ზუსტად იმ დროს, რა დროსაც ივანიშვილმა ის ვითომ "ძაღლიშვილად" მოიხსენია, "მოსამართლე და მოწყალე, მორწმუნე განგებიანი, თვით მეომარი უბრო, კვლა მოუბარი წყლიანი" და რადიკალურად ტრანსფორმირებული სააკაშვილი წარსდგა ქართველი ამორჩევლის წინაშე. "სუფლიორზეც", გამართული ქართულითა და პატრიოტული პათოსით გაჟღენთილი საგულდაგულოდ დაწერილი ტექსტი "ჩაარაკრაკა". გჯერათ ახლა ვინმეს იმის, რაზეც მართლა ამ "საქართველოს ამძაღლებელმა იჭიკჭიკა"? გჯერათ, ხალხნო, იმის, რომ მოსვლის დღიდან მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან მებრძოლი, რელიგიის ასეთი კანონის გამტარებელი, ტაძრების დამანგრეველი, ქართველი, ისლამზე რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი ფილმის გამოშვებით, ირანზე აგრესიისთვის ამზადებს ნიადაგს. ჩვენ კი ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ქეთევან წამებულისა და ასიათასი მოწამის ერი; ღვთისმშობლის წილხვედრი მიწისა და უფლის კვართის პატრონი ერი; შოთას, ვაჟა-ფშაველას, აკაკის, ილიასა და გალაკტიონის მემკვიდრე ერი – ერთი მუჭა "ძაღლთაპირებსა და რჯულძაღლებს" როგორ ვერ უნდა მოვერიოთ და ეროვნული ღირსება არ დავიბრუნოთ?! რაც არ უნდა მოიფიქრონ და დაამონტაჟონ მიშავიზიებმა, რა ბინძური სიუჟეტებიც არ უნდა გაუშვან, ქართველი ხალხი ამათი გასტუმრებისთვის მზადაა. არა აქვს მნიშვნელობა "მურენას მსგავსი" ნიკა ჩიტაძეები, ნასარიძეები და თავხელიძეები რა "ბრძნულ აზრებს" ამოაფრქვევენ. ან დასავლეთზე კარგად ქართველებმა როგორ არ ვიცით, რა არჩევანს გავაკეთებთ?! ჭკუა ვიღაც უცხოელმა ან ნავარომ რატომ უნდა გვარიგოს?! რას გვიმტკიცებენ ამით, რომ ჩვენ საკუთარი ჭკუით აზოვნების უნარი დავკარგეთ? რა ენაზე უნდა ესაუბროს ნაციონალებს ქართველი ხალხი, რომ მშვიდობით გაგვეცალონ. ცეცხლთან თამაშს და ხალხის დაშინებას თავი დაანებონ?! არც 30 ოქტომბრის შუაღამით უბნებზე სიების შეცვლა უშვალი მშობლებისთვის ძაძების ჩამცმელი, 7 ნომბერისა და 26 მაისის სასაკლაოს მომწყობი, ქართული ენის ამომგდები, ფლეტჩერების ჩამომყვანი, გორში მიწაზე მოფორთხიალე – "მაიკლ კალისტრატეს ძე სააკიანი" (მეუფე კალისტრატემ იშვილა სააკაშვილი) "პავლე სავლედ იქცა"?! კაცი, რომელიც მოსვლის დღიდან თავის გუნდთან ერთად, მხოლოდ იმას აკეთებს და ღაღადებს, რომ ვინც "ნაციონალურ მოძრაობასთან" არ არის – "ის საქართველოს მტერია", მოსალოდნელი გადარჩევის წინ ასე "დატკბა და გაკეთილშობილდა"?! ფუნდამენტალისტი მუსულმანებიო, რომ გაიძახიან, ფუნდამენტალისტები კი არა, ხალხი ეგენი ყოფილან, რადგან ღირსებისთვის და სარწმუნოებისთვის სიცოცხლეს არ ზოგავენ. "დემოკრატულმა სამყარომ" კი ჯერ უკვე კარგად ცნობილი 11 სექტემბერი გაათამაშა, რათა ერაყის აგრესია გაემართლებინა. ახლა კი ახალი, ისლამზე რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი ფილმის გამოშვებით, ირანზე აგრესიისთვის ამზადებს ნიადაგს. ჩვენ კი ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ქეთევან წამებულისა და ასიათასი მოწამის ერი; ღვთისმშობლის წილხვედრი მიწისა და უფლის კვართის პატრონი ერი; შოთას, ვაჟა-ფშაველას, აკაკის, ილიასა და გალაკტიონის მემკვიდრე ერი – ერთი მუჭა "ძაღლთაპირებსა და რჯულძაღლებს" როგორ ვერ უნდა მოვერიოთ და ეროვნული ღირსება არ დავიბრუნოთ?! რაც არ უნდა მოიფიქრონ და დაამონტაჟონ მიშავიზიებმა, რა ბინძური სიუჟეტებიც არ უნდა გაუშვან, ქართველი ხალხი ამათი გასტუმრებისთვის მზადაა. არა აქვს მნიშვნელობა "მურენას მსგავსი" ნიკა ჩიტაძეები, ნასარიძეები და თავხელიძეები რა "ბრძნულ აზრებს" ამოაფრქვევენ. ან დასავლეთზე კარგად ქართველებმა როგორ არ ვიცით, რა არჩევანს გავაკეთებთ?! ჭკუა ვიღაც უცხოელმა ან ნავარომ რატომ უნდა გვარიგოს?! რას გვიმტკიცებენ ამით, რომ ჩვენ საკუთარი ჭკუით აზოვნების უნარი დავკარგეთ? რა ენაზე უნდა ესაუბროს ნაციონალებს ქართველი ხალხი, რომ მშვიდობით გაგვეცალონ. ცეცხლთან თამაშს და ხალხის დაშინებას თავი დაანებონ?! არც 30 ოქტომბრის შუაღამით უბნებზე სიების შეცვლა უშვალით, არც "ჰოლივუდური კბილების ჩასმა" და აღარც "ნატოს სატანდარტების გაზით" მიტინგების დარბევა. "მორჩა კინო – მოკვდა"! მიშა "პოლიტიკური ტრუპია" და სულ ტყუილად ეხვეწება ხარატიშვილს: "თუ ვერ გავიმარჯვეთ, გამარჯვებულად მაინც მე გამომაცხადეო"! გამოაცხადოს გამარჯვებულ პრეზიდენტად, ოღონდ იქ, სადაც მისი ადგილია – ფსიქიატრიულ კამერაში. ჩვენც დავუდასტურებთ ამას, ოღონდ თავი დაგვანებოს და თავის მანქურთებიანად მოგვშორდეს. ქართველ ხალხთან ნდობის ლიმიტი დიდი ხანია ამოწურეს. წაეთრიონ, "ძაღლიშვილები არიან თუ ვირიშვილები". თუმცა ვისი შვილები არიან, კაცმა არ იცის, რადგან არც მათ ჰყავთ პატრონი და არც მას, ვისაც ამ მათი პატრონების გაზრდა ევალებოდათ, თორემ ასეთ უჯიშოებად და ცივსისხლიანებად არ გაზრდიდნენ.

ბაია ამაშუკელი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

nana devdariani: aSS-s saqarTvelos bediar awuxebs, Cvens qveyanaSi maTmxolod sakuTari interesebi aqvT...

ქვეყანაში შექმნილ წინასაარჩევნო გარემოს შესახებ „საერთო გაზეთს“ „თავისუფალი საქართველოს” საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატი ნანა დევდარიანი ესაუბრა.

— ქალბატონო ნანა, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება” დატოვეთ, თქვენი არჩევანი „თავისუფალ საქართველოზე” შეაჩერეთ. რატომ, რა არის მიზეზი, რატომ დადეთ ფსონი მაინცდამაინც კახა კუკავას პარტიაზე?

— „ქართულ ოცნებაში“ მცირე ხნით, ისიც საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ვიყავი. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნებიდან” წამოვედი, არცერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვყოფილვარ, „თავისუფალ საქართველოში” გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება ერთი თვის წინ მივიღე. ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მმართველი ძალაც და „ქართული ოცნებაც“ საუბრობს მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოს ხსნა „ნატოშია” და აუცილებელია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. მე, პირადად, პრინციპული პოზიცია მაქვს და მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას ალიანსი სასიკეთოს არაფერს არ მოუტანს. 2008 წელს ვნახეთ, რომ საქართველოსთვის ნატოს დახმარება მხოლოდ და მხოლოდ წყლითა და პამპერსით შემოიფარგლა. არა მგონია, „ნატოში” გაწევრიანებისთვის ქართველი სამხედროები ავღანეთში უნდა მსახურობდნენ. ამასთან, ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ამიტომ ამ საკითხის მოგვარება რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გარეშე წარმოუდგენელია.

— მიგაჩნიათ, რომ საქართველოს კეთილდღეობის გზა რუსეთზე გადის?

— ყველა შემთხვევაში ეს ასეა, რადგან რუსეთი საქართველოს მეზობელია. არ ვთვლი, რომ ვინმე მტრად უნდა მოვიკიდოთ, პირიქით, კარგი და დალაგებული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან უნდა გვქონდეს, მაგრამ სხვა სახელმწიფოების ინტერესებიდან კი არ უნდა გამოვიდეთ, არამედ საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვით უნდა ვიმოქმედოთ. თავი რუსეთის ადგილზე წარმოიდგინეთ და საკითხს ასე შეეხედოთ: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირობა დაიდო, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, მაგრამ ამერიკელებმა, როგორც სჩვევიათ, ეს პირობა დაივიწყეს და გაფართოება ნელ-ნელა დაიწყეს. რუსეთი თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოსგან მოითხოვდა, რომ რუსეთის საზღვართან ნატოს სამხედრო ძალები არ განლაგებინა. ვფიქრობ, ამ მოთხოვნის შესრულება არცთუ ისე რთული იყო. ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზა არ უნდა არსებობდეს. რუსეთს ეუბნებიან — გინდათ თუ არა ნატოს ჯარი თქვენ საზღვართან უნდა ჩაგიყენოთო. რუსების ადგილზე ჩვენ რომ ვიყოთ, რას ვიზამდით?

— „თავისუფალმა საქართველომ“ საბურთალოს რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად დაგასახელათ. როგორ შეაფასებთ თქვენ შანსებს?

— ვფიქრობ, გამარჯვების მოსაპოვებლად საკმაოდ დიდი შანსი მაქვს. ოპოზიციის უპირობო გამარჯვების ფორმულა — ყველა „ნაციონალური მოძრაობის” წინააღმდეგ იქნებოდა, მაგრამ „ქართული ოცნება” ამ მიმართულებით არ წავიდა, რაც დიდი შეცდომაა. თუმცა ერთიან მაჟორიტარულ კანდიდატებზე შეთანხმება ახლაც გვიანი არაა, რადგან „ქართულ ოცნებას” და არც რომელიმე სხვა პარტიას ყველა ოლქში ძლიერი მაჟორიტარი კანდიდატები არ ყავს.

- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, სანამ დავით უსუფაშვილი საბურთალოელების პრობლემების გაცნობას შესძლებს, მანამდე საპარლამენტო ვადაც ამოეწურებაო. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? როცა „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა აქვს?

— პიროვნულად დავით უსუფაშვილთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ელექტორატს აქვს „რესპუბლიკელებთან” პრეტენზია. ამავე დროს ქიზიყში რომ ჩავიდე, საიდანაც დავით უსუფაშვილია და მაჟორიტარად კენჭი ვიყარო, არ მეტყვიან — საიდან ან რატომ მოხვედიო? შეიძლება, პიროვნულად ვუყვარდე და პატივს მცემდნენ, მაგრამ ხალხი მაჟორიტარად ირჩევს ისეთს, ვისაც საკუთარ გაჭირვებასა და სატკივარს ეტყვის.

— „დემოკრატიული მოძრაობის” ლიდერის განცხადებით და წარმატების მილწევა მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. როგორია თქვენი პოზიცია?

— ქალბატონი ნინოს პოზიცია სიმართლეა, რადგან ოპოზიციის უპირო გამარჯვება ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ერთიანი ფრონტის შექმნა ვერ მოხერხდა. აამიტომ ოპოზიციას არჩევნებში გასამარჯვებლად უფრო ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე ერთიანი ოპოზიციურ ფრონტის შექმის შემთხვევაში ექნებოდა.

გახსოვთ, ალბათ, ოპოზიციის ნაწილი, რომელიც ახლა „ქართულ ოცნებაშია”, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს „დასხმოდნენ” ნინო ბურჯანაძეს უტევდნენ. ამიტომ ქალბატონი ნინოს გადაწყვეტილება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს — კარგად მესმის. ამ ნაბიჯით ბურჯანაძემ საკმაოდ მკაფიო გზავნილი გააკეთა: ოპოზიციამ მას, სურს რომ არ დააბრალოს საპარლამენტო არჩევნებში წარუმატებლობა, განზე გადგა და პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

— საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლების უპრეცედენტო რაოდენობა ჩამოდის. პირველ ოქტომბრამდე რამდენიმე კვირით ადრე საქართველო მაღალი დონის დიპლომატებს მასპინძლობს. როგორ ფიქრობთ, ამ დონის დელეგაციების ვიზიტი გარანტორი იქნება იმისა, რომ ხელისუფლება არჩევნებს აღარ გააყალბებს?

— 2003 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, რომ არჩევნები არ გაეყალბებინათ. ახლა კი გვეუბნებია, რომ ყველანაირი შედეგის მიუხედავად, არჩევნების შედეგები უნდა ვაღიაროთ. აამერიკელებისგან იმდენჯერ მოვისმინეთ, რომ მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა, მათგან აღარაფერი გამიკვირდება.

აშშ-ს საქართველოს ბედი არ აინტერესებს. ჩვენს ქვეყანაში მათ მხოლოდ საკუთარი ინტერესები აქვთ.

ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს და ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

მირანდა ნაბახტეველი

არ მომწონს, ამ ფიულეა თუ ფულეს ქედმაღლური განცხადება, ტონი და წინაპირობების წამოყენება. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა — პარტიების ქცევის კოდექსზე ხელი მოწერილი მაქვს და ფიულეს არასწორი ინფორმაცია მიაწოდესო!.. ხოლო, საიას თავ–რე თამარ ჩუგოშვილი ამბობს - პარტიათა ქცევის კოდექსის ერთიანი ტექსტი არ არსებობსო!.. მოკლედ, ქართველებს “გვამოწმებს” დასავლეთი, — ავიტანთ თუ არა მოძალადე ხელისუფლებას. პასუხი იქნება 1 ოქტომბერს და შემდგომ დღეებში.

ამერიკის ხელისუფლება, თავისი სიჩუმით ხელს უწყობს საქართველოში ელიტური კორუფციის აყვავებას... მისთვის მთავარია თავისი პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება იჯდეს საქართველოში და დიქტატურაც მისაღებია და ელიტური კორუფციაც...

მესხეთ-ჯავახეთში ქართული ოცნების აქციას ორჯერ მეტი ხალხი ესწრებოდა, ვიდრე რამდენიმე დღის წინ სააკაშვილთან იმ შეხვედრას, “ვეფხისტყაოსანი” რომ ჩააბულბულა.

მჯერა გამარჯვების, აბა, რა, ეს გარეწრები,რომ გაყალბების შანსებს ჰკარგავენ უკაცრავად და დორბლებზე,თვალების გაქაჩვებზეც ეტყობათ,ასეთი აგრესიულები გინახავთ ეს საცოდავები?სად ადრე, რომ იყვნენ დარწმუნებულნი, ნახეთ ძველი კადრები...გაყალბების ნიჰილიზმსაც იმიტომ თესავენ ხალხში, რომ გადაიფიქროს ვინმემ და არ მივიდეს... მარნეულში თქვა ივანიშვილმა: ვიდეო რგოლებს ვამზადებთ ყველა გაყალბებაზე და მალე გიჩვენებთო, ყველა მექანიზმი შესწავლილი გვაქვსო, ისიც კი მობილურით გადაღება და ეგეთებიც... როგორც იტყვიან”, ზოგი ჭირი მარგებელიაო”

ახლა ხაინდრავას ფილმს ვუყურებ და ვხვდები, რომ ის სპეცრაზმელები, რომლებიც ხელისუფლების მარიონეტებად იქცნენ, ბევრად საცოდავები არიან, ვიდრე უმოწყალოდ ნაცემი ხალხი!

ხაინდრავას ფილმის ყურების მერე 1 ოქტომბერს თუ ნაცებმა არჩევნები გააყალბეს და თუ ჩვენ გარეთ არ გამოვედით, მართლა ფურთხის ღირსები ვართ, საკუთარ ნეხვში უნდა ამოვლპეთ, თუ ამათ რამე უკანონობას შევარჩენთ.

წარსულში დაბრუნებაზე საუბრობს საქართველოს ე.წ პრეზიდენტი, რომელიც გახლდათ “მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარე, შევარდნაძის მთავრობის იუსტიციის მინისტრი გულმხურვალე კომკავშირელი, არსება, რომელსაც ედუარდ ამბროსევიჩი შეხვედრებზე ხელკავით დაატარებდა და ხალხს მოძღვრავდა — ეს თქვენი მომავალი პრეზიდენტი იქნებაო! ამხანაგო სააკაშვილო, ვიცი, რომ სირცხვილის გრძნობა კარგა ხანია დაკარგე, მაგრამ ცოტა ხნით მაინც დაადუმე საინფორმაციო ღრუ!

ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, “თელავში ნაცმოძრაობის ყრილობის შემდეგ კახელები თურმე ხუმრობდნენ: ამ ღონისძიებაზე ხალხი ჩადგმით იყო, მიხეილ სააკაშვილი კი - ჩამოტარებითო.”

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კუდ-ი და სოდ-ი გაუქმდება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში “ქართული ოცნების” გამარჯვების შემთხვევაში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი) გაუქმდება. ეს განცხადება ზუგდიდის რაიონში კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატმა, ირაკლი ალასანიამ ოდიშში მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. მისივე თქმით, მოსახლეობის უსაფრთხოებაზე პოლიცია და უშიშროება იზრუნებენ.

“მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ კუდი, სოდი ასეთი ამორალური ორგანიზაციები იქნება გაუქმებული, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება. დარჩება პოლიცია, უშიშროება, რომელიც საზოგადოებას მოემსახურება. ისეთი სულმოკლე ნაძირლები, როგორიც არიან კუდელები და სოდელები - ხელმძღვანელობა მათი... გაუქმდება და მოსცილდება ჩვენს ქვეყანას”, - განაცხადა ალასანიამ.

„მედიანიუსი“

rodis morCeba amaTi bogini...

იყო დრო, ციხე-კოლონიებში ჟურნალისტებს მონიტორინგის უფლება ჰქონდათ და თავისუფლად შეეძლოთ იქ შესვლა. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ციხის კარი უცხო თვალისთვის ჩაირაზა, თუ არ ჩავთვლით პარლამენტის თითოოროლა დეპუტატს, ან უცხოეთის რომელიმე ქვეყნის ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომლებიც ერთი ბათუმელი პატიმრის თქმისა არ იყოს, „დეიარებიენ“. უცხოელები კი „დეიარებიენ“ გაკვირვებული, მაგრამ ერთი დეპუტატი ქალბატონი — რუსუდან კერვალიშვილი, მართალია, თავისი პიარისთვის ხშირად „დეიარება“ და არცერთ რელიგიურ დღესასწაულს არ ტოვებს ქალთა ციხეში რომ არ მივიდეს, მაგრამ მისივე ნიც ამ ერთ ქალბატონს, კერვალიშვილს წყევლა-კრულვით აკითხავს პარლამენტის შენობის წინ, მაგრამ სამართალი ჩვენს ქვეყანაში ის არის, რაც ძლიერთათვის ხელსაყრელია, თორემ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს ცისანა ქოთილაიძეს, მისმა მევახშემ დარჩენილი გადაუხდელი ვახშისთვის ციხეში რომ მოაკითხა, ქოთილაიძეს ჩვენმა „სანაქებო“ პროკურატურამ ახალი საქმე აღუძრა... 18 წლის მარტა, ოთხწლიან სასჯელს იმისთვის იხდის, რომ ღამე მეზობლის ვარიას თავი წააცალა, მისი ობლობაში გაზრდილი მცირეწლოვანი ძმა მშიერი რომ არ დაწოლილიყო.

ამ უსამართლობას კერვალიშვილის ნიღაბი ვერ გადაფარავს, ნიღბის მიღმა მხოლოდ სიცრუე და ტყუილია! მე არ ვიცი, მის „უმანკოებას“ თავდებად როდემდე დაუდგება ხელისუფლება, მაგრამ ეს გულგრილობა უპატიებელი ცოდვაა. ღვთის სიყვარული ერთმანეთის სიყვარულში გამოიხატება. კერვალიშვილი კი სინამდვილეს გამოექცა საკნიდან, საკნიდან, სადაც სხვანაირად ამოდის მზე... ეს ჯოჯოხეთი, ალბათ, სატანამ შექმნა ნაცების დახმარებით. აქ ყოველი წუთი დათვლილია და ეშმაკისაგან გამოზომილია ჩვენდა შესაცდენდ. იმის ნაცვლად, რომ განსაცდელში მყოფ ქართველ ქალებზე იფიქრონ ხელისუფლებაში მყოფმა ქალბატონებმა და გაბედული ნაბიჯი ერთად გადადგან, ხმას არ იღებენ. ის კარგად იციან, რომ სიმართლით ამ ქვეყანაში იმდენს ვერ იშოვიან, რამდენსაც სიცრუით. ამიტომ შემორჩა წლების მანძილზე შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ელენე თევდორაძე, (რაც საქართველოში პარლამენტში არსებობს) ამ სამსახურს და „თავისუფლების“ — ეს ცუდი მოციქული ღია ეთერით უტიფრად აცხადებს, რომ „ქალი მსჯავრდებულები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებისათვის იხდიან სასჯელებს და რეკომენდაცია მხოლოდ მცირე ნაწილს ან საერთოდ არ მიეცემა-

სქესის მსჯავრდებულ ქალბატონებზე, რომლებიც შველას ითხოვენ, ჯერ მათზე სიტყვა არსად დაუძრავს, კეთილ სიტყვას ვიღა ჩივის, თვალწინ მიდგას ერთი რამ, რაც უეჭველია სხვებსაც შეუმჩნეველი არ დარჩათ, მახსოვს, ერთხელ, რუსთავის „კრიტში“ პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან ერთად გვესტუმრა ბაღლინჯოებით და ბუზებით გატენილ, ვიწრო დახუთულ და ნესტიან საკანში, სადაც 10 ქალი სულს ძლივს ვითქვამდით; მართალია, ჩამწყვდეული, თუმცა მისგან განსხვავებით ბევრი მათგანი სულით და აზროვნებით თავისუფალი ადამიანი. ბატონი დიმიტრი ბოლომდე ისმენდა ქალების გასაჭირს. კერვალიშვილი კი ორი წუთი არ გაჩერდა, ცხვირთან პალტოს საყელო აიფარა, მძიმე ჰაერი რომ არ ჩაესუნთქა და საკნიდან ისე გამოიქცა, როგორც მისი საყვარელი პრეზიდენტი გორიდან. რა საჭიროა თვალთმაქცობა? მე გულს მიღონებს განა ის ჯურღმული, სადაც წლობით ვიჯექით, არამედ ის, რომ ასეთი ადამიანების ხელშია წლების მანძილზე ჩვენი ქვეყანა და ხალხი. დღევანდელ „ევროსტანდარტულ“ ციხეებშიც ომია, იგი მეფის რუსეთის სატუსაღოების მსგავსია, სადაც უმოწყალოდ იხოცებიან ადამიანები, სადაც ქალთა ბუნტის დროს გულწასულ ქალებს ავტომატის კონდახს მიაშველებდნენ სპეცნაზელები —„რას გაჩერებულხართ გზა განაგრძეთო“, სადაც თავის გადარჩენა ჯანმრთელი ფსიქიკით შეუძლებელია, სადაც სოციალურ ნიადაგზე შეჭირვებული და მშიერი ადამიანები შეთითხნილი ბრალდებებით წლობით იხდიან სასჯელებს. განაჩენები, რომლებიც საქართველოს სახელით არის გამოტანილი, ქალბატონ დეპუტატს რომელიმეში მაინც რომ ჩაეხედა მიხვდებოდა, რომ მართლმსაჯულებას შეეძლო ისინი სხვა ფორმით დაესაჯა, ვიდრე საპატიმრო — სასჯელი, მით უმეტეს, როცა ზოგიერთ შემთხვევაში მათთვის წარდგენილი ბრალი სასჯელის სახით ჯარიმასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ხომ ვერ გადავიდოდნენ პრეზიდენტის ყბადაღებულ მოწოდებას: „არავითარი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეში!“ და ამ პრინციპმა ამ ხელისუფლების ხანაში წარმატებულად იმუშავა და შედეგიც სახეზეა. ამ ფაშისტურ მოწოდებას მქუხარე ტაშით სხვებთან ერთად მაშინ უმრავლესობის დეპუტატმა რუსუდან კერვალიშვილმაც დაუჭირა მხარი. არადა, მთლიანად ქალთა კოლონიის 1400-მდე მსჯავრდებულს ერთად იმდენი გადაგდებული ადამიანი არ ჰყავს, რამდეთო“... ისიც უფალმა განაჯროს, ვინ უფრო მეტად ცოდვილია, თევდორაძე თუ იქ გამომწყვდეული ნებისმიერი ქალი... ციხეების მწამებელი მინისტრი ხათუნა კალმახელიძე კი, რომელიც აკაკი წერეთლის საფლავს სხვიტორში ეძებს, ქალთა დაწესებულებაში არ ვიცი, რას ეძებს, იგი მუდამ ფარულად დადის და მსჯავრდებულ ქალებთან შეხვედრას გაურბის, არადა, ძველი პატიმრები, ხშირად იხსენებდნენ, რომ, როცა ავადმოსაგონარი, წინა ხელისუფლების დროს მხოლოდ 170 მსჯავრდებული ქალი იხდიდა სასჯელს და მათთან სტუმრობისას ამავე კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი რუსუდან ბერიძე ბრძანდებოდა, მან თურმე ყველა იმ პატიმრის საქმე გამოითხოვა დაწესებულებიდან, რომელიც ეკონომიკურ დანაშაულზე იხდიდა სასჯელს, მაშინ 40 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა პრეზიდენტმა შევარდნაძემო, გაოცებული ჰყვებოდნენ ძველი პატიმრები, ციხეში კი მხოლოდ კრიმინალები დაგვტოვესო, არც ერთი მათგანი არ უარყოფდა, რომ დანაშაული ჩაიდინა.

„იღვაწე სიმართლისათვის და ღმერთი იბრძოლებს შენთვის“ — გვასწავლის ბიბლია. კანონი და კოდექსი ბიბლიასავით წმინდა წიგნი უნდა იყოს. ეს კანონებიც ადამიანებმა შექმნეს. მახსენდება ერთხელ ქალბატონი რუსუდანი ციხის დირექტორის კაბინეტში ტყვეობაში მყოფ სამ ჟურნალისტს (ზონის და იმ უბადრუკ საკნებს მას მერე არ გაკარებია) შეგვხვდა. სახსოვრად მამათა დარიგებები და სხვადასხვა რელიგიური წიგნები გადმოგვცა. ჩემი წიგნის გარეკანზე ავტოგრაფით —„ღირსეული თავისუფლება“ მისურვა. ამისთვის მადლიერი ვარ, მაგრამ იქნებ ამიხსნას კერვალიშვილმა, რა იგულისხმა ამაში? ღირსეული თავისუფლება ხომ ღირსეულ ხელისუფლებას და ღირსეულ ცხოვრებას ნიშნავს? ღირსეული ცხოვრება კი უღირსებო ხელისუფლების დროს არის შესაძლებელი? მე ხუთწლიანი მძიმე პატიმრობის შემდეგ, ერთი რიგითი ჟურნალისტი, იძულებული ვარ ღირსეული თავისუფლება სხვა ქვეყანაში ვეძებო, რადგან მგონი ქრისტეს მეორედ მოსვლამდე აპირებენ დარჩენას და ვაი, თუ ისევ ამათი ხანა გაგრძელდა და მათივე გამოგონილი ბრალდებით — „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე ჩემნაირად მოაზროვნეებს ისევციხეში გვიკრან თავი, ამიტომ ეს ხანა არ უნდა გაგრძელდეს.

ნანა სულავა

konturebi

ჩვენ ვიცნობთ მათ... ან უნდა ვიცნობდეთ!

ბევრი რომ ვიცით მათ შესახებ... ან უნდა ვიცოდეთ!

ვაფასებთ მათ ღვაწლს... ან უნდა ვაფასებდეთ!

გვაინტერესებს მათი შემოქმედება... არ უნდა გვაინტერესებდეს!

ერთი-ორი შტრიხი და გამოჩენილი ადამიანის პიროვნული პორტრეტის კონტურები მოხაზულია — დაასახელეთ მათი ვინაობა.

1 XIX საუკუნის უდიდესი ფრანგი მწერალი. „გამოუსწორებელი რეალისტი“, — როგორც თავად უწოდებდა საკუთარ თავს. მართლაც, მისმა კალამმა საოცარი სიზუსტით ასახა იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება. მწერლის უდიდესი ინტელექტისა და მხატვრული ოსტატობის შედეგია ის, რომ მისი რომანები ლამის ისტორიულ დოკუმენტებზე უფრო ცხადად გვიხატავს სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა პრობლემატიკას და უტყუარ ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ვის არ იხილავთ მისი პერსონაჟების გალერეაში: თაღლით ბანკირს, კალამგაყიდულ ჟურნალისტს, ძუნწ რანტიეს, ჩვეულებრივ თუ ელიტარულ მეძავს, ხელმოკლე სტუდენტს და, რაც მთავარია, პარიზის მაღალ საზოგადოებას თავისი ბრწყინვალე ტიტულებით, თვალისმომჭრელი ფუფუნებითა და სულიერი სიღატაკით. სწორედ მაღალი საზოგადოების მიმართ ჰქონდა მწერალს გაორებული დამოკიდებულება: თან აღმოაჩენდა აღიზიანებდა მისი სიყალბე, უზნეობა და ფარისევლობა, რასაც დაუნდობლად ამხელდა თავის ნაწარმოებებში, თან ელტვოდა მის გარეგნულ ბრწყინვალეებას. „ნეტა, შემეძლოს, ღმერთივით ვწერო და არისტოკრატივით ვიცხოვრო“ — ჩაწერა ერთხელ დღიურში.

სამწუხაროდ, ფორტუნა არ იყო ბოლომდე გულმოწყალე — ღმერთივით წერის უნარი უბოძა, მდიდრულად ცხოვრებისა კი რა მოგახსენოთ. ცნობილია, რომ გენიალური შემოქმედი სიკვდილამდე ებრძოდა ჭარბ წონას და... მრავალრიცხოვან კრედიტორებს, რომლებმაც რამდენჯერმე ოთახშიც კი ჩაკეტეს, რათა ნაწარმოები განსაზღვრულ დროში დაესრულებინა და ამ გზით მათი ვალი გადაეხადა.

უკვე ასაკში შესული დაქორწინდა საყვარელ ქალზე, პოლონელი მემამულის ასულზე, მაგრამ არც მაშინ ელირსა მშვიდი ცხოვრება: მევალეების გარდა, საკუთარ ახირებებსაც ებრძოდა, რომლებიც მის ჯანმრთელობას ანადგურებდნენ, მაგრამ ვერც ამ ბრძოლაში გაიმარჯვა — სიცოცხლის ბოლომდე სვამდა უზომო რაოდენობის ყავას, ათენებდა ღამეებს და საწერ მაგიდაზე მუდამ ედო დამპალი ვაშლის ნაჭერი. ამტკიცებდა, — სხვაგვარად ღირებულს ვერაფერს შევქმნითო.

მისი შემოქმედება ნათარგმნია მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

2 პოპულარული ფრანგი მსახიობი ქალი, კინოკრიტიკოსები წერდნენ, რომ ეს მრავალმხრივი ამპლუის ხელოვანი საოცრად დახვეწილი სილამაზის პატრონია და მისი ინტელიგენტური იერი თვალშისაცემ კონტრასტს ქმნის ბრიჯიტ ბარდოს გამომწვევ იერთან. მადლობა ღმერთს, ასეთი შეფასების გამო მსახიობები ერთმანეთს არ გადამტერებიან და ორივემ ღირსეულად შეირგო თავისი წილი დიდება. თანაც, არსებობდა მამაკაცი, რომელიც, გარკვეულწილად, აერთიანებდა მათ — საქმე ისაა, რომ ორივე მათგანის მეუღლე გახლდათ (ცხადია, სხვადასხვა წლებში).

ის მოსწონდა და უყვარდა ყველას — მაყურებელს, რეჟისორებს, პროდიუსერებს, ჟურნალისტებს. გასაკვირი არაა, რომ ფრანგი ქალის სიმბოლოს, „მარიანას“ ტიტულის ერთ-ერთი მფლობელი გახდა, თუმცა ე.წ. „ვარსკვლავური სენით“ არ დაავადებულა. საერთოდაც, თავმდაბლობითა და თავშეკავებული ქცევით გამოირჩეოდა; უახლოესი მეგობრები კი „ჩუმჩუმელას“ ეძახდნენ, რადგან სწორედ ამ თავშეკავებული მანერებითა და უბრალოებით ახერხებდა უამრავი გულის დაპყრობას. ცნობილი ფაქტია, რომ მისი თავგადაკლული თაყვანისმცემელი იყო გამოჩენილი იტალიელი კინოვარსკვლავი, მარჩელო მასტროიანი. იგი ერთ-ერთ ფილმში პარტნიორობას უწევდა ფრანგ ლამაზმანს და თავდავიწყებით შეუყვარდა. მასტროიანი გამოუსწორებელი მექალთანე გახლდათ, თანაც ცოლიანი, მაგრამ ამჯერად გულწრფელად იყო შეყვარებული, ცოლთან გაყრა და ახალი ოჯახის შექმნაც კი განიზრახა. მისდა სამწუხაროდ, ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა: ქალმა გოგონა გაუჩინა, მაგრამ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო დაქორწინებაზე ცივი უარი განუცხადა... და მერე ვის? ცნობილ გულთამპყრობელს, თვით მასტროიანის! არაფერმა გაჭრა, ფრანგი მსახიობი კლდესავით ურყევი აღმოჩნდა. მარჩელო დეპრესიაში ჩავარდა, ბავშვივით ქვითინებდა და თავისი ერთგული მეუღლის ნუგეშის სიტყვებს ისმენდა: „დამშვიდდი, საყვარელო, თავს გაუფრთხილდი, ეგ ქალი ამად არ ღირს, ნამდვილად გიყვარ, რადგან შენი ცოლობა არ უნდა...“

3 ნაადრევად დაღუპული ქართველი მსახიობი მამაკაცი, რომელმაც კინოგადაღება მიატოვა და უყოყმანოდ შეუერთდა აფხაზეთში მებრძოლთა რიგებს. ბედის ნებიერი იყო: უაღრესად ნიჭიერსა და გამორჩეულად ლამაზს არასოდეს აკლდა თეატრალური თუ კინოროლები, პარტნიორობას კი ცნობილი მსახიობები უწევდნენ. პოპულარული სტუდენტობის პერიოდშივე გახდა, როცა ქართველი ჟერარ ფილიპი შეარქვეს და მასზე შეყვარებული გოგონების რიცხვმა ყველა რეკორდი მოხსნა. თბილისის ქუჩებს ახსოვთ მისი მინიატურული ავტომანქანა, რომელიც თავისი დანაზოგით შეიძინა და ძალიან ეამაყებოდა. ბოლო ხანებში ამ მანქანაში შავთმიან ლამაზმანთან ერთად ხედავდნენ — ეს იყო მოლდაველი გოგონა, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, საქართველოსა და ჩვენს გმირზე შეყვარებული...

ომს თავისი ულმობელი კანონები აქვს. იგი ვერ დაბრუნდა და იქცა ლეგენდად, თაობის სიმბოლოდ, ვაჟკაცობის მაგალითად. სამწუხაროდ, შვილი არ დარჩენია. მოლდაველი ასული კი დღესდღეობით ცნობილი ხელოვანია თავის სამშობლოში. იგი ხშირადაა თბილისში, სადაც თავისი სიყვარულის სახელზე საკუთარი ხელით დარგული ხე და უამრავი მოგონება ეგულება. „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო ნამდვილი სიყვარული, რომელიც დღემდე ცოცხალია“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ნინო სიხარულიძე

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

1). კახი კავსაძე
2). ანდრეი მიაგკოვი
3). ემილი დიკინსონი

damtkbari miSa, anu ar gagiva eg nomeri, duru xunWua!

ვისაც ახსოვს ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „რეკორდი“, აუცილებლად ემახსოვრება ფრაზა – „არ გაგივა ეგ ნომერი, დურუ ხუნჭუა!“ სწორედ ეს ფრაზა ამეკვიატა მას შემდეგ, რაც ტელევიზიებმა (სათვალავი ამერია, იმდენჯერ დაატრიალეს) ბაგრატის ტაძრის ფონზე მოქადაგე მიშა შემოგვახვიეს და ჩაგვახუტეს. ისეთი გულაჩუყებული იყო საბრალო, მეტნაკლებად გულჩვილ პენსიონერს, მით უმეტეს, უკვე ჰოლივუდისღიმილიანს, ნამდვილად ააქვითინებდა.

მიხეილ სააკაშვილი: „ის, რაც ჩვენ განგვასხვავებს, ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გვაერთიანებს. ჩვენ გვაერთიანებს მეფე ბაგრატის იდეა; ჩვენ გვაერთიანებს ის, რისთვისაც იბრძოდა დავით აღმაშენებელი; ის, რასაც შეეწირა ილია ჭავჭავაძე – ეს არის ერთიანი და წელში გამართული საქართველო... მე მოვუწოდებ ყველა პარტიას ერთიანობისკენ. ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის, ამ საკითხებში ყველა პოლიტიკური ძალის ერთიანობა აუცილებელია. აუცილებელია ჩვენი ხალხისთვის, რომლსაც არავითარ სიკეთეს არ მოუტანს შიდა პოლიტიკური განხეთქილებები და დაპირისპირებები. ის, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება, არის სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება. ახლა არ არის ნგრევის და არეულობის დრო, ახლა მხოლოდ შენების დროა.

მოდით, ნუ შევუშინდებით ერთიანობას!

მოდით, შევთანხმდეთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში ვართ ერთად და ამით ყველას – ერსაც და ბერსაც, მტერსაც და მოყვარესაც ხმამაღლა განვუცხადოთ: ყოველი ჩვენგანი, უპირველესად, საქართველოს პატრიოტია და მხოლოდ ამის შემდეგ არის ქრისტიან-დემოკრატი თუ ლეიბორისტი, ნაციონალი თუ მეოცნებე, მემარჯვენე თუ მემარცხენე...

არცერთი პოლიტიკური მიზანი, არც ერთი პოლიტიკური ამბიცია არ ღირს იმად, რომ ამას ქვეყნის ერთიანობა და პერსპექტივა ვანაცვალოთ“, – ესეც იქვე და მანვე თქვა.

საოცარია, ნუთუ მართლა და მაინც გასჭრა აღდგენის შემდეგ უკურთხებელი ტაძრის მადლმა და მის აურაში მოხვედრილ პრეზიდენტს, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც გონება გაუნათა? ბუნებრივია, ამგვარი კითხვა ებადება საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც თუნდაც მცირეხნიანი მეხსიერება აქვს.

განა ამ სიტყვებამდე ჯერ კიდევ ორი-სამი დღით ადრე (და კიდევ ადრე და ადრე და გამუდმებით) პირდაპირი მნიშვნელობით წყევლა-კრულვას არ უთვლიდა იგივე პირი ყველა მღრღნელს, ჯოჯოს, უწმინდურებს და მისთანებს და ხმალივით არ იქნევდა დაქადნებით საჩვენებელ თითს?

განა ამ სიტყვებამდე ორი-სამი დღით ადრე არ გაისმა მისი გუნდის თვალსაჩინო ლიდერის სიტყვები პოლიტიკური მოწინააღმდეგე თანამომმის, როგორც კლასის განადგურების შესახებ?

განა ეს იგივე პირი არ არის, რომლის „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ და „ადგილზე ლიკვიდაციამ“ სატუსაღოდ და სასაფლაოდ გადააქცია მთელი საქართველო?

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.com

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი

განა ეს იგივე პირი არ არის, რომლის მითითებითაც დაინგრა საქართველოში არსებული ყველა სულიერი ფასეულობა? – ჰოდა, ამიტომ ვამბობ, რა ნიავმა მოჰბერა შავ-ბნელ გონებაში, რამ დაუწმინდავა-მეთქი.

როგორც მემატიანემ შემოინახა, სიკვდილის სარეცელზე მყოფი ნერონის ბოლო ფრაზა სინანულისა ყოფილა, სინანულისა – „რა მსახიობი ვკვდები...“ – ისეთი სიალალით ამბობდა ზემოთხსენებულ წინადადებებს ბატონი სააკაშვილი, ისეთი უმწიკვლო სახით, ისეთი მსახიობური ოსტატობით, ადვილი შესაძლებელია, ნერონის ეს ფრაზაც მიითვისოს.

მაინც რა ნესტარმა უჩხვლიტა მუდმივად მუქარის პოზაში მდგომ პრეზიდენტს ბაგრატის ტაძრის ეზოში?

შედარებით მსუბუქი კუთხით დავიწყოთ ვარაუდი, ვნახოთ, იქნებ მოვარგოთ გასაღები მის დაშაქრებას – გააზრებული ჰქონდა, რომ იგი იმყოფებოდა იმ ტაძრის ეზოში, რომლის აღდგენასაც საკუთარი პიარის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს და მართლმადიდებელი მრევლის საქართველოში, ერთხელ მაინც, შესაბამისად, სიკეთესა და სათნოებაზე უნდა ესაუბრა;

შესაძლებელია, ბოლო-ბოლო ყურად იღო კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შეგონება – არჩევნებამდე რაღა დარჩა და წინასაარჩევნოდ, სწორედ იმ წუთიდან შეწყვიტა ქვეყნის პრეზიდენტისთვის შეუფერებელი ფრაზების ტყორცნა;

ასევე, შესაძლებელია, მისი ეს გამოსვლა მისსავე სამომავლო საქმისთვის სჭირდებოდა, რომ აი, ქვეყნის საკეთილდღეოდ მან გვერდზე გადადო ყველანაირი პოლიტიკური ამბიცია, მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელი გაუწოდა პოლიტიკურ მეტოქეებს და მისი შეთავაზება რეაქციულმა პოლიტიკურმა ძალებმა არ მიიღეს, რადგან მათ განზრახული ჰქონდათ დესტაბილიზაციის გამოწვევა.

ბატონ სააკაშვილს არ სჩვევია დათაფლული ენით მეტყველება, იგი ან ყვირის და იმუქრება, ან გარბის, ან ორივე ერთად, თუმცა ხსენებული გამოსვლის შემდეგ ბატონმა კუკავამ 2008 წლის იანვარი გაიხსენა, როდესაც მძლავრად აგორებულმა საპროტესტო ტალღამ შეაფიქრიანა და თეთრ-წითელი ლენტების გადანასკვით მეგობრული გზავნილი მიართვა საზოგადოებას.

პრეზიდენტის თაფლაკვერა სიტყვებმა, უკვე გითხარით, რა ფრაზაც ამაკვიატა, არ გაუვა მიხეილ სააკაშვილს ეს ნომერი, მაგრამ ბატონი კუკავას ნათქვამმა პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა გამახსენა 2008 წლის სისხლიანი ხუთი დღის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე. გადაიკითხეთ, არქივში მოიძიეთ და ნახავთ, რომ იმ სიტყვების წარმოთქმისას ბატონ სააკაშვილს ისეთივე სათნო და ალალი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ბაგრატის ტაძრის ეზოდან „ქადაგებისას“.

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა, რომელიც მან სამაჩაბლოში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგერნად შეჭრამდე ოთხი საათით ადრე წარმოთქვა: – „მე კიდევ ერთხელ მინდა მოგმართოთ, ჩემო ძვირფასებო, ჩემო თანამემამულენო, მე ძალიან მიყვარს ოსი ხალხი, როგორც პრეზიდენტს და როგორც ერთ რიგით ადამიანს, ძალიან დიდი თაყვანისმცემელი და პატიცისმცემელი ვარ ოსური კულტურის, ოსური ისტორიის. ყველა ეთნიკური ოსი საქართველოში არის საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენ ვამყობთ თქვენით და ამ ჩვენი ერთობით. საქართველო ძლიერია თავისი მრავალფეროვნებით. საქართველო არ არის და არასდროს არ იქნება მონოეთნიკური ქვეყანა, ერთი ეთნოსის, ქართველების ქვეყანა. საქართველო ყველას ერთნაირად გვეკუთვნის, თანაბრად, მიუხედავად ჩვენი წარმომავლობისა, და მოდით, ერთად გავუფრთხილდეთ ჩვენს ქვეყანას, მოდით, ერთად გავუფრთხილდეთ, ერთად ავაცილოთ მას ძალადობა, მოდით, ერთად ვიმუშაოთ უკეთესი მომავლისკენ, მოდით, გადავუსვათ ხაზი ყოველგვარ უარყოფითს წარსულში და ვიფიქროთ ჩვენს საერთო მომავალზე“...

(120000 მშვიდობიანი მოქალაქისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება სააკაშვილმა გასცა, მაგრამ ვის ბრძანებას ასრულებდა თვით სააკაშვილი და რატომ, ვინ და რა მიზნით აფინანსებდა ქართულ არმიას და ა.შ უამრავი კითხვები, ამჯერად სხვა თემაა)

ბატონ სააკაშვილზე არაერთხელ და არაერთ ჭკუის საკითხავ კაცს უთქვამს, რომ არაპროგნოზირებადია, ამდენად, მისი ამგვარი დატკბობა, (თუნდაც ოცწუთიანი) მისი ეგოცენტრიზმიდან გამომდინარე, შეიძლება, იმაზე დიდ მუქარად, გულში ჩახვეულ და ამოსანთხევად გამზადებულ ბოღმად უნდა ჩავთვალოთ, რაც აქამდე მოუწევია საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის...

უნებლიედ ახლო აღმოსავლეთთან და ზოგადად, მსოფლიო ისტორიასთან მივედით, რაგინდ მტარვალი იყოს ქვეყნის მმართველი, არავის გასვლია ამგვარი ნომრები ყოველთვის...

მაია ჟელიძე

ჯახა ჯუჯავა: „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად ემზადება არჩევნების გასაყალბებლად

დღეს „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე და ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი, კახა კუკავა ამომრჩეველს შეხვდა. შეხვედრა ღია ცის ქვეშ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე გაიმართა.

როგორც პარტიიდან „მედიანიუსს“ აცნობეს, კუკავამ ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე და ყურადღება გაამახვილა არჩევნების შემდგომ მოსალოდნელ პროცესებზე. პარტიის თავმჯდომარის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად ემზადება არჩევნების გასაყალბებლად, რასაც „თავისუფალი საქართველო“ არ შეეგუება და დაიწყებს უმწვავეს საპროტესტო აქციებს, სანამ ხელისუფლება არ აღიარებს რეალურ შედეგებს.

კახა კუკავამ მოსახლეობას არჩევნებზე „თავისუფალი საქართველოს“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა და საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შემთხვევაში, პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

„ქართულმა ოცნებამ“ ზუგდიდის მთავარ მოედანზე აქციის ჩატარების ნებართვა მიიღო

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 22 სექტემბერს ზუგდიდის მთავარ მოედანზე აქციის ჩატარების ნებართვა უკვე მიიღო.

აქციის გამართვის უფლება კოალიციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მისცა.

შეგახსენებთ, რომ “ქართული ოცნების” აქცია ზუგდიდში 9 სექტემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა ლოპოტას ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციის გამო გადაიდო.

„მედიანიუსი“

Lafanyuris specoperaciis gamaognebeli versiebi

ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის გარშემო უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა კვლავ არსებობს, რომელსაც იმედია, პასუხი ოდესმე გაეცემა, ამ სისხლიან სპეცოპერაციას, რომელსაც ოფიციალური ვერსიით, 14 ადამიანი შეეწირა ახლად გაპრემიერებული ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელსაც თურმე თავიდან არაფერი სცოდნია. არ იცოდა ყოფილმა „ქვეყნის ხერხემალმა“ რომ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები თავისუფლად დასეირნობდნენ თელავის რაიონის ტყეებში? ადგილობრივმა მოსახლეობამ აკი განაცხადა, ლამის თვენახევარია სამხედროფორმიან, წვერებიანი მამაკაცებს, რომლებიც ჯიპებითა და პიკაპებით გადაადგილდებოდნენ, ხშირად ვხედავდითო. ჩვენს პრეზიდენტად წოდებულ მიხეილ საკაშვილსაც, თურმე, 2-3 დღის მერე შეუტყვია „დაღესტნიდან“ შეიარაღებული დაჯგუფების გადმოსვლისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ. რანაირად შეიძლება ქვეყნის პირველმა პირმა პირველ დღესვე არ იცოდეს ქვეყანაში რა ხდება? კითხულობს ვეტერანთა ლეგიონის თავმჯდომარე ᲖᲐᲚᲮᲐᲖ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

— ორი დღე მიმდინარეობდა სპეცოპერაცია და ჩვენ ვერსად ვიხილეთ პრეზიდენტი, ვერ მოვისმინეთ მისი ინტერვიუ. ბოდიში მოითხოვია და რაღაც ფეხსალაგი რომ იხსნება, იმის გახსნაზე საკაშვილი თავის ორსაათიან გამოსვლაში „ვეფხისტყაოსნიდან“ ციტატებს გვიკითხავს, ასეთი მნიშვნელოვანი ვითარებისას კი არსად ჩანს. ბოლოს, როგორც იქნა, მოვისმინეთ მისი პირველი განცხადება, რომ გადამთიელების შეიარაღებული ჯგუფი გავანადგურეთო და მწუხარებას გამოთქვამს სამი ქართველი ძალოვანი დაღუპვის გამო.

მეორე დღეს შსს ავრცელებს ინფორმაციას, რომ ამ დაჯგუფებაში საქართველოს მოქალაქეებიც (ორნი) იყვნენ. რა გამოდის, პრეზიდენტი წინა დღეს ცრუობდა? შემდეგ დღეებში დაღუპულ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მატულობს, რაც ასევე ტრაგედიაა და ვუსამძიმრებ დაღუპულ ქისტთა და ჩეჩენთა ოჯახებსაც. ამის შემდეგ ხდება ამაზრზენი ფაქტი, ცხედრებით ვაჭრობა. ამდენი წელია ისრაელი და არაბული სამყარო ერთმანეთს ებრძვის და ისინიც კი არ იყენებენ ასეთ ბინძურ მეთოდს. ვერ გავიგე, საქართველო სახელმწიფოა, თუ რაღაც ბანდიტური დაჯგუფების სამოქმედო ტერიტორია, რომლის ხელისუფლებაც თავის მოქალაქეებს ცხედრებით ევაჭრება, დაღუპული ახალგაზრდები კრიმინალებიც რომ ყოფილიყვნენ, მაშინაც არ შეიძლებოდა ასეთი ვაჭრობა.

ეს ჯგუფი ჩრდილო კავკასიიდან რომ არ გადმოსულა, ხომ დამტკიცდა? ამაზე უკვე ხელისუფლებაც აღარ საუბრობს. მეამბოხე, დივერსანტი, ტერორისტი, პარტიზანი სხვადასხვა კლასიფიკაციაა და შესაბამისად სხვადასხვანაირად არიან შეიარაღებულნი. ამათ რატომღაც ძალზე მოეწონათ სიტყვა დივერსანტი და ამ დაჯგუფების მიმართ ხშირად იყენებდნენ. დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვის მნიშვნელობა „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ არცერთმა ჟურნალისტმა არ იცის. მათ მხოლოდ ის იციან, როგორ დაადონ მიშას მცირერიცხოვან შეხვედრას ხმა ისე, თითქოს ბევრი ხალხი ყვირის მიშა-მიშას“.

— იარაღის არსენალმა რატომ გაგიჩინათ კითხვები?

— უღელტეხილზე გადმოსულ და ტყეში ნასიარულებ ადამიანებს ასეთი გაპრიალებული, ერთი განაკაწრის გარეშე იარაღი ვერ ექნებოდათ. დახოცილების ტანსაცმელსა და საძილე ტომრებს ტალახის ერთი შხეფიც კი არ ჰქონდა, ანუ ისინი იქ ტრანსპორტით მიიყვანეს. იარაღის არსენალში იყო ყუმბარმტყორცნის ჭურვები და ე.წ. მუხები, რომლებიც ერთჯერადი გამოყენებისაა. ჭურვები საკმაოდ მძიმეა მთაში სასიარულოდ, მითუმეთეს ისეთი მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის, რომელსაც ისედაც ამხელა შეიარაღება ჰქონდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში, არსად ჩანდა ის დანადგარი (ყუმბარმტყორცნი), რომელიც ამ ჭურვებს ისვრის. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფს თან იმხელა არსენალი ჰქონდა, თანაც გამოუსადეგარი, რომ მებრძოლების კი არა მტვირთავების, ან თუნდაც იარაღის კონტრაბანდისტების შთაბეჭდილებას უფრო სტოვებდნენ.

მებრძოლები ჯერ მოწამლეს და მერე დაცხრილეს?

როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე ᲖᲐᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ გვითხრა, საღვთო ომში დაღუპული მებრძოლების საფლავი მუსულმანთათვის წმინდა ადგილად ითვლება და ის მომლოცველთა თავშეყრის ადგილად იქცევა. რუსული სცენარია, როდესაც მეომრების ცხედრებს ოჯახს არ გადასცემენ და თვითონ ხელისუფლება ასაფლავებს, თავყრილობის და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლადო. ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ გარისკა რუსული სცენარით მოქმედება, თუმცა ცხედრები მაინც გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაკრძალა, რამაც ცხადია, ახალი ეჭვები გააჩინა, ამჯერად რაღას მალავდა ხელისუფლება. მითუმეტეს, რომ მანამდე ისედაც გამოითქვა ეჭქსპერტების მხრიდან ეჭვი 11 მებრძოლის დაღუპვასთან დაკავშირებით, ერთი შეტაკების დროს ამდენი მებრძოლი ერთბაშად არასდროს დაღუპულა, ხელებაწეული ხალხი ხომ არ დახოცესო.

მებრძოლები ჯერ მოწამლეს და მერე დაცხრილეს?

ᲖᲐᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲞᲣᲡᲣᲚᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲒᲐᲜᲑᲐᲜᲒᲐᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲮᲚᲔᲜᲡ. ᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲑᲐᲜᲒᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲮᲕᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲒᲕᲐᲛᲘ ᲡᲐᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲐ – ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲐᲫᲕᲡ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ, ᲠᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ, ᲠᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ.

მაშინვე გაირკვევა, ეს ადამიანი ბრძოლის დროს მოკვდა, ზურგიდან ესროლეს, მძინარე ჩაცხრილეს თუ ჯერ მოწამლეს და მერე მოკლეს საკონტროლო გასროლით. ისიც გაირკვევა, უკვე მკვდარ ადამიანს თუ ესროლეს ტყვიები. ამიტომ არ გააკარეს ამ ცხედრებს არავინ, დამოუკიდებელ ექსპერტებზე ხომ საუბარიც ზედმეტია, რომ მათ გამოკვლევა ჩაეტარებინათ და ობიექტური დასკვნა დაედოთ, სინამდვილეში რა მოხდა.

დარწმუნებული ვარ 1 ოქტომბრის მერე საქართველოში პოლიტიკური ვითარება ისე შეიცვლება, რომ ჩვენს ჩრდილოკავკასიელ მეგობრებს საშუალებას მივცემთ, თავად ჩაატარონ დამოუკიდებელი ექსპერტიზა, ექსპერტებიც თავად მოიყვანონ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის გვამის ხანდაზმულობა არაფერს ნიშნავს, სიკვდილის მიზეზს ყოველთვის დაადგენენ. მით უმეტეს, რომ საკაშვილის რეჟიმი იმდენ ხანს ნამდვილად ვერ დარჩება ხელისუფლებაში, რომ ხანდაზმულობის პრობლემა გაჩნდეს“.

წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ხელმძღვანელი ᲕᲐᲨᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ ლოპოტას სისხლიან სპეცოპერაციასთან დაკავშირებით საინტერესო განცხადებებს აკეთებს. ისიც ადასტურებს, რომ დაღუპული მებრძოლებიდან რამდენიმე კაცი ნაცხელისუფლებამ ორი წლის წინ ჩამოიყვანა საქართველოში და კომფორტული პირობები შეუქმნა. არჩევნების წინ საკაშვილს „გენიალური“ იდეა მოსვლია - რაიმე სახის სამხედრო საშიშროების შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და არჩევნების გაურკვეველი ვადით გადადება. ხელისუფლება პროვოკაციას თავიდან სამაჩაბლოს საზღვრებთან გეგმავდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს, რადგან იქ რუსული ჯარი დგას და ამ კურდღლებს ადგილზე დაადუღებდნენ რუსებიო. ამიტომ გაითამაშეს ლაფანყურის ვარიანტი, სადაც ვითომდა გატაცებულების გამოსახსნელად ჩატარებულ სპეცოპერაციაში ჩახოცეს ხალხი. სინამდვილეში ოპერაცია სულ სხვაგვარად ჩატარდაო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ მიერ ჩამოყვანილ ჩეჩნებს და პანკისელ ქისტებს სთხოვეს ჩრდილო კავკასიის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან დაკავშირება, რათა სამომავლოდ, საჭირო შემთხვევაში, ერთმანეთთან კოორდინაცია ჰქონოდათ. ამ ჯგუფმა დავალება ორ თვეში მოაგვარა, ისინი დაღესტანში გადავიდნენ, საჭირო ხალხი ნახეს და შეხვედრის დრო და ადგილიც დათქვეს. ამის შემდეგ ჩვენი სპეცჯგუფი კურიერ ქისტებთან და ჩეჩნებთან ერთად გავიდნენ დანიშნულების ადგილზე, სადაც უკვე დამალული იყო კიდევ ერთი ქართული ჯგუფი. როცა მეორე ჯგუფი, რომელსაც კურიერები ახლდნენ, ადგილზე მივიდა,

სამი ქართველი ჩრდილოკავკასიელებს არ მოუკლავთ... ვისმა ტყვიებმა იმსხვერპლა ისინი?

ᲘᲛ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲐᲥᲔᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲛᲘ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲔᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲔᲪᲐ. ᲩᲔᲩᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲥᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲒᲐᲘᲒᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲡᲕᲠᲘᲐᲗ, ᲡᲜᲐᲘ�პᲔᲠᲔᲑᲘ

➔

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ხელისუფლება ლოპოტაში დახოცილ მებრძოლთა ჯგუფს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციისთვის ამზადებდა?

სულ სხვა ადგილზე იყვნენ და მიხვდნენ, რომ ჩასაფრებული ქართული ჯგუფი ისროდა, რათა შეტევის იმიტაცია მოეხდინა. კურიერები მიხვდნენ, რომ თვითონაც განწირულები იყვნენ, რადგან ქართველებმა თავისიანებიც არ დაინდეს, ამიტომ გაქცევა არჩიეს და სწორედ ეს გაქცეული, მოლაპარაკებაზე მომავალი უიარაღო ხალხი ამოხოცა ჩასაფრებულმა ჯგუფმა,

ამ სიბინძურის მოწშეები რომ მოეშორებინათ. მოწშეების ლიკვიდაციის შემდეგ შეხვედრაზე მომავალ სტუმრებზეც მიიტანეს იერიში. ოფიციალური ვერსიის არავის სჯერა, მითუმეტეს, რომ საწყობიდან ახლად გამოტანილი, ზეთშეუშშრალი იარაღი გვაჩვენეს, ვითომ მოკლულ „ტერორისტებს“ აართვესო.

რაც შეეხება სამი ქართველი სპეცრაზმელის მოკვლას, წიკლაური აცხადებს, რომ ჩოხელი და წიკლაური აშკარად გამოხატავდნენ სიმპათიებს ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ამიტომ ნაცებისთვის არასასურველი პირები იყვნენ. მათთან ერთად მოკლულ ექიმ ხვედელიძეს, რაღაც პირადი ურთიერთობის გამო ჰქონია პრობლემა. ასე, რომ, სნაიპერებს კარგად სცოდნიათ, ვინ იყო მათი სამიზნე. ამით არასასურველი პირებიც მოიშორეს და შესაძლებელი გახდა მათი სიკვდილის „ტერორისტებისთვის“ გადაბრალებით პროვოკაციაც უპრობლემოდ დაეწყოთ. რატომ არავინ კითხულობს რატომ უნდა დაღუპულიყო სამხედრო ექიმი სპეცოპერაციისას. ექიმი, საერთოდ, ყველაზე უსაფრთხო ადგილას იმყოფება, ის მაშინ კვდება, როცა უკვე მთელი ჯგუფია განადგურებულიო.

სარწმუნო წყარომ „საერთო გაზეთსაც“ უთხრა, რომ ის იარაღი, საძილე ტომრები და ზურგჩანთები, რომლებიც დაღუპულ მებრძოლებს ჰქონდათ, ერთ-ერთი ძალოვანი უწყების საწყობებიდან იყო გატანილი.

თითქმის ყველა ექსპერტი ერთხმად აცხადებს, რომ ხსენებული დაჯგუფების განადგურება რუსეთის ხელმძღვანელობის მითითებით მოხდა, თუმცა რატომღაც ყველა ნაკლებად საუბრობს **ბოლოს და ბოლოს რისთვის ჩამოიყვანეს ეს ხალხი საზღვარგარეთიდან და მათ ამ შეკრებას რა კონკრეტული მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა. მხოლოდ ერთხელ, ასე ვთქვათ, გაიელვა მედიაში ინფორმაციამ, ეს ჯგუფი ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციისთვის მზადდებოდა, მაგრამ მათ უარი**

თქვეს დავალების შესრულებაზე, წასვლა უნდოდათ და იმიტომაც გაანადგურეს ყველა, ეს საქმე რომ არ „გამსკდარიყოო“.

ამ ინფორმაციის რეალურობა „საერთო გაზეთს“ სანდო წყარომ დაუდასტურა. მართლაც რომ მზადდებოდა ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია და ეს ხალხიც თავად ხელისუფლებამ რომ ჩამოიყვანა ამ საქმისთვის, ამაზე ძალზე სერიოზული ხალხი საუბრობს, ფაქტობრივად ეს ხელისუფლებიდან გამოჟონილი ინფორმაციააო. წყაროს თქმით, ამის შესახებ ახმედ ზაკაევმა და დოკუ უმაროვმა შეიტყვეს, რომლებმაც ჯგუფის წევრები კატეგორიულად გააფრთხილეს, ბიძინა ივანიშვილს თმის ღერი არ ჩამოუვარდესო, რის შემდეგაც მათ უარი თქვეს ამ ბინძური დავალების შესრულებაზე. ეს საქმე რომ არ გახმაურებულიყო, ცხადია, თავად ამ ჯგუფის ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო, რაც მოხდა კიდეც.

წყარო არ გამორიცხავს იმ ვერსიას, რომ, შეიძლება, ივანიშვილის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა სწორედ ჩოხელსა და წიკლაურს დააბრალეს და ამიტომ დასაჯეს.

როგორც ირკვევა ლაფანყურის სპეცოპერაციისას 11 კი არა 7 მებრძოლი დაიღუპა. თუ ასე არ არის, მაშინ სად გაქრა ოთხი გვამი? როგორც ნაცტელევიზიებმა გვამცნეს, შსს-ს ოთხი პიროვნება ჰყოლია დაკავებული, რომლებიც ხსენებული დაჯგუფების წევრები ყოფილან. ცხადია, მათი დაკითხვა მიმდინარეობს, თუმცა დღემდე არ გაუვრცელებიათ მათი სატელევიზიო ჩვენებები. არ არის გამორიცხული, ეს ხალხი ისე „დაამუშაონ“, რომ ათქმევინონ, ბიძინა ივანიშვილის დავალებით მიხეილ სააკაშვილისა და ნაცელიტის „ნაღების“ ლიკვიდაციას ვგეგმავდითო. „გამოცდილებიდან“ გამომდინარე, ხელისუფლებას ამ ვერსიის „გამოცხობა“ ნამდვილად არ გაუჭირდება.

მანანა სუხიშვილი

არჩევნების წინ შეიძლება დატყვევებულ ოთხ მებრძოლს ათქმევინონ, რომ ისინი ივანიშვილმა დაიქირავა ნაცელიტის „ნაღების“ სალიკვიდაციოდ...

ori mosazreba erTi Temis gar Semo anu ras amboben politologebi makkeinisa da misi amal is vizitis Sesaxeb

„„მაკკეინს სულაც არ უყვარს საქართველო, მეტიც, ფეხებზე ჰკიდია“

პაატა ზაქარეიშვილი:

— ბატონო პაატა, ახლო წარსულში არაერთი სიუჟეტი მიეძღვნა მაკკეინს და ამერიკელი რესპუბლიკელების ვიზიტს საქართველოში. კახეთში ყურძნის წურვა და ამის გარშემო დატრიალებული მოვლენები მაქვს მხედველობაში. ამერიკელები ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდნენ. მასთან სტუმრობის დროს ერთი თქვეს, სააკაშვილთან მეორე, ტელე-კამერებთან — მესამე. (იგულისხმება მაკკეინის ამალის ერთ-ერთი წევრის თავის მართლება „კურიერის“ ტელეკამერებთან, ჩვენ არ გვითქვამს ბიძინასთვის, რომ სააკაშვილი ამერიკული პოლიტიკისთვის მიუღებელიაო). ჭორიკანა მეზობლების ლაპარაკს დაემგვანა ეს ყველაფერი. რა ინტერესები აქვთ რესპუბლიკელებს და მაკკეინს?

— ესეც ყურადღების გადატანისთვის კარგი ფანდია. სააკაშვილს სჭირდება მაკკეინი და მაკკეინსაც სჭირდებოდა სააკაშვილი. ჩვენ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს და არა ამერიკელებისა. ვერც ამერიკელები და ვერც ევროპელები ახლა ვერაფერს გაგვიკეთებენ. ჩვენი ბედის გადამწყვეტი ჩვენვე ვართ და არა ისინი.

რაც შეეხება პირადად მაკკეინს, მე მას არ ვენდობი, ამ პიროვნებას სულაც არ უყვარს საქართველო და ფეხებზეც ვკიდივართ. მას აინტერესებს რუსეთი. ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ კამიკაძედ სჭირდება. ეს მაკკეინმა კარგად გამოავლინა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როცა ბარაქ ობამამ დაამარცხა. ამიტომ არ მჯერა, მაკკეინის და მისი მეგობარი სენატორებისა. მე ობამას პოლიტიკის მომხრე ვარ. მას მკვეთრად გამოკვეთილი და გათვლილი პოლიტიკა აქვს და არ ცდილობს საქართველო რუსეთს შეახეთქოს. ერთი სიტყვით და რუსეთის წინააღმდეგ არ გვიყენებს.

— ანუ მაკკეინის მეგობრული პოზირება არანაირად მომგებიანი არ არის ჩვენთვის?

— მიხეილი სააკაშვილი რომ დარჩეს ხელისუფლებაში, კიდევ უფრო მეტ ტერიტორიებს ჩააბარებს რუსეთს. ასე რომ, მე მაკკეინი ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის ის უფრო საინტერესოა, რატომ აგდებს საკაშვილი ასე დაუზოგავად საქართველოს რუსეთის ხახაში. მაკკეინი ალბათ, გამოუცხადებს მხარდაჭერას თუ მიშამ გააყალბა არჩევნები.

— გაქვთ არჩევნების ობიექტურად ჩატარების იმედი?

— მე დემოკრატიული ქვეყნების იმედი მაქვს. ჩვენი რუსეთთან გამარჯვება შედგება მას შემდეგ, რაც საქართველოში დაისადგურებს დემოკრატია. რაც უფრო ავტორიტარული იქნება რეჟიმი ჩვენში, მით უფრო ვერ მოვახერხებთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში იქნება იმის საშუალება, მივხედოთ ყველა პრობლემას და მათ შორის რუსეთთან ურთიერთობას. ავანტურიზმით, პროვოკაციებით რუსეთს ვერ მოვერევით. რუსეთს შეიძლება, მოვერიოთ იმით, რაც მათ არა აქვთ და არც ექნებათ. ეს არის დემოკრატია.

რამაზ საყვარელიძე,
პოლიტოლოგი:

— ბატონო რამაზ, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, მაკკეინისა და რესპუბლიკელი სენატორების ვიზიტის შესახებ. რამდენად მომგებიანია ქვეყნისთვის ამ ეტაპზე მათი სტუმრობა და ხომ არ ატარებს ეს რაიმე თეატრალურ ხასიათს?

— ამერიკელებს მუდამ აქვთ ინტერესი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ, ეს, ჩემი აზრით, ჩვენთვის სასიამოვნო უნდა იყოს. ამერიკელებს და მით უმეტეს, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს უყვართ წარმოჩენა, რას აკეთებენ თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ და როგორ წარმოაჩენენ თავს. მათი მიზანი იყო დაეფიქსირებინათ, რომ ჩვენ კვლავ ვართ ამერიკული პოლიტიკის ოჯახის წევრი, ეს გამოჩნდა კიდეც მათ ვიზიტში.



— ამერიკაში უკვე მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი. შეიძლება რაიმე პროგნოზის გაკეთება ამ ეტაპზე? ამომრჩეველთა სიმპათია კვლავ დემოკრატების მხარესაა?

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შეერთებულ შტატებში არჩევნების წინ პროგნოზების კეთება ძნელია. ამისი მიზეზი, პირველ რიგში, ის გახლავთ, რომ კონკურენტები ძალიან ახლოს არიან ხოლმე რეიტინგით ერთმანეთთან. რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, დღესდღეობით ცოტათი წინ უსწრებს ობამა.

— მათ რეიტინგზე ხომ არ იმოქმედებს ბოლოდროინდელი მოკლემეტრაჟიანი ფილმი "მუსლიმთა უცოდველობა", რომელიც მკრეხელური სუჟეტისაა, თავისთავად ცუდი ფაქტია და დიდი სკანდალიც მოჰყვა...

— სკანდალი და მეტიც, ამან დაანგრია ამერიკული დიპლომატია. ამერიკელებისთვის ეს ფილმი დიდი დარტყმა იყო და რა თქმა უნდა, ობამასთვისაც.

— უდავოდ ჰგავს პროვოკაციას...

— გეთანხმებით, მაგრამ ახლა საინტერესოა, ვისი მხრიდანაა პროვოკაცია. თუ ამ სკანდალის შემდეგ რესპუბლიკელების რეიტინგი აიწევს, შეიძლება, ჩაითვალოს, რომ ეს პროცესი მათი ინტერესებიდან გამომდინარე მიმდინარეობდეს. როგორც იტყვიან პოლიტიკურ ბრძოლაში ასეთი ამბები მოსულა.

— რესპუბლიკელების ვიზიტს გარჩევების გარეშე არ ჩაუვლია. აღმოჩნდა, რომ ივანიშვილთან ერთი უთქვამთ, სააკაშვილთან — მეორე. რას ნიშნავდა ეს?

— დღეს იყო მაგ თემაზე საუბარი და ივანიშვილმა ეს განმარტა როგორც გაუგებრობა. მე გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ დასავლელი პარტნიორებისთვის სააკაშვილი მნიშვნელოვანი არ არისო. მერე ეს გაფუჭებული ტელეფონის პრინციპით გადაითარგმნაო. ანუ დააკონკრეტა, რომ ეს მისი აზრია და ამისი გამოთქმის უფლება აქვს.

თამუნა ქადაგიძე

ელექტრომაგნიტურ ველში ცხოვრობთ?

უკანასკნელ ხანს, ჩვენ გარშემო მომრავლებული მობილური ოპერატორების ანტენებისა თუ მაღალი ძაბვის სადენების პირობებში, საკმაოდ ბევრს აინტერესებს, რამდენად მავნეა ჯანმრთელობისთვის ისინი და როგორ მოიქცნენ, ან რა ზომებს შეიძლება მიმართონ ამგვარ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ადამიანებმა, რათა ამ ფაქტორთა გავლენით მათ ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.

ელექტრომაგნიტური გამოსხივების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმი, ჯერჯერობით, ბოლომდე შესწავლილი და გაშიფრული არ არის, თუმცა არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა. მაგალითად: ელექტრომაგნიტურ ველს ორგანიზმზე საკმაოდ დაბალი დოზებითა და ხანმოკლე მოქმედებითაც კი შეუძლია, შეცვალოს მთელი სხეულის ფუნქციათა მარეგულირებელი სისტემების მოქმედება. შედეგად, მწყობრიდან საბოლოოდ გამოდის ჯერ თითოეული უჯრედი, შემდეგ კი – მთელი ორგანიზმი.

ამ სახის გამოსხივებისას, უპირველეს ყოვლისა, იცვლება ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი – წყლის თვისებები და მისი ქიმიურ რეაქციებში მონაწილეობის უნარი.

გარკვეულ ცვლილებებს განიცდის უჯრედის იონური შემადგენლობაც, რაც საბოლოოდ ფიზიოლოგიური პროცესებისათვის აუცილებელ ბიოქიმიურ რეაქციათა არანორმალურ წარმართვას იწვევს.

ელექტრომაგნიტური გამოსხივებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა მხედველობის ორგანო, ტვინი, თირკმელები, ნაღვლისა და შარდის ბუშტი.

მოჭარბებული ელექტრომაგნიტური გამოსხივებისას ორგანოთა სისტემებში ასეთი ცვლილებები ვითარდება.

ნერვული სისტემა

ელექტრომაგნიტური ველის მოქმედებით მეხსიერების, პირობით-რეფლექსური და შეკავებაგზნების პროცესები ქვეითდება.

საგრძნობლად იცვლება თავის ტვინის ქერქის ნეირონთა აქტივობა, რის შედეგადაც ინფორმაცია დროულად ვეღარ მიეწოდება საჭირო ინსტანციებს.

ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი ადამიანებში მეხსიერების ხანმოკლე დაკარგვის მიზეზადაც კი ქცეულა.

იმუნური სისტემა

იმ ადგილებში მცხოვრებ ადამიანებში, სადაც ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება მაღალია, რამდენადმე იცვლება ინფექციური პროცესის მიმდინარეობის ხასიათი, რადგან ასეთ პირთა სისხლში დარღვეულია ადამიანის ორგანიზმის სპეფიციკური დამცავი ცილების – ალბუმინებისა და გლობულინების სინთეზი.

გარდა ამისა, არსებობენ ადამიანები, რომელთა იმუნური სისტემაც ელექტრომაგნიტურ ველს, როგორც ალერგენს, ისე აღიქვამს და მათში საკმაოდ ძლიერ ალერგიულ რექციათა განვითარების მიზეზი ხდება.

სასქესო ორგანოთა სისტემა

ელექტრომაგნიტური ველის ხანგრძლივი მოქმედებისას ქვეითდება სპერმატოგენეზი, იცვლება მენსტრუალური ციკლი, ორსულებში ირღვევა ჩანასახის ნორმალური განვითარება.

მოსალოდნელია ნაყოფში თანდაყოლილი სიმახინჯეები გამოიწვიოს, მეძუძურ დედებში ქვეითდება ლაქტაცია (რძის წარმოქმნა).

ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი

ასეთი ველის პირობებში ხანგრძლივად მცხოვრები ადამიანების ორგანიზმში ვითარდება ერთგვარი ქრონიკული მოწამვლის სურათი, რომელშიც წამყვანი ადგილი უკავია ცენტრალური ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების ფუნქციურ დარღვევებს.

ადამიანები ხშირად უჩივიან საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას, ძილის მოშლას, გაღიზიანებადობას, ოფლიანობას, სხვადასხვა ლოკალიზაციის თავის ტკივილს; ზოგი აღნიშნავს გულმკერდის არეში ტკივილს, რომელიც ზოგჯერ მოჭერითი ხასიათისაა, ზოგჯერ კი – მარცხენა ხელსა და ბეჭში გადაეცემა.

ხშირია ნერვული და ფსიქიკური დაძაბვა, არტერიული წნევის ცვალებადობა, ჰიპოტონია.

ცალკეულ პირებს აწუხებთ თვალთ დაბნელება, თავბრუსხვევა, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითება.

დაიცავით თავი

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ელექტრომაგნიტური ველის მოქმედი პარამეტრების ნორმალური დონის დაცვა სპეციალური საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების გზით.

როგორც ფიჭური ანტენების, ისე მაღალი ძაბვის ელექტროსადენების ირგვლივ, შესაბამისმა ორგანოებმა პერიოდულად აუცილებლად უნდა შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება გარემოში გამოსხივების დონე დასაშვებ ნორმებს.

რაც შეეხება ასეთ გარემოში მცხოვრებლებს, მათთვის რეკომენდებულია წელიწადში ერთხელ ორგანიზმის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება, ვიტამინოთერაპია, განსაკუთრებით საჭიროა **C** და **B** ჯგუფის ვიტამინები, მათი შემცველობით მდიდარი საკვები რაციონი და რაც მთავარია, იმუნური ძალების გაძლიერება იმუნომასტიმულებელი პრეპარატებითა და სხვა საშუალებებით.

თუ გულს შიში შეიპყრობს

გულის ნევროზი, ანუ კარდიოფობია პანიკის სინდრომთან ერთად იმ განსაკუთრებული ხასიათის ფობიათა (შიში) რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უპირატესად ახალგაზრდა ასაკის ადამიანებში იჩენს ხოლმე თავს.

შეგახსენებთ, რომ გული ავტომატურად ძგერს და მისი ნორმალური მუშაობა ადამიანისათვის აბსოლუტურად შეუმჩნეველია, მხოლოდ ძლიერ ფიზიკურ დატვირთვასა და ემოციურ გადაძაბვისას ძლიერდება მისი მოქმედება, რასაც ადამიანი შეიგრძნობს კიდეც.

როგორ ვლინდება კარდიოფობია

ადამიანს ეწყება განგაშისა და უსაფუძვლო შიშის ერთგვარი შეტევა, გული იმდენად ძლიერად იწყებს ძგერას, რომ იბადება შიში – „გული ამას ვეღარ გაუძლებს, გაჩერდება და მეც მოვკვდები“.

კარდიოფობიური შეტევა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ყოველგვარი ფუნქციური ცვლილების გარეშე ვითარდება, რომელსაც ხშირად წინ უსწრებს ან თან ერთვის ღებინება, თავბრუსხვევა, შფოთვა, თუმცა, შესაძლოა, შეტევა ყოველგვარი წინამორბედი ნიშნების გარეშეც დაიწყოს.

ამ დროს ადამიანები მიუთითებენ გაძლიერებულ გულისცემაზე, რომელსაც „მთელს სხეულში გრძნობენ“, უჩივიან ჰაერის უკმარისობას, ოფლიანობას, თავბრუსხვევასა და მოდუნებას; მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს შესაძლოა, არტერიული წნევა მომატებულიც კი ჰქონდეს, გარინდულნი არიან და არ პასუხობენ შეკითხვებზე; თუმცა, თითქმის არასოდეს კარგავენ გონებას, აკანკალებთ, აციებთ და ეს ყველაფერი იმ დიდი შიშის გამო, რომ ფიქრობენ, „სადაცაა ჩემი გული სამუდამოდ გაჩერდებაო“.

ზოგიერთში ეს შიში იმდენად ძლიერია, აგზნებულები დარბიან და ირგვლივ მყოფებს შველას სთხოვენ, თუ შეტევა ავტომობილში ეწყებათ, მანქანიდან გადმოდიან, რადგან „ჰაერზე სიკვდილი ურჩევნიათ“.



შეტევა საშუალოდ 15 წუთიდან 2 საათამდე გრძელდება, შეტევის შეწყვეტის საუკეთესო საშუალება ექიმის, თეთრხალათიანი ადამიანის მოსვლაა ან იმის შეტყობა, რომ იგი გზაშია და ვიღაც მის დასახმარებლად უკვე მოემართება.

ექიმის გამოჩენა ასეთ დროს მათზე ნებისმიერ დამამშვიდებელ პრეპარატზე უკეთ მოქმედებს და სწორედ ამიტომაც არის, კარდიოფობიით დაავადებულებს მსგავსი შეტევები კლინიკაში ან რაიმე სახის სამკურნალო დაწესებულებაში არასოდეს ემართებათ.

შეტევის შემდეგ

პირველი შეტევის შემდეგ ადამიანი კარგავს სულიერ წონასწორობას, რადგან მორიგი შეტევის მოლოდინში და მუდმივად თან სდევს შიში. შეტევების სიხშირე და მათ შორის დრო არარეგულარულია, შეტევათა შორის ინტერვალებში პაციენტი გულდასმით აკონტროლებს საკუთარი გულის მუშაობას, აფიქსირებს სრულიად უმნიშვნელო გადახრასაც და შემთხვევით ექსტრასისტოლებს (გულისცემის „გამოვარდნებს“) დაავადების უტყუარ ნიშნად აღიქვამს და სიკვდილის მაუწყებლად მიიჩნევს.

ამის შემდეგ იწყება თვითდაზოგვა – ისე ფრთხილობენ, აღარც კი დადიან, ცდილობენ აიცილონ ნებისმიერი დატვირთვა, გაურბიან მღელვარებასა და უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტურ სიტუაციებს, უსიამოვნო სიმტომებზე მეტად მოსალოდნელი განგაშის შიში სტანჯავთ და არა – თავად შეტევა.

ასევე შიშის გამო ცდილობენ, არ დარჩნენ შინ მარტო, ჰგონიათ, რომ შეტევა ძილში დაემართებათ და ვერავინ უშველით, ამიტომაც ერღვევათ ძილი, ყველაფერი კი საბოლოოდ დიდ ზიანს აყენებს როგორც ოჯახსა და პირად ურთიერთობებს, ისე სამსახურს.

მაპროვოცირებელი ფაქტორები

ასეთებია: მწვავე კონფლიქტი და გადაძაბვა, განშორება და იმედგაცრუება, მარტოობა და მიტოვებულობის შეგრძნება... ხშირად პირველი შეტევა მათ ემართებათ, ვინც ეს-ესაა უეცრად დაკარგა ახლობელი და დარწმუნდა, რომ ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია, ახალგაზრდა ასაკში მოხდეს.

გარდა ამისა, ხშირად კარდიოფობიის მიზეზი საკმაოდ შორს, ბავშვობაში იმალება. ჩვეულებრივ ასეთი რამ ემართებათ პატარაობაში მშობლებისგან ალერსითა და ზრუნვით ზედმეტად გათამამებულ ბავშვებს დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ.

ფსიქოთერაპიას გირჩევთ

თუ ექიმთან საუბარს შედეგი არ მოაქვს, პაციენტებს ენიშნებათ ტრანკვილიზატორები ან ბეტა-ბლოკატორები, ბევრი შისგან „განკურნებას“ ალკოჰოლის საშუალებით ცდილობს, რაც ყოვლად დაუშვებელია – ასეთ დროს ალკოჰოლი პრობლემას ვერ აგვარებს და მასზე დამოკიდებულება კი ხშირად ყალიბდება.

აღსანიშნავია, რომ ფარმაკოთერაპია ასეთ დროს მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებაა, გადამწყვეტი სიტყვა ფსიქოთერაპიას ეკუთვნის, რაც რამდენიმე ეტაპად ტარდება.

პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს ყველა ის მიზეზი, რომელმაც პაციენტი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.

შემდგომი ეტაპი – ამგზნები კონფრონტაციაა, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტში საკუთარი თავისადმი რწმენის გაჩენასა და განმტკიცებას.

მესამე ეტაპზე ხდება პაციენტის შეჩვევა, ერთგვარი უმტკივნეულო ადაპტაცია იმ ყველაფრისადმი, რამაც ადრე მასში მსგავსი ავადმყოფური ემოციების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ფსიქოთერაპია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და როგორც პაციენტის, ისე მისი მკურნალი ექიმისგან დიდ ნებისყოფასა და ნდობას მოითხოვს.

ფსიქოთერაპიას წარმატებულს ხდის და დროშიც მნიშვნელოვნად ამცირებს საყვარელი საქმით დაკავება და საკუთარი თავის სრული რეალიზაცია.

მოამზადა
ზვიად ღონღაძემ

მსოფლიო ჯრიმის მიხედვით

afxazeTi Jenevis diskusiebis formats aprotestebs

კავკასიის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის მოლაპარაკებები კრიზისშია და შეხვედრების ფორმატი შესაცვლელია, განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარე ფილიპ ლეფორთან და გაეროს წარმომადგენელ ანტი ტურენენთან გამართულ შეხვედრაზე.

„ჩვენ რთული ვითარება შეგვექმნა რამდენიმე პარამეტრის მიხედვით. ჯერჯერობით დასკვნების გახმოვანებისგან თავს ვიკავებთ, მაგრამ სერიოზული განსჯა გვჭირდება იმის გასარკვევად, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, საჭიროა თუ არა რამე ცვლილება როგორც ფორმატის, ისე ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანების თვალსაზრისით“, – განაცხადა ჩირიკბამ შეხვედრაზე. – უმთავრესია, რომ ჩვენ გაგვაჩნია მოტივაცია და კეთილი ნება, ყველა პრობლემა კონსტრუქციულ კალაპოტში განვიხილოთ და ისინი კომპრომისის გზით მოვაგვაროთ“.

აფხაზეთის საგარეო უწყების მეთაური გამოთქვამს იმედს, რომ მსგავს კომპრომისსა და კეთილ ნებას შეხვედრის სხვა მონაწილეებიც გამოიჩენენ.

ევროკავშირის, გაეროს და აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შეხვედრისას განიხილავდნენ ამიერკავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდს. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ორგანიზაციიდან ესწრებოდა ირლანდიის მუდმივი წარმომადგენელი ეუთო-ში ჯეიმს ოშეი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები და აფხაზეთის საგარეო უწყება მსჯელობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს შეხვედრა „ინციდენტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების“ ფარგლებში. თუ რატომ არ მუშაობს ეს მექანიზმები, სტაგნაციის მიზეზად ვიაჩესლავ ჩირიკბა ასახელებს ზოგიერთ შუამავალს, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობას კი არ ცდილობენ, თვითონ ქმნიან კონფლიქტურ ვითარებებს.

საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი, პოლონელი გენერალი ანჯეი ტიშკევიჩი პერსონა ნონ-გრატად არის გამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ვიდრე ტიშკევიჩს არ შეცვლიან, აფხაზეთის მხარე არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ამ მექანიზმების განხილვაში.

„ჯერ ერთი, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მისი ფორმატი. იგი აუცილებლად შესაცვლელია, რადგან ზღუდავს ჩვენს გადაწყვეტილებებს. ასეთ მანკიერ ფორმატში რაიმე სასიკეთო გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ“, – განუცხადა ჟურნალისტებს ჩირიკბამ.

მეორე – ამ ხუთმხრივ შეხვედრებზე აფხაზეთის პოზიცია ურყევია: „ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ ჩავერთვებით ამ დისკუსიაში, რაც ჩვენი მოთხოვნები შესრულდება. სამწუხაროდ, გენერალ ტიშკევიჩს მანდატი გაუგრძელეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში ამ ფორმატის ფარგლებში არანაირი შეხვედრა არ გაიმართება“, – აღნიშნა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მესამე – აფხაზეთის მხარე არ აპირებს, ურეაქციოდ დატოვოს პროქართული რეზოლუცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ფაქტობრივად, ჟენევის დისკუსიის გვერდის ავლით, ივლისში მიიღო. „ეს საბოტაჟია, – აღნიშნავს ჩირიკბა. – ჩვენი პოზიცია ჟენევაში იქნება მკაცრი. ამიტომაც, ჩემი აზრით, რთული რაუნდი გველოდება. წყლის ნაყვას ბოლო უნდა მოეღოს“.

დისკუსიის 21-ე რაუნდი 10-11 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

ჟენევის დისკუსიები, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, იმავე წლის ოქტომბრიდან იმართება. ჟენევის შეხვედრაში თანაბარი უფლებებით მონაწილეობენ სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, ამერიკის, აგრეთვე ევროკავშირის, გაერო-ს და ეუთო-ს დელეგაციები.

rosbalt.ru

vis aZlevs xels Zaladoba

არაბულ სამყაროს კიდევ ერთხელ გადაუარა ძალადობის ახალმა ტალღამ, რომელიც დასავლეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ისევე როგორც ნებისმიერი დანაშაულისას, ახლაც ჩნდება კითხვა – ვის აძლევს ხელს ვითარების მსგავსი განვითარება. გამოცემის მიმომხილველის, იაკობ აუგშტაინის აზრით, შექმნილი ვითარებიდან დივიდენდების მიღებას რესპუბლიკელები და ისრაელის მთავრობა ცდილობენ. ყველაფერ ამას რელიგიასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

„უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა ლიბიაში, სუდანში, იემენში, იმ ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე ღარიბია. ახლანდელი მოვლენების უკან მდგომი ხალხი კი ძალიან შორს არის. გამძვინვარებული და სისატიკეს აყოლილი ახალგაზრდები, რომლებიც არა მარტო ამერიკულ, არამედ უკვე გერმანულ დროშებსაც წვავენ, ისეთივე მსვერპლი არიან, როგორებიც ბენგაზში თუ სანაიში მოკლულები“.

ახალი ანტიდასავლური ტალღა განსაკუთრებულ დროს დაიწყო. აპოგეამ სწორედ იმ დროს მიაღწია, როცა 1. ამერიკაში არჩევნებანდე რამდენიმე კვირაა დარჩენილი და ამერიკელებმა ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ და 2. ისრაელის მთავრობა სულ უფრო დაჟინებით ითხოვს ირანზე პრევენციულ თავდასხმას. ეს დამთხვევები შემთხვევითი არ არის.

არაბულ სამყაროში ახალი ძალადობის გამომწვევი ჰოლივუდური ფილმი „ისლამის უცოდველობა“ სხვა დროს რომ ეჩვენებინათ, განსხვავებული რეაქცია ექნებოდა. ამჯერად ეს ფილმი კულტურული კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდა.

ახლანდელ პრეზიდენტს უარყოფით იმიჯს უქმნის ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გამოჩენილი სისუსტე. ამერიკელი ჯარისკაცების მკვლელობა და ამერიკის დროშების ხელყოფა ქვეყანაში სისუსტედ აღიქმება და ამის შესახებ აშკარად ლაპარაკობენ რესპუბლიკელები მიტ რომნის მეთაურობით, რომლებიც დემოკრატებს პოპულარობით ჩამორჩებიან.

„სულზე მიუსწრო ახლო აღმოსავლეთის ბოლოდროინდელმა ამბებმა ისრაელის პრემიერს, რომელმაც შაბათს კიდევ ერთხელ მოითხოვა ირანის მორჯულება, ვიდრე გვიან არ არის. ბინიამინ ნეთანიაჰუს აზრით, „ირანს „უზომო ფანატიკოსები“ მართავენ; მუსულმანურ ქვეყნებში დასავლეთის სახელმწიფოების საელჩოების წინააღმდეგ გამოხატული ძალადობის საფუძველი სწორედ ეს ფანატიზმია. ნუთუ გსურთ, რომ ბირთვული იარაღი ასეთი ფანატიკოსების ხელში აღმოჩნდეს?“ – მიმართა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ამერიკელ ტელემაყურებელს.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე დასავლეთის რეაქცია მოვლენების გაუგებლობისა და მოჩვენებითი გულუბრყვილობის ერთგვარი ნაზავია“, – აღნიშნავს გამოცემის მიმომხილველი.

Der Spiegel

ruseTma swavleba `kavkasia-2012~ sxva adgilze gadaitana, magram saqarTvelo maincver daaSoSmina

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „კავკასია-2012“ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის საფრთხედ მიაჩნია. იხსენებენ 2008 წლის წვრთნებს კავკასიაში, რომელიც მასშტაბით წლევანდელს ჩამოუვარდებოდა და რომელმაც სავალალო შედეგები მოუტანა ქვეყანას.

ქართველი დიპლომატები თავიანთ დამსახურებად მიიჩნევენ იმას, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა რუსეთს ხშირად უსვამს მწვავე შეკითხვებს ამ სწავლებებთან დაკავშირებით.

სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კავკასია-2012“ სამხრეთის სამხედრო ოლქში 17-დან 24 სექტემბრამდე იმართება და მას რუსეთის ფედერაციის გენშტაბის უფროსი არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი ხელმძღვანელობს.

გენერალურმა შტაბმა უარი განაცხადა, ამ სწავლებებში სამხრეთ ოსეთის (მე-4 სამხედრო ბაზის), აფხაზეთისა (მე-7 სამხედრო ბაზის) და სომხეთის (102-ე სამხედრო ბაზის) პოლიგონებიც ჩაერთო. სამხედროების მტკიცებით, გეოგრაფიული შეზღუდვა იმიტომ დააწესეს, რომ საქართველო მშვიდად იყოს. „შევეცადეთ, კავკასიაში დაძაბულობისთვის ზედმეტი საბაბი არ შეგვექმნა, ამიტომაც საქართველოს სიახლოვეს სასწავლო წვრთნების ჩატარებაზე უარი ვთქვით“, – განმარტავს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი.

rosbalt.ru

მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.

მოგზაურობა სამშობლოში



ტყე-ჯავახეთიდან, სადაც ჩვენს ჯგუფს კოთელიაში ჰქონდა ბანაკი, სამხრეთით — ჯავახეთის ცენტრალური ნაწილისკენ, ანუ იგივე ახალქალაქის ზეგნისკენ მივემართებით. კოთელიელი მასპინძელი, ხუციშვილების ოჯახი გულითადად გვემშვიდობება და ნაყოფიერ მოგზაურობას გვისურვებს.

ბაგრატ III-ის წარწერიანი ქვა მაჭატიაში და ამავე სოფლის XIV საუკუნის ეკლესია

qaliSvili san-franciskodan

ცენტრალური ჯავახეთი

...მანქანაში ცხელი, მაგრამ ჯანსაღი ჰაერი შემოქრის. შორიდან სოფელ **არაგვას** ჩვეულებრივ, თუნუქიან და კრამიტიან სახურავთა შორის მაღალი გუმბათი და ამწეს ხორთუმი მოჩანს. აშკარაა, რომ სომხები სერიოზულ ეკლესიას აშენებენ. ამის შემდეგ, ახალქალაქის მიმართულებით, გზის ორივე მხარეს კიდევ ორ ახალ, მაგრამ შედარებით მცირე ეკლესიას ვამჩნევ.

— ნამდვილად კარგია, რომ ჩვენი ძმები თავიანთ ეკლესიებს აშენებენ, ისინი ამიერიდან ჩვენს ტაძრებს, ალბათ, აღარ მიეტანებიან, — ვეუბნები ჩემს ქალიშვილს, რომელიც კოთელიაში შემოგვიერთდა.

სოფელ **მაჭატიაში** შევდივართ. ეს არის ორი ერთმანეთზე გადაბმული ძველი და ახალი დასახლება. აქ სომხების საზოგადოება „ჯავახკის“ ლიდერები ცხოვრობენ. ეს სწორედ მათი ანტიქართული „მოღვაწეობის“ შედეგია, რომ ჯავახეთის სომხების ერთი ნაწილი ალმაცერად უყურებს ამ კუთხის ძირძველ ქართულ მოსახლეობას და ჯავახეთს სომხეთად მიიჩნევს. ეს ორგანიზაცია ნამდვილი რუპორია ისეთი „მეცნიერებისთვის“, როგორნიც იყვნენ და არიან ა. ერეციანი, პ.მურადიანი, ს.კარაპეტიანი და სხვანი, რომელნიც საქართველოში 650 ტაძარს გვედავებიან და მართლმადიდებლურ საყდრებს მონოფიზიტურად ასაღებენ. მათი უმთავრესი სამიზნე სწორედ ჯავახეთია. ამ აჩემებული სიცრუის რეალიზებაში მათ, ძირითადად, ხელს უშლის 3 ფაქტორი: საისტორიო წყაროები, ხელოვნებათმცოდნეობა და პალეოგრაფია. წინაუკუმო საუბრით პირველი ორის გაყალბება შესაძლებელია, მაგრამ მესამისა — არა. ასეთ შემთხვევაში მათ მხოლოდ შემონახული ლაპიდარული წარწერების განადგურება აძლევს ხელს და ბევრგან ასეც მოხდა. მაგრამ, საბედნიეროდ, **ჩვენი ძეგლები იმდენად მდიდარია ასეთი წარწერებით, რომ მათი უმეტესი ნაწილი შემორჩენილია. დღეიდან ასეთი ბარბაროსობა უაზრობაა, რადგან ქართველ მეცნიერთა ბოლო თაობებმა ყველა წარწერა დააფიქსირეს და წაიკითხეს. ის ფილმებიც, რომლებიც ჩემ კოლეგებთან ერთად მაქვს გადაღებული, ამ საბუთების გამყარებას ემსახურება.** მიუხედავად ამისა, „ჯავახკის“ მიერ წაქეზებული უბრალო სომხების ერთი ნაწილი ცდილობს, რომ საქმიანობაში ხელი შეგვიშალოს და გზა-კვალი აგვირიოს. ამიტომ ჩემი პროფესიის კაცმა, საწადელს რომ მიაღწიოს და გართულებას თავი აარიდოს, საკუთარ მამულში ჩასულმა უნდა იფრთხილოს და ჭკუა მოიხმაროს. რას იზამ, საქმე ასე მოითხოვს.

მაჭატიელთა დამოკიდებულება რომ ვიცი ქართული ძეგლებისადმი, ვცდილობ უკითხავად მივაკლიო იმ წარწერიან ქვას, რომელიც აქ ჩემამდე აქვთ ნანახი მეცნიერებს. ვხვდები, რომ ეს ქვა ძველ სასაფლაოზე უნდა იყოს, მაგრამ როგორ გინდა, რომ ოთხმა ადამიანმა, ვიდეოკამერით ხელში, შეუმჩნევლად იმოძრაოსოფელში?! გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ ჩემი ქალიშვილი ინგლისურად ავალაპარაკო და სან-ფრანცისკოდან ჩამოსული სომხური ფესვების მქონე სტუმრად გამოვაცხადო — ვითომ იგი პაპის პაპის საფლავს დაეძებს. ასე შევდივართ ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე და ვიწყებთ სასურველი ქვის ძებნას. 2003 წელია...

— აქეთ, აქეთ! ეს გადაიღეთ! — მეძახის მაჭატიელთა გარემოცვაში მყოფი ჩემი ქალიშვილი ინგლისურად. ბედიც ამას ჰქვია, საძიებელ ქვას სწორედ იგი აგნებს.

მე, ოპერატორი სოზარ გულბანი და მძღოლი მიხეილ გაბროშვილი ელვის სისწრაფით ვმოქმედებთ: მანქანასთან მისვლა, აპარატურის გადმოღება, შტატივის გაშლა და ვიდეოკამერის დამაგრება... თავი მძაფრსიუჟეტიან ფილმში მგონია. 5 წუთში საქმე მომთავრებული გვაქვს. XI საუკუნის გამქრალი ტაძრიდან შემორჩენილი არქიტრავი გადაღებულია. ცილინდრიან მაჭატიელს ვეუბნები, რომ ზედ ბერძნულ-სომხური წარწერაა და სან-ფრანცისკოელი სტუმრის პაპის პაპის თუ იმის პაპის ეპიტაფიას წარმოადგენს. არქიტრავზე ძნელად, მაგრამ მაინც იკითხება ქართული ასომთავრულით ამოკვეთილი რამდენიმე სიტყვა: **„ქრისტე ადიდე ბაგრატ კუროპალატი... აფხაზთა მეფე და ძე მისი... დაუტკბენ თუალნი მათი ბაგრატს“.** როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, ტერმინი „თვალნი დაუტკბენ“ მხოლოდ ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის შესახმაა. **მაჭატიის წარწერაში მოხსენიებული ბაგრატი მეფე ბაგრატ მესამეა, რომელიც გაერთიანებული საქართველოს ტახტზე ასვლამდე — 1001-1008 წლებში მხოლოდ აფხაზთა მეფის ტიტულს ატარებდა. მაშასადამე, ეკლესია, რომელიც ოდესღაც მდგარა აქ, ამ ხანებში აუგიათ.**

ხულგუმოს ეკლესია ფარავნისწყლის კანიონში

სოფელში ჩრდილოეთით დგას ძველია, ალბათ, XIV საუკუნის. **იგი აშენებულია სუფთად გათლილი ვეება კვადრებით და აქვს თანადროული მინაშენი. გვიან ხანებში ეკლესია საკმაოდ დაუგრძელებიათ, მაგრამ, ამჯერად, გაცილებით უარესად გათლილი ქვები გამოუყენებიათ. საყდარი დაბალი და გრძელია. იგი შემოფარგლულია ყორე-გალავნით. ადგილი და საყდრის სიდიდე თვალში მოსვლიათ ბოლშევიკებს, ერთიანად კირით შეუღებავთ და ბეღლად გამოუყენებიათ.**

მაჭატიიდან სამხრეთით ახალქალაქისკენ ვბრუნდებით და ახლა ჩრდილო-აღმოსავლეთის გზას ვადგებით, რომელზეც პირველად **ხულგუმო** გვხვდება. ხულგუმოში, სადაც გადაჯიშებული ქართველები ცხოვრობენ, ძველ სასაფლაოზე შემორჩენილი საფლავის ლოდებს — ცხენებისა და ყოჩების ქანდაკებებს ვიღებთ. ამის მერე კანიონში მდებარე, კლდესთან შერწყმულ იმ ეკლესიასთან ჩავდივართ, რომელიც მარტივად გათლილი დიდი ქვების ზუსტი თარაზული წყობითაა ნაშენი. მას სამხრეთიდან თანადროული მინაშენი აქვს, მაგრამ ძირითადი დარბაზისგან განსხვავებით უკამარო და კედელმორღვეულია. ტაძარი სიმაღლეზეა ორიენტირებული, მაგრამ შიდა სივრცე ხალვათობისკენ ისწრაფვის. **ხულგუმოს ეკლესია მდებარეობით** **და იერით X საუკუნის კარნეთის საყდარს მოგვაგონებს.**

ხულგუმოდან გზას მაღლა მივყვებით, რომელიც ფარავნისწყლის (იგივე ჯავახეთის მტკვარი) მცირე შენაკადის სანახებში გადის.

— მარცხნივ კოშკი ჩანს, — მიმანიშნებს ვიდეოოპერატორი სოზარ გულბანი.

— ეკლესია უნდა იყოს, — ვასკვნი. — ეს **აბლარის** ნაეკლესიარი იქნება.

ძეგლი მაღლა, სათიბებში დგას. მანქანა გაჭირვებით ადის იქამდე. აქეთ-იქით ნასოფლარის კვალია. ეკლესიასთან ახლოს, ბალახებში, ქვასვეტის ორი პოსტამენტია განაბული. ორთავეზე ბოლნური ჯვარია ამოკვეთილი. **თავად ტაძარს კამარა აღარ აქვს და კედლების ნაწილიც მორღვევია. პირველი, რაც თვალში გეცემა, ტრაპეზის ქვის ნაცვლად დადებული კიდევ ერთი ქვასვეტის პოსტამენტია. მასზეც ბოლნური ჯვარია ამოკვეთილი. მის ზევით, კონქის ჩრდილოეთ მონკვეთში ვერძის თავის სტილიზებული რელიეფია. აქცენტი გამახვილებულია წრიულად ჩახვეულ რქებზე. ამიტომ ის ერთმანეთზე გადაბრმული ორი სპირალის მინიშნებაცაა.** ეს ის ორნამენტია, რომელსაც დღემდე აქტიური გამოყენება აქვს დიზაინში, მაგრამ მრავალი ათასი წლის წინათ არის შექმნილი წინააზიაში და მაგიური სიმბოლოა — ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მბრუნავი სპირალი სამყაროს მამრი და მდედრი ძალების სისტემური გამოსახულებაა. ჩვენში მისი უძველესი ნიმუში აღმოჩენილია წალკის კერამიკაზე და თარიღდება ძვ.წ.ის 3300 წლით. მაქსიმუმ 500 წლით გვიანდელია შულავერის „დანგრეულ გორაზე“ აღმოჩენილი ასეთივე სიმბოლიკიანი თიხის ქოთანი. ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნე ნანა ურუშაძე წერდა, რომ ერთმანეთზე გადაბმული ხვია მზის ამოსვლისა და ჩასვლის 24-საათიან ციკლს გამოხატავს. წარმართობის დროინდელი სიმბოლოების ქრისტიანული გააზრება არახალია და ამდენად აბლარის კონქის რელიეფის ორგვარი აღქმაც ბუნებრივია, მაგრამ, ამჯერად, სხვა რამ უფრო გვაინტერესებს: იგი აქვე მდებარე, გაცილებით ძველი ტაძრის კუთვნილება ხომ არაა? სხვათა შორის, ამ ეჭვს ის ამძაფრებს, რომ კონქში ჩასმული ეს რელიეფიანი ქვა ყუაჩამოტეხილია (პირჩამომტვრეულ ქვაზე რელიეფებს არავინ აქანდაკებდა) და ახალგათლილი მეზობელი ქვები სწორედ მასზე მოურგიათ.

სამწუხაროდ, მე-13-ე საუკუნეში ნაგებ ტაძარს წარწერა არსად არ უჩანს და ეს გასაკვირიც არაა — ტაძარს პერანგი სანახევროდ შემოძარცვული აქვს როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ყოველი ასეთი ძეგლი, რომელშიც ორი ან მეტი ეპოქის სუნთქვა იგრძნობა, ჩვენი წინაპრების ერთ დიდებულ თვისებაზე მიგვანიშნებს — ისინი ტრადიციებს არ კარგავდნენ და ერთი თაობა მეორე თაობის სულიერი მემკვიდრეობის დამცველი იყო.

გელა ქოქიაშვილი

აბლარის ეკლესია და მისი კონქის რელიეფი

mware gakveTilebi

evroamerika, ruseTi da saqarTvelo

ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

„უკედლებო და უსაზღვრებო კონტინენტის შექმნა“

რაღა თქმა უნდა, შევარდნაძემაც საპასუხო სიტყვაში თავის მეგობარ (და არა საქართველოს მეგობარს) ჰანს-დიტრიხ გენშერს აღუთქვა, რომ იმ იდეალების ერთგულს გახდიდა საქართველოს, რომელიც უკვე კარგა ხნის წინათ არის დაგეგმილი მსოფლიოს ნამდვილ მმართველთა საიდუმლო სერობებზე.

აბა, მოვუსმინოთ შევარდნაძეს:

„ძვირფასო ჰანს დიტრიხ, ბატონო მინისტრო!

... ჩვენში, საქართველოში, შევძელით შეგვექმნა ეს ფაქტორები, როცა ხალხს გავაცანით ჩვენი მიზნები, როცა დავადასტურეთ, რომ დემოკრატიის იდეალების, ევროპასა და მთელ ცივილიზებულ სამყაროში საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების, პასუხსაგები სახელმწიფო-პოლიტიკური ქცევის ნორმებისა და სტანდარტების ერთგული ვართ (რა ქარაგმებია და აზროვნებაა? რა „მიზნებია“, რა „საყოველთაოდ მიღებული ღონისძიებებია“, რა „ქცევის ნორმებია“ და რა „სტანდარტებია“? ეს ხომ რაღაც გარკვეული შიფროგრამაა, რომლის გაგება ყველას არ შეუძლია? სად არის ეს მიზნები, ღირებულებები და სტანდარტები მიღებული და დამტკიცებული? რა დაწესებულებაა, სადაც ამგვარი ბნელი გეგმებია და ვინ არიან ისინი, ამას რომ აკანონებენ და მთელ მსოფლიოში ნერგავენ? — ჯ.დ.). ამის შემდეგ საქართველო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი გახდა, იგი ცნეს ევროპის გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა და სხვა ქვეყნებმა და გამოაცხადეს, რომ მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებენ.

დიდ საიდუმლოებას არ გავამჟღავნებ, თუ გეტყვით, რომ თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობარო, ამაში ხელი შეგვიწყვეს ჩვენმა სხვა კოლეგებმაც, - ინგლისელმა, ფრანგმა, ამერიკელმა, პორტუგალიელმა, იტალიელმა, ესპანელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა (შევარდნაძე ევროამერიკაზე საუბრობს, რომლებმაც ერთხმად უარჰყვეს მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული, კანონიერი ხელისუფლება და ამ უარყოფით პირდაპირ შეუწყვეს ხელი კრიმინალებს მის დამხობაში, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის განდევნაში, საქართველოს აწიოკებაში, ჩაბნელებაში, დამშევაში და ა.შ. — ჯ.დ.).

...გენშერი აღარ იქნებოდა გენშერი, ანუ თანამედროვეობის გამოჩენილი დიპლომატი და პოლიტიკოსი, გერმანიის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ავტორი და ერთიანი ევროპის არქიტექტორი, თავის ამ ნაბიჯს — საქართველოში ჩამოსვლას — დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას რომ არ ანიჭებდეს.

ვენაში, იმავე თებერვლის საუბრისას, თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპისა და მსოფლიოს საერთო მოზაიკაში (უფრო სწორად, სხვადასხვა ეროვნებათა ერთად მოსახარშ ვეებერთელა ქვაბში! — ჯ.დ.), რომ აქედან პატარა, მაგრამ ბრწყინვალე და მკვიდრი ქართული ფრაგმენტის ამოვარდნას (საქართველო უკვე „ბრწყინვალე ფრაგმენტულობას“ უნდა ელოდოს, იგი ნივთად, სამკაულად უნდა იქცეს ევროპის სხეულზე და მეტი არაფერი! — ჯ.დ.) შეიძლება დიდი უსიამოვნებანი მოჰყვეს რეგიონში და ევროპაშიც. ამით თქვენ საქართველო მსოფლიო და საერთო-ევროპულ კონტექსტში მოაქციეთ და ეს შეესაბამებოდა ჩვენს საერთო კრედოს, რომელიც ჩვენი თანამშრომლობის წლების მანძილზე შევიმუშავეთ (ხომ გითხარით, რომ სადღაც ბნელეთში „შეიმუშავეს“ ყოველივე, რაც საქართველოს დაატეხეს თავს. ბოლომდე, სამწუხაროდ, ჯერ დღესაც არ ვიცით იმ „საერთო კრედოში“, რომელიც შევარდნაძემ, გენშერმა, ამერიკელებმა, ინგლისელებმა, ფრანგებმა, ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, იტალიელებმა და სხვებმა „შეიმუშავეს“, კიდევ რა უბედურებაა ჩადებული. თუმცა, ბოლო ჩვენი მდგომარეობა — დაკარგული მიწა-წყალი, როგორც ჩანს, მაშინვე იყო განზრახული! — ჯ.დ.).

კარგად მახსოვს თქვენი სიტყვები: „... არ არსებობს საზღვრები, რომელთა გულისთვის ღირდეს საფრთხე შევუქმნათ ხალხების არსებობას“ (ამ უცნაური გამონათქვამის კომენტარი თქვენთვის მომინდვია მკითხველო! — ჯ.დ.).

... ზოგი ჩემი თანამემამულე ხშირად კითხულობდა: „რა გააკეთა საქართველოსთვის შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროსო“. მე პასუხი არ გამიცია, მაგრამ ახლა, ვსარგებლობ თქვენი აქ ყოფნით და შემიძლია ვთქვა: „როცა ხელს ვუწყობდი გათიშული დიდი ერის გაერთიანებას, ბერლინის კედლის ნგრევას (რომელიც სულ ახლახანს მოსულმა სააკაშვილმა უკვე ცხინვალში გადმოიტანა საჭიროებისამებრ, რომ მანაც ხვალ-ზეგ იქნებ როგორმე დაანგრიოს! — ჯ.დ.), აღმოსავლეთ ევროპის თვითგამორკვევას და უკედლებო და უსაზღვრებო კონტინენტის შექმნას, მე ჩემს ხალხს ვემსახურებოდი (ისევ „უსაზღვრებო კონტინენტზე“ და ქვეყანათა დიდ გაერთიანებაზეა საუბარი. მართლაც, ამ მსოფლიო ახალ არქიტექტორებს, რაში სჭირდებათ საზღვრები? კი, მაგრამ, საბჭოთა კავშირშიაც არ გვქონდა თავის დროზე საზღვრები, ყოფილიყო, რას ერჩოდნენ, რატომ დაშალეს და გაიხარეს? თუ უსაზღვრებო მსოფლიო სურთ, თუ ხალხთა ერთმანეთში ათქვეფა, არევ-დარევა, გოგლი-მოგლი სურთ, ერთს რაღას ანგრევენ და მეორეს რაღას აშენებენ? თვითონ ამერიკაც ამის მაგალითს არ წარმოადგენს? — ჯ.დ.).

ევროპამ ორჯერ შეაქცია ზურგი საქართველოს და ეს ჩემს ერს სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდა (განა მესამედაც არ შეგვაქციეს ზურგი? განა 1990 წლის 28 ოქტომბერს, ჭეშმარიტი არჩევნები არ ჩატარდა საქართველოში? განა ეროვნულმა ძალებმა არ გაიმარჯვეს? განა საქართველო ვინმეს დაემუქრა? აღშენებლობა არ დაიწყო? ეს შევარდნაძეს არ შეაქცია ეს ზურგი, თორემ, 1991-1992 წლებში თვით საქართველოს, ისე შეაქცია ზურგი მთელმა მსოფლიომ, დღესაც გონებაზე ველარ მოვსულვართ. თავს დამტყდარი უზარმაზარი უბედურებაც ველარ დაგვინახავს თავისი სიდიდის გამო და ეს ყოველივე — თვით ევროამერიკის მმართველობის და პირადად შევარდნაძის დამსახურებაა! — ჯ.დ.).

... იმ მისიის შესასრულებლად, რომელიც საქართველომ (უფრო მართალი იქნება ვთქვათ — შევარდნაძემ! — ჯ.დ.) სურს იკისროს რეგიონში — იყოს მისი არქიტექტონიკა მასტაბილიზებელი კომპონენტი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ევროპისა და აზიის ხალხების, კულტურებისა და რელიგიების ერთ-ერთი შემაკავშირებელი რგოლი“ (სწორედ ამ „კომპონენტობამ“ და „რგოლმა“ დაგვაკარგვინა თითქმის მესამედი საქართველო! — ჯ.დ.).

ბუშის დიდი სიყვარული

როგორც ხედავთ, არც შევარდნაძე და არც გენშერი, არ მალავენ და ხმამაღლა გაიძახიან: ჩვენ ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები ვართ, ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, ესპანელ, იტალიელ, პორტუგალიელ (და ა.შ.) მმართველებთან ერთად, „მაასტრიხტში“ შევიმუშავეთ სათანადო გეგმა, რის მიხედვითაც შევქმნით ერთიან, უსაზღვრებო მსოფლიო სახელმწიფოსო.

1992 წლის 9 ივლისს, ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ადრე დილით, შევარდნაძე შეხვდა აშშის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს.

საუბრისას ბუშმა დიდი სიყვარულით მიმართა შევარდნაძეს:

„ — ძალიან მიხარია, რომ საშუალება მეძლევა, მოგესალმოთ ჩვენს წრეში. თქვენს თანამემამულეებს, ალბათ ვერც წარმოუდგენიათ თუ როგორი მღელვარებით ვადევნებთ თვალყურს თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და რა გულწრფელად გვსურს თქვენი მისიის წარმატება (აგერ ბატონო, ფაქტი, რომ შევარდნაძე სპეციალური „მისიით“ ყოფილა მოვლენილი არა მხოლოდ ევროპიდან, არამედ ამერიკიდანაც! — ჯ.დ.). თქვენ დიდი ტვირთი იკისრეთ (მართლაც, დიდი ტვირთი იკისრა — საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ქართველთა გენოციდი, კავკასიელი ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება, რომელიც უთუოდ ჯორჯ ბუშის მიერ ნათქვამ სიტყვა „მისიაში“ იგულისხმება! — ჯ.დ.), ძალიან გვინდა, რომ როგორმე შეგიმსუბუქოთ ეს ტვირთი, გვიამბეთ თუ შეიძლება, როგორი სიტუაციაა ამჟამად საქართველოში?

შეასრულა რა, აშშ-ის პრეზიდენტის თხოვნა, შევარდნაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აშშ-ის და სხვა ქვეყნების დაუხმარებლად ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაციაზე და გარდაქმნებზე ლაპარაკიც კი ძნელი იქნებოდა... რა თქმა უნდა, სტაბილიზაციას ხელს უშლის დესტრუქციული ძალების სერიოზული წინააღმდეგობა (როგორ გგონიათ, ვინ არის შევარდნაძისთვის „დესტრუქციული ძალები“? რა თქმა უნდა, კანონიერი ხელისუფლების მომხრენი და თვითონ კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია! შევარდნაძე პირდაპირ სთხოვს ჯორჯ ბუშს — მისიას რომ ვასრულებ პირნათლად, კეთილი ინებეთ და ბოლომდე დამეხმარეთო! — ჯ.დ.).

უდავოა, რომ გულგრილი ვერ დავრჩებით იმისადმი, თუ როგორი იქნება საქართველოს ურთიერთობა რეგიონის მთავარ ქვეყნებთან, კერძოდ, თურქეთთან და რუსეთთან, - თქვა ჯორჯ ბუშმა, - ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ისინი გაგებით მოეკიდონ თქვენს პრობლემებს. ამ პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად, ძალიან გვსურს დაგეხმაროთ ეკონომიკურ სიძნელეთა გადალახვაში... მე თქვენთან თავს დავალებულად ვგრძნობ და მინდა საქმით დაგიმტკიცოთ ჩვენი მხარდაჭერა (შევარდნაძემ დიპლომატიურად უსაყვედურა ჯორჯ ბუშს, რომ თქვენი და სხვა ქვეყნების დახმარების გარეშე საქართველოში სტაბილიზაციას ვერ ვახერხებ, დესტრუქციული ძალები ხელს მიშლიანო და ჯორჯ ბუშმაც ასევე დიპლომატიურად მოუბოდიშა, უმოკლეს დროში დიდ დახმარებას გაგიწევ, რადგან დიდ ვალში ვარ შენს წინაშეო! წარმოიდგინეთ, აშშ-ს, ამხელა სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტი, ამერიკის პრეზიდენტი, შევარდნაძის წინაშე დამნაშავე ყმაწვილივით იქცევა და უბოდიშებს! ღმერთო, არ გაინტერესებთ, საიდუმლო ძმობაში, საიდუმლო ორდენში, საიდუმლო მმართველობაში, რა თანამდებობა უკავია შევარდნაძეს? მართლაც, მან ამდენი „იღვაწა“, „იწვალა“, კავკასიაში ეროვნულ-ქრისტიანულ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა გაბედა, ახლა უჭირს და დახმარებაც აღარ უნდათ? — ჯ.დ.).

საუბრის მონაწილემ, ჯეიმს ბეიკერმა, გაიხსენა თავისი ვიზიტი საქართველოში და არაჩვეულებრივი უწოდა მას. განსაკუთრებით გულთბილად გაიხსენა თავისი ურთიერთობა თბილისელებთან (და არა საქართველოს მოსახლეობასთან! — ჯ.დ.) რესპუბლიკის მოედანზე 26 მაისს“ (როცა შევარდნაძემ სასტიკად დაარბია მანიფესტანტები, რომლებმაც ასფალტზეც კი წააწერეს ბეიკერის გვარი და სახელი! — ჯ.დ.).

ეს ოფიციალური ცნობა ჰელსინკის შეხვედრის შესახებ დაბეჭდილია, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, №127, 1992 წლის 11 ივლისს!

ამავე გაზეთში ერთი საინტერესო ინფორმაციაცაა, რომელიც ეხება ე.წ. შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოში ჩატარებულ თათბირს. აი, ისიც:

„...სახელმწიფო საბჭოს წევრებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო პროცესებში საქართველოს შთამბეჭდავი ჩაბმის შემდეგ, კიდევ უფრო გააააქტიურეს დესტრუქციული საქმიანობა (ეს ის დესტრუქციული საქმიანობაა, რომლის შესახებაც შევარდნაძემ შეს-ჩივლა ჯორჯ ბუშს, ხოლო „საერთაშორისო პროცესებში შთამბეჭდავი ჩაბმა“ შევარდნაძე-ბუშის დიალოგია! ჰელსინკში რომ შედგა! — ჯ.დ.) დამხობილი რეჟიმის მომხრეთა შეიარაღებულმა ბანდებმა (კაცი შეიძლება ჭკუაზე შეიშალო! თვითონვე აღიარებს სახელმწიფო საბჭო, ოფიციალურად აცხადებს, რომ რეჟიმი, ანუ კანონიერი ხელისუფლება თვითონვე დაამხეს და ამ კანონიერი ხელისუფლების მომხრე, შეიარაღებული გვარდია, არმია, ბანდა ყოფილა! თვითონ დამამხობლები კანონიერები არიან, ხოლო დამხობილი ხელისუფლების მომხრენი ბანდიტები! — ჯ.დ.) დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ისინი ახორციელებენ დივერსიებსა და ტერორისტულ აქტებს, თავს ესხმიან ტრანსპორტს, აფეთქებენ რკინიგზებსა და ხიდებს, იტაცებენ და ხოცავენ ადამიანებს“.

ყოველივე სიცრუეა და მონაჩმახი. თუ რაიმე ინციდენტები ხდებოდა, შევარდნაძის აგენტურა თვითონ აწყობდა ავანტიურებს, პროვოკაციებს და შემდეგ „დამხობილი რეჟიმის შეიარაღებულ ბანდებს“ აბრალებდა. მოვა დრო და სულ მცირე ხანში, როცა მივალ შევარდნაძის მიერ დასავლეთ საქართველოში განხორციელებულ სისხლიან ლაშქრობებამდე, მოგითხრობთ მართლაც იმ საშინელებებზე, რასაც მისი კრიმინალური ბანდები სჩადიოდნენ!

მანამდე კი, ბარემ ბოლომდე მივყვეთ შევარდნაძის მიერ შესრულებულ დიდი დავალებების განხორციელებას, რის გამოც აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში „დიდად დავალებული“ ბრძანდებოდა. მსურს, საბოლოოდ დავარწმუნო მკითხველი — შევარდნაძე რომ ევროამერიკის სპეციალური აგენტურის უფროსს, კონსტრუქტორს წარმოადგენდა და ვინ იცის, დღესაც, ამ ასაკში, რა შავბნელ საქმიანობას ეწევა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



თავსატეხი



ᲐᲜᲐᲠᲘᲗᲘᲡᲐᲓ: აკუნა, ალამი, ბერწი, დიდიკა, ვისლა, თხილი, იმიცა, იულონ, მაცნე, ნიტრო, ოჯახი, რურკა, ქულთო, შასლა, ძუკნა, წალდი, ხატია.

ᲛᲘᲠᲐᲜᲨᲘᲚᲘᲡᲐᲓ: ანთია, ანტონ, ვაწეე, ენერო, ზებრა, ისანი, იულონ, კოიტო, ლუიკი, მარგო, ნალია, პეშვი, ფარმა, ქეიფი, ღითი, ყურმა, შანთა, ცედრა, ქვალა, ზეელა.

სპეციალი ჯრეული



ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲓ: 1 ვრენტი, ძეწკვა, ყნოსვა. 2. კანაპე, ბოკონი, ცერო�o. 3. ზეადამ, კოზირი, ბაკირი. 4. ბელტა, კუნაუე, კოლტა. 5. სალტო, ზენკი, ლიერი. 6. ტენტი, ქუსლი, ხარკი. 11. ვრენაკა, ტროპარი, ნაბუერი. 12. შტუკერი, ტყვმალი, ტრაპეზი. 13. კატარი, ზუსაკა, ფეთილი. 14. ლუნეტი, საფურე, შიაკერი. 15. ლაღოვი, ჯეპარი, ლელონი. 16. ცოცელი, ჯიკანი, ბატარა.

ᲗᲐᲠᲐᲨᲘᲚᲘᲡᲐᲓ: 3. ტელეფონი, ჭიბულეთი, ბაკლიტი. 7. ლეკეა, მაზეთი, ბაკეა. 8. პარასოლი, მონაგარი, ეკლეკანი. 9. შ,ეკლი, სტარტი, სტეკერი. 10. ,რამერი, რიოსიმა, ,რეტანი. 13. სამეკი, ქუკანა, მალეკი. 17. ბრიგადა, ,ლარეკა, ,ეპარი. 18. ტარიეკი, სუნელი, ბაკეა. 19. ბრიეკა, ბლაკტი, ლრეტელი. 20. ,ზოჭანა, ბეკეტი, ,ოტონი. 21. ,რონისა, ტაამარი, ბრიტანი.

ᲗᲝᲯᲘᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ



ა–2 ს–
ბ– ტ–
გ– უ–1
დ– ფ–
ე–29 ქ–
ვ– ღ–
ზ– ყ–
თ– შ–
ი–7 ჩ–
კ– ც–
ლ–8 ძ–
მ– წ–17
ნ– ჭ–
ო–18 ხ–
პ 20 ჯ 21
რ– ჰ–
ო–6

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— მამაჩემი პატიმარია. ვარ 15 წლის. მსურს დავესწრო სასამართლო პროცესებს, მაქვს თუ არა ამის უფლება?

— გაქვთ.

სასამართლო სხდომაზე არ დაიშვება 14 წლამდე პირები. თქვენ უკვე 15 წლის ხართ და შეგიძლიათ დაესწროთ მამათქვენის სასამართლო პროცესებს.

* * *

— შემიძლია თუ სარჩელის შეტანამდე მოვითხოვო მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება?

— შეგიძლიათ.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნას სასამართლოში სარჩელის შეტანამდე.

სასამართლოს მიერ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნას განჩინების მიღების 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ.

* * *

— 1979 წელს მამაჩვენმა სახლი აჩუქა ერთ-ერთ შვილს. გვეკუთვნის თუ არა დანარჩენ შვილებს წილი ამ სახლიდან? აქვს თუ არა აზრი სასამართლოში სარჩელის შეტანას?

— 1979 წლიდან გასულია 30 წელზე მეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი ხანდაზმულობის ვადა გასულია და სასამართლო წესით დავას აზრი არა აქვს. დანარჩენი შვილები 1979 წელს გაჩუქებული სახლიდან წილს ვერ მიიღებენ.

* * *

— ჩემს ბინას ანდერძით ვუტოვებ უახლოეს მეგობარს, რაზეც პრეტენზიას აცხადებს ჩემი ძმისშვილი. შეუძლია თუ არა მას, ჩემი გარდაცვალების ჩემდეგ შეედავოს ჩემს მეგობარს?

— შედავების უფლებას თქვენს ძმისშვილს კანონი არ ართმევს, მაგრამ ის, მოცემულ შემთხვევაში, თქვენი დატოვებული სამკვიდროდან ვერაფერს მიიღებს, რადგან ძმისშვილი არ არის პირველი რიგის მემკვიდრე, რომელსაც ექნებოდა სავალდებულო წილის მიღების უფლება.

* * *

— ორი თვის წინ გარდაიცვალა მამაჩემი, რომელმაც თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ჩემს შვილს. მყავს და და ძმა. და ქონებაზე პრეტენზიას არ აცხადებს. ძმისშვილები კი წილს ითხოვენ. ეკუთვნით თუ არა მათ წილი?

— მოცემულ შემთხვევაში, თქვენს ძმისშვილებს წილი არ ეკუთვნის, მაგრამ სამკვიდრო წილის მიღების უფლება აქვს მათ მამას, ანუ თქვენს ძმას, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირველი რიგის მემკვიდრეს და კანონი მას ანიჭებს სავალდებულო წილის მიღების უფლებას.

აქვე დაგიკონკრეტებთ შემდეგს: ანდერძის არსებობის შემთხვევაში, ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომლებიც მოხსენიებულნი არიან ანდერძში და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგითობა მხედველობაში აღარ მიიღება, თუმცა, აქ არის ერთი გამონაკლისი. სწორედ ეს გამონაკლისი არის თქვენთვის საინტერესო. თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მის თანახმად მამკვიდრებლის ქონება მთლიანად გარეშე პირზე ან პირებზე იყოს განაწილებული, პირველი რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის მეუღლე, შვილი და მშობლები, სურვილის შემთხვევაში, მაინც მიიღებენ

გარკვეულ წილს დატოვებული ქონებიდან, რასაც სავალდებულო წილი ეწოდება. სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც მემკვიდრე მიიღებდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

* * *

— ვცხოვრობ დასავლეთ საქართველოში. მაქვს ჩემი ბიზნესი. საგადასახადო სამსახური მედავებოდა თანხებს და ამასთან დაკავშირებით შეიტანა სარჩელი რაიონულ სასამართლოში. დამიყადაღეს ქონება. სასამართლომ გამოიტანა ჩემთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, რომელიც საგადასახადო სამსახურმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, ანუ პროცესი მოვიგე. გასულია გასაჩივრების ვადები. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. უნდა მოიხსნას თუ არა ყადაღა?

— სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას აქვს კანონის ძალა და ყველა შემთხვევაში ყადაღა უნდა მოიხსნას.

* * *

— რა მიეკუთვნება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას?

— სამოქალაქო კანონმდებლობა განასხვავებს მეუღლეთა ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებას. ინდივიდუალურია თითოეული მეუღლის ის საკუთრება, რომელიც მას დაქორწინებამდე ეკუთვნოდა. ასევე, ის, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. ინდივიდუალური საკუთრებაა, ასევე, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, პირადი მოხმარების საგნები, გარდა ძვირფასეულობისა, თუნდაც ასეთი საგნები მეუღლეთა საერთო თანხით იყოს შეძენილი. ინდივიდუალური საკუთრება მხოლოდ ერთ მეუღლეს ეკუთვნის და მთლიანად ამ უკანასკნელის უფლებამოსილებაა მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. არცერთი მეუღლე არ არის ვალდებული, მეორე მეუღლეს შეუთანხოს, თუ როგორ განკარგავს თავის ინდივიდუალურ საკუთრებას.

* * *

— რა არის საქორწინო ხელშეკრულება და რა ფორმით ხდება მისი დადება?

— სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ. თუმცა მეუღლეებს უფლება აქვთ, როგორც დაქორწინებამდე, ისე ნებისმიერ დროს, ქორწინების განმავლობაში, დადონ საქორწინო ხელშეკრულება და მათი ქონებრივი უფლებები, კანონისაგან განსხვავებულად დაარეგულირონ.

დაგიკონკრეტებთ შემდეგს: საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განაზღვრა შეიძლება!

საქორწინო ხელშეკრულება, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს. თუ ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე დაიდო, იგი ძალაში შევა მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან.

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.

საქორწინო ხელშეკრულება წყდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ან განქორწინებით.

* * *

— სამოქალაქო კანონმდებლობა განქორწინებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს თუ არა რაიმე შეზღუდვებს?

— საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არც იძულებით დაქორწინებას იცნობს და არც იძულებით ოჯახის შენარჩუნებას. მართალია, ოჯახის დანგრევა ძალიან რთული და მძიმე გადაწყვეტილებაა, მაგრამ თუკი მეუღლეები ან ერთ-ერთი მეუღლე გადაწყვეტს, რომ აღარ სურს ქორწინებაში ყოფნა, კანონი განქორწინების სრულ უფლებას იძლევა.

მეუღლეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, განქორწინდნენ. კანონი, ამ კუთხით, მხოლოდ ერთადერთ შეზღუდვას ითვალისწინებს: ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს, ცოლის თანხმობის გარეშე შეიტანოს სარჩელი განქორწინებაზე.

სხვა ნებისმიერ დროს როგორც ცოლს, ისე ქმარს სრული უფლება აქვთ, მოითხოვონ განქორწინება.

xalxis azriT

ეს ქაჯი ისეთივე ლეიბორისტია როგორც პეკინი საფრანგეთის დედაქალაქი. ნათელაშვილს ისე აღარდებს მშრომელები, როგორც ლენინს ბავშვები! ისე ლენინივით ფლიდი და გამყიდველია, ფულის გულისთვის თავის ნარნარა ცოლს ბელასაც გაყიდის. ერთი მაინტერესებს, ამ გოიმს საიდან აქვს სასახლეები ბაზალეთზე და თბილისში ორი ჯიპი, ასიათასამდე ევრო ევროპის ბანკში და ათეულ ათასობით დოლარი ამერიკაში და საქართველოში ? საიდან და ყიდის ადგილებს არჩევნების დროს, შანტაჟს უწყობს ადამიანებს, ფირმებს და პირდაპირ მიშა აფინანსებს. დღესაც ვაშინგტონში მიშიკომ გაუშვა ქართული ოცნების ჩასაძირად, ეს ახვარი პირწავარდნილი მექრთამეა, პინგვინის სურათი რო დაგაქვს შე ვირიშვილო შალვა, ჟირაფი რო ხარ ვერ ხვდები! ახლა ეს კაცია, მითხარით???

არჩევნებამდე ბოლო კვირა იქნება ყველაფრის გადამწყვეტი. მაგ დროში მომხდარი მოვლენები გადაწყვეტს არჩევნების ბედის 80%-ს!

ის, რაც ხდება ისლამურ ქვეყნებში, თავდასხმები დასავლეთის საელჩოებზე, კერძოდ, ლიბიაში აშშ–ს ელჩის და 3 თანამშრომლის მკვლელობა, რაც გამოიწვია ამერიკაში ისლამის შეურაცხმყოფელი ფილმის ჩვენებამ, უეჭველად აისახება აშშ–ს საგარეო პოლიტიკაზე.. კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში, ამერიკელებს "არ სჭირდებათ" ზედმეტი ნერვიულობა და კითხვის ნიშნების გაჩენა, ამიტომ, მათი პოზიცია ჩვენს არჩევნებთან დაკავშირებით, რომ ის სამართლიანად ჩატარდეს, უფრო პრინციპული გახდება, უწინარესად, ხელისუფლების მიმართ!!! ..და ეს დაეტყო საკაშვილის ლექსიკასაც!!!:)

ნაციონალების მხარდამჭერებს ერთი რამ ვერ გაუთვლიათ: დავუშვათ, როგორც ეგენი ფიქრობენ და ქართულმა ოცნებამ ვერ მოახერხა უმრავლესობით გასვლა პარლამენტში, ბიძინა ივანიშვილის არც ერთი კოალიციის წევრი დღეს არც აღმასრულებელ ორგანოშია და არც საკანონმდებლოში. როგორ ჰგონია ვინმეს, ივანიშვილმა ხელისუფლების გარეშე თუ მოახერხა მიშას უძლეველობის დანგრევა, რას იზამს, როდესაც, თუნდაც უმცირესობით შევიდეს საკანონმდებლო ორგანოში?

ისეთი განწყობა, როგორიც ქართული ოცნების მხარდამჭერებს აქვთ საარჩევნო ხმის დასაცავად, უმცირესობაშიც რომ იყვნენ, მაინც ახლოს იქნებოდნენ მიზანთან და როდესაც რეალური სურათი გვანახებს კოალიციის მხარდამჭერთა რიცხობრივ უპირატესობას, ერთდაერთი რაც უნდა ვივარაუდოთ, გამარჯვებაა!!!

ვისაც არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ ხალხი ვერ შეძლებს ხმების დაცვას, ნამდვილად ვერ ათვითცნობიერებენ იმას, რომ კოალიციის მხარდამჭერები უმრავლესობას წარმოადგენენ და დასაკარგი, უბრალოდ, აღარაფერი აქვთ. ნაციონალების მხარდამჭერები კი გარდა ჩინოვნიკებისა და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანებისა, გარეთ გამომსვლელები არ არიან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვალნათლივ დაინახავენ მილიონობით ქართული ოცნების მხარდამჭერთა პროტესტს.

საქართველოს მასშტაბით ორ მილიონამდე ადამიანი გააპროტესტებს არჩევნებს გაყალბების შემთხვევაში. ემიგრანტების მასშტაბით კი მილიონი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მთელი მსოფლიო ჩვენ ვიქნებით და მერე ნაბიჯვარმა ნავარომ უნდა პროცენტებით დაგვითვალოს და უნდა კალკულატორით....

საერთოდ, რა არჩევნებზეა, ხალხო, საუბარი!? ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ეს ე.წ. არჩევნები უკვე დიდი ხანია გაყალბებული და თითქმის "გაპრავებულიცაა". ასე რომ, ძალიან გთხოვთ, მიამიტურად ნუღარ მოიტყუებთ თავს და ნუღარ დაელოდებით 1 ოქტომბერს. იფიქრეთ 2 ოქტომბრის დილიდან რა უნდა გააკეთოთ.



როგორ შეიცვლება ქალი მომავალ 400 წელიწადში?

ეს, ალბათ, მამაკაცის მუდმივი ოცნებაა – შეიცვალოს ქალი არა ფიზიკურად, არამედ ფიზიოლოგიურად, მაგალითად, მათთვის სასურველია ქალს ჰქონდეს ენა, მაგრამ არ ლაპარაკეობდეს, თუნდაც მუნჯი იყოს, ჰქონდეს ყური, მაგრამ ესმოდეს მხოლოდ ის, რაც მათ სურთ. ამიტომ ცნობა იმის შესახებ, რომ ქალი ნამდვილად შეიცვლება, მამაკაცებისთვის საინტერესო უნდა იყოს. თუმცა მეცნიერები ვერც ამჯერად გაახარებენ მათ, მოკლედ, საშველი არა.

ისინი ამტკიცებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები 2409 წელს სიმაღლეს და წონას დაკარგავენ.

დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ ევოლუციის პროცესი დამთავრდა და ადამიანის გარეგნობაში უკვე აღარაფერი იცვლება. – ასე არ არის, - ეკამათება კოლეგებს სტეფან სტერნსი, რომელიც ევოლუციური ბიოლოგიის სპეციალისტია იელის უნივერსიტეტში. ადამიანის გარეგნობა რეპროდუქციის პროცესებთან არის დაკავშირებული და ქალის სხეულს იმ მოდელს უქმნის, რაც მას რეპროდუქციისთვის სჭირდება.

სტეფან სტერნსმა კოლეგებთან ერთად ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა მასაჩუსეტში. კვლევა დაიწყეს 1984 წლიდან და მასში სამი თაობის რამდენიმე ათეული ათასი სუსტი სქესის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეკრებილი ინფორმაციებით, რომლებიც შეეხებოდა რეპროდუქციული პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს, სიმაღლეს, წონას, სისხლის წნევას, სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, გულის მდგომარეობას და რაც ყველაზე მთავარია, შობადობის მაჩვენებელს.

გაირკვა: ტანდაბალი ქალები, როგორც წესი, უფრო მეტ ბავშვებს ბადებდნენ, ვიდრე გამხდარი და მაღალი კონკურენტები, ანალოგიური ტენდენცია შეინიშნებოდა ქალებში, რომლებსაც დაბალი წნევა და ქოლესტერინის დაბალი შემცველობა ჰქონდათ სისხლში.

სტერნსმა ასევე განსაზღვრა, რომ წონა, სიმაღლე და გენეტიკური თავისებურებები გადაეცემოდა თაობებს და ქვეყანას ევლინებოდა ერთმანეთის მსგავსი გოგონები, რომლებიც ბევრ ბავშვებს აჩენდნენ.

დააკვირდნენ 10 თაობას და გამოთვალეს, 2409 წელს სუსტი სქესის წარმომადგენელთა საშუალო სიმაღლე 2 სანტიმეტრით დაიკლებს. ქალები გახდებიან უფრო დაბლები და პუტკუნები, მაგრამ ძალიან ჯანმრთელი გულით.

ეზოთერიკული წინასწარმეტყველება 2012 წლის აპოკალიფსური მოვლენების შესახებ

12-დან 24 დეკემბრამდე 2012 წ. მოხდება გარდაუვალი შემთხვევა – კაცობრიობა თავისი არსებობის ახალ ფაზაში გადავა. მოხდება პლანეტარული ზემოქმედება ადამიანებზე, კვანტური ევოლუციური ნახტომი და გადასვლა მეხუთე განზომილებაში.

დღეს კაცობრიობა დროსთან შორიახლო, შეიძლება ითქვას, ნეიტრალურ ურთიერთობაშია, არადა, ერთდროულად სამი კოსმიური ციკლი მთავრდება უკვე. ერთი მათგანი 10 000 წელიწადი გაგრძელდა, მეორე – 100 მილიონი წელი, მესამე – სულ რამდენიმე მილიარდი წელიწადი. სამივე ციკლი კი 2012 წლის ბოლოს სრულდება. (ამ შემთხვევის ზუსტი დრო მაიას ტომის კალენდარში 2012 წლის 23 დეკემბრით თარიღდება).

2013 წლიდან ჩვენი გალაქტიკის პლანეტარული სისტემა გადავა შემდგომ, უფრო მაღალ ევოლუციურ ფაზაში, შეიცვლება ჩვენი მზის სისტემა და თვით პლანეტა დედამიწაც.

წინასწარმეტყველების მოზაიკაში გამოიკვეთა ასეთი მოსაზრება:

დღესდღეობით კაცობრიობა 25-წლიან გარდამავალ პერიოდში ცხოვრობს, რომელიც არასტაბილური, ქაოსური ხასიათით აღინიშნება ადამიანის მოქმედების ყველა სფეროში და საერთოდ, მის გარშემო. ეს განსაკუთრებული პერიოდი 1987 წელს დაიწყო, დეკემბრის თვეში და 2012 წელს უნდა დამთავრდეს, რაც პლანეტარული ციკლის ცვალებადობაში, კვანტურ ევოლუციურ ნახტომსა და კაცობრიობის არსებობის უცხო ენერგეტიკულ განზომილებაში გადასვლით გამოიხატება. ეს მოვლენა შეეხება ყველას, გამონაკლისი არ არსებობს, არც მსოფლმხედველობრივ განსხვავებულობაში, არც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონეებში, არც რწმენაში, აღმსარებლობაში, ეროვნებაში, ამ შემთხვევას ვერ გაექცევა ვერავინ, სადაც უნდა ცხოვრობდეს, მართლები, ცოდვილები, მდიდრები, ღარიბები, ცუდები, კარგები, „შავები“ და „წითლები“, ყველას თვალწინ მოხდება ცვალებადობა.

ამ ინფორმაციის გაცნობისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს ყველაფერი ფანტასტიკის სფეროს შეეხებოდეს და ლამაზი ზღაპარი იყოს, - ნუთუ ყველაფერი ეს შეიძლება სინმდვილეში მოხდეს? სამყაროს მატერიალისტური გაგება ყოველივე ამას მთლიანად გამორიცხავს. მაგრამ ეზოთერიკული გაგებით სხვა სურათი იხატება. ხოლო ყველაფერი რაც მოგახსენეთ, ეზოთერიკული ლიტერატურიდანაა ამოკრეფილი.

ისინი 2035 წელს დაბრუნდებიან

ვისაც ახსოვს მულტფილმი ნიანგ გენაზე, ეცოდინება, რომ მხოლოდ კეთილ ნიანგ გენას შეეძლო ეოცნება, რომ დაბადების დღეზე „უცებ“ მოფრინდება ჯადოქარი ცისფერი თვითმფრინავით, უფასოდ უჩვენებს კინოს და ხუთას ცალ „ესკიმოს“ ნაყინს აჩუქებს.

დღეს ყველაზე ურწმუნო თომასაც კი შეუძლია იოცნებოს, რომ მის დაბადების დღეზე უცხოპლანეტელი მოვა, მოუტანს საჩუქრად არა ნაყინს, არამედ მუდმივ სიცოცხლეს და მფრინავ თეფშს...ასე ფიქრობს ფრანგი კლოდ ვორიიონი, ახალი მოძრაობის დამფუძნებელი, რომელიც მსოფლიოში ახალ რელიგიად მიიჩნევა, ამავე დროს. ის ირწმუნება, რომ ურთიერთობა აქვს არამიწიერ ცივილიზაციასთან, რომლებმაც მას ვარსკვლავური სახელი რაელი დაარქვეს. შესაბამისად, მის მიმდევრებს რეალიტები ეწოდებათ.

ბატონ ვორიიონს, რომელიც 1945 წლის 30 სექტემბერს საფრანგეთის ქალაქ ვიშში დაიბადა, ბებია და დეიდა ზრდიდნენ. სკოლაში ცუდად სწავლობდა, მაგრამ ავანტიურისტული ხასიათით გამოირჩეოდა და ოცნებობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა ცხოვრებაში წარმატებისთვის მიეღწია. ამიტომაც დატოვა 15 წლისამ სახლი და დიდების საპოვნელად პარიზს მიაშურა.

დასაწყისში ის ცდილობდა ფრანგული შანსონიეს ვარსკვლავი გამხდარიყო. მან საკუთარი ფირფიტებიც გამოუშვა კლოდ სეიეს ფსევდონიმით, მაგრამ წარმატება ჯერ კიდევ შორს იყო. მომავალმა „მოციქულმა“ დატოვა ესტრადა და ახლა ძალები ავსტორალსა და ჟურნალისტიკაში მოსინჯა. ის ერთი ხანობა ჟურნალ „ავტოპოპს“ გამოსცემდა, სადაც ძირითადად, სპორტულ მანქანებზე იყო საუბარი.

მაგრამ არც ავტოსპორტმა და არც ჟურნალისტობამ ვორიიონს წარმატება და სიმდიდრე არ მოუტანა. მაშინ მან გადაწყვიტა გამხდარიყო ახალი რელიგიის მამამთავარი. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ საქმეში პირველი ვორიიონი არ ყოფილა. მასზე 20 წლით ადრე ამერიკელმა რონ ხაბარდმა წარმატებით დააარსა „საენტოლოგიის ეკლესია“ იმ განწყობით, რომ გამდიდრებისთვის აუცილებელი იყო შეექმნა „საკუთარი რელიგია“.

მსოფლიოს გადარჩენის შესახებ ვორიიონს საფრანგეთის ვულკან პიუ დე ლასოლასთან „ეუწყა“ 1973 წლის 13 დეკემბერს. როგორც აღნიშნავს, ის შეხვდა ადამიანს უცხო პლანეტიდან. სტუმარმა ვორიიონი მფრინავ თეფშში ჩაისვა და კაცობრიობის გადარჩენის გეგმები გააცნო. ამის შემდეგ გახდა ჟურნალისტი და ავტომრბოლელი „მოციქული რაელი“ მან დაწერა წიგნი სახელწოდებით უცხოპლანეტელების მიერ გადმოცემული ცოდნის შესახებ.

მაგრამ რა „უთხრა“ უცხოპლანეტელმა რაელს? – ის, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ ადამიანები კი არამიწიერი ცივილიზაციისგან შეიქმნენ და დედამიწა გამოიყენეს, მეცნიერული ცდების პოლიგონად.

ბუდა, მუჰამედი და სხვები, ისევე, როგორც თვით რაელი, უცხოპლანეტელების გამოგზავნილები არიან და ისინი დედამიწაზე კვლავ დაბრუნდებიან 2035 წელს.

ახლა ბატონი ვორიიონი კანადაში, კვებეკში ცხოვრობს. ვორიიონისა და მისი მიმდევრების ძირითადი „მიზანი“ დღეს ადამიანების კლონირებაა, რაც მუდმივი ცხოვრების წინაპირობად მიაჩნიათ და ამასვე არწმუნებენ მათ. ფრანგი ამტკიცებს, თუ თითოეული 200 000 დოლარს გადაუხდის, უცხოპლანეტელი მეცნიერები კლონირებას გაუკეთებენ, რითაც შესაძლებელი იქნება ახალი სიცოცხლე ახალ პლანეტაზე.

მაგრამ ვორიიონს ერთი რამ აწუხებს – იცოცხლებს 2035 წლამდე?

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ

მარნა სცურუას

შესანიშნავ ქალბატონს, „სვერთო გაზეთის“ ერთგულ მეგობარსა და მკითხველს ვუღოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობას.

„სვერთო გაზეთის“ რედაქცია

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

კურო – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

ტყუპები – ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

კირჩხიბი – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

ლომი – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

ქალწული – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

სასწორი – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

მორიელი – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

მშვილდოსანი – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

თხის რქა – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

მერწყული – საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

თევზები – ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

1. ქერცლი. 2. ბუღლამა. 3. ბაუერი. 4. ლეონკოვალო. 5. ლანგარი. 6. მთიულური. 7. კალორია. 8. მარლა. 9. ამორალური. 10. რეგტაიმი. 11. მნიშვნელი. 12. კბილანა. 13. ამბავი. 14. მიკადო. 15. ნიკი. 16. გუდვილი. 17. იმუნიტეტი. 18. მიკრო. 19. გომი. 20. ლაშა. 21. კაპარზისი. 22. დუგმა. 23. ქარწაღებულნი. 24. კამპალა. 25. ჯეკი. 26. ბლუტნერი. 27. ოქტავია. 28. გაზი. 29. რილა. 30. ნაგაზი. 31. წრიპინი. 32. თალხი. 33. ზაური. 34. დესპოტი. 35. დებიუტი. 36. ბუდუარი. 37. უკუნი. 38. ბედაური. 39. ბატი. 40. ურდული. 41. ულვაში. 42. ქლიავი. 43. კარიერა. 44. კიუმელი. 45. კურიე. 46. ყავარი. 47. სეპტიმა. 48. პრუსი. 49. პიტბული. 50. სტრიპი. 51. დარისპანი. 52. ძრავი. 53. დიდა. 54. ქურუმი. 55. დოქტორი. 56. ქოში. 57. შუ. 58. კარდიო. 59. ქიში. 60. გუმანი. 61. ლოლუა. 62. მისხი. 63. მარიოტი. 64. ალონსო. 65. შპალი. 66. ბილიარდი. 67. ნერო. 68. ეროსი. 69. ორდალია.